# ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან

19 ოქტომბერი **პარასკევი** 2012 **№248 (13 854)** ფასი 80 თეთრი


ეროვნული ბიბლიოთეკა

# დუელი

## სანიკიძე VS შერმადინი







## მანუს 17 ვიქტორის 12 შერმადინის 2/2

ევროლიგის მეორე ტურის ორ მატჩში სამმა ქართველმა ითამაშა. ისრაელში **გიორგი შერმადინის** "მაქაბიმ" **ვიქტორ სანიკიძის** "მონტეპასკის" უმასპინძლა და 70:68 დაამარცხა.

ვიქტორი გადამწყვეტ მომენტში მოედანზე იყო, საბოლოოდ კი 20 წუთში 7 ქულა და 12 მოხსნა მოაგროვა. მისი მოწინააღმდეგე შერმადინი სასტარტო ხუთეულში გამოჩნდა, 10 წუთი ითამაშა, 4 ქულა (2-დან 2 ორქულიანი) და თითო მოხსნა-პასი გაიფორმა.

სტუმრად „პანათინაიკოსთან" ორი ქულის სხვაობით დამარცხდა **მანუჩარ მარკოიშვილის** "კანტუ" - 76:78.

ქართველმა უკანახაზელმა შეხვედრა საოცრად დაიწყო, 12 წუთში 14 ქულა ჰქონდა. მანუჩარი საფინალო სირენამდე 4 წამით ადრე საჯარიმოში შეიჭრა და ორ ქულასთან ერთად ჯარიმის ტყორცნის უფლება მოიპოვა – 76:78. კანტუელებს ანგარიშის გასათანაბრებლად დრო აღარ ეყოთ.

მანუ 17 ქულით მატჩის ბომბარდირი გახდა. გარდა ამისა, 29 წუთში მის ანგარიშზე 3 პასი და 1 მოხსნაა.

**ვაჟა სიმონიშვილი**

# საკლები, მაკლები, ნაკრები

## შესარჩევი ციფრებში

- საქართველოს ნაკრები ერთადერთი გუნდია შესარჩევ ციკლში, რომელიც 5 მცველით თამაშობს.
- ყველაზე უხეში თამაში თბილისში გაიმართა - საქართველო-ბელარუსი (1:0) - 42 ჯარიმა! არადა, მატჩს სულ 3 ფეხბურთელი გააფრთხილეს. საოცარია, მაგრამ ჯარიმების რაოდენობით მეორე შეხვედრაც ამ გუნდებს შორის შედგა - მინსკში - 40 ფოლი. მინსკის მატჩში 9 ფეხბურთელი გააფრთხილეს, რაც მეორე მაჩვენებელია შესარჩევ ციკლში.
- ბურთის ფლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველო-ესპანეთი - 20 %!

5



გაზაევი ბელარუსში, ოქრიაშვილისთვის?

2

## ქართული ფეხბურთი

სავარაუდო ტრანსფერი

# ვის აკვირდებოდა გაზაევი: ოქრიაშვილს თუ ბრესანს?

## შესაძლო ტრანსფერი, გუცაევი და დავიწყებული ისტორია



მინსკში ბელარუსი-საქართველოს მატჩს ვალერი გაზაევიც (შუაში) ესწრებოდა

**ბელარუსისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრის 49-ე წუთზე თემურ ქეცბაიამ მოედნიდან ქართველთა შორის ყველაზე აქტიური თორნიკე ოქრიაშვილი გაიყვანა, ამას გაუგებრობა მოჰყვა.**

"ჯვაროსნების" დამრიგებელმა **თემურ ქეცბაიამ** ოქრიაშვილის შეცვლის მიზეზად ტრავმა დაასახელა, მაგრამ მატჩის შემდეგ ბელარუსულ მედიასთან ოქრიაშვილმა თქვა, რომ შეცვლამ გული დანყვიტა, ტრავმა რეალურად არ მაწუხებდაო.

ამ ყველაფერს კიდევ უფრო უცნაური გაგრძელება მოჰყვა. თურმე, რას ვერჩოდით ქეცბაიას: თორნიკეს ოჯახში გვითხრეს, რომ მარიუპოლის "ილიჩიეცის" შემტევ ნახევარმცველს ფეხი მართლაც ასტკივდა, მაგრამ გაუგებარია, მაშინ ბელარუსებმა თორნიკეს რა კომენტარი გამოაქვეყნეს?

ამასობაში, ბელარუსულმა ინტერნეტ-გაზეთმა "ფუტბოლტოპ.რუ"-მ გამოაქვეყნა წერილი. აღმოჩნდა, რომ მინსკში ბელარუსი-საქართველოს მატჩს ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტი **ვალერი გაზაევი** დაესწრო. წერილი იმით არის საინტერესო, რომ საქართველოს ნაკრებია დახასიათებული და ამავე დროს ჟურნალისტი ვარაუდობს, ვის შეიძლებოდა დაკვირვებოდა გაზაევი და მივიდა დასკვნამდე, რომ ეს ფეხბურთელი ან ბატე-ს შემტევი ნახევარმცველი **რენან ბრესანია**, ან მარიუპოლის "ილიჩივეცის" წევრი ოქრიაშვილი.

"ვლადიკავკაზის "ალანიას" პრეზიდენტის რჩეულებიდან რუსეთის პრემიერლიგის მოთამაშეებსა და ზურაბ ხიზანიშვილს გამოვრიცხავთ - მათ შესაძლებლობებს გაზაევი კარგად იცნობს.

პრაქტიკულად, ყურადღებას საქართველოს ნაკრების ნახევარდაცვის ყველა წევრი იმსახურებს, რომლებიც სრული შემადგენლობით უკრაინის პრემიერლიგაში ასპარეზობენ. გაზაევს იქ ჩაფრენა და მათზე კლუბების შეხვედრებზე დაკვირვება არ გაუჭირდებოდა, მაგრამ შესაძლოა, "ალანიას" ბოსს საერთაშორისო პაუზისას მეტი თავისუფალი დრო ჰქონდა.

ჯაბა კანკავა "ალანიაში" უკვე ირიცხებოდა და მისი შესაძლებლობების შესწავლის აუცილებლობა არ იყო. სანდრო კობახიძე რეგულარულად თამაშობს კიევის "არსენალში" და "დნიპროს" ეკუთვნის, მაგრამ თავი ვერაფრით დაგვამახსოვრა.

23 წლის საყრდენი მურთაზ დაუშვილი ახლახან დამკვიდრდა ლვოვის "კარპატის" შემადგენლობაში, რომელიც უკრაინის პრემიერლიგაში ბოლოდან მესამე ადგილზეა და ჯერ რუსეთის პრემიერლიგის დონემდე არ გაზრდილა.

ყველაზე რეალური კანდიდატი თორნიკე ოქრიაშვილია. 20 წლის შემტევი ნახევარმცველი დონეცკის "შახტარს" ეკუთვნის და მარიუპოლის "ილიჩივეცში" იჯარით თამაშობს. თბილისურ შეხვედრაში თორნიკემ ერთადერთი გოლი გაიტანა. მინსკში პირველი ტაიმის ბოლოს სამი ბელარუსი მცველი ეფექტურად მოატყუა, დასარტყმელ პოზიციაზე გავიდა და მხოლოდ ბოლო მომენტში შეუშალა ხელი სტანისლავ დრაგუნმა.

სხვა საკითხია, მოინდომებს კი "შახტარი" ნიჭიერი ნახევარმცველის გაყიდვას? შესაძლოა, უახლოეს პერიოდში ქართველმა დონბასელთა ახლანდელი ვარსკვლავის, ჰენრიხ მხითარიანის გზა გაიაროს. "შახტარამდე" ოქრიაშვილი პეტერბურგის "ზენიტში" ვარჯიშობდა, მაგრამ შინ შემდეგი დახასიათებით გაუშვეს: "პერსპექტიული ახალგაზრდაა და ტექნიკურად კარგად გამოიყურება, მაგრამ ფიზიკურად მოღონიერება სჭირდება და მისი ტრანსფერი მხოლოდ პერსპექტივაში შეიძლება განვიხილოთ".

ბელარუსულმა გამოცემამ აღნიშნა, რომ მასპინძელი ფეხბურთელები თავის კოლეგებზე შთამბეჭდავად გამოიყურებოდნენ და ივარაუდა, რომ სლავების ნაკრებიდან "ალანიაში" მოხვედრის ყველაზე მეტი შანსი "ბატეს" ბრაზილიელ ნახევარმცველს, **რენან ბრესანს** აქვს.

ერთი საინტერესო დეტალი: ოქრიაშვილმა კარიერა "გაგრას" დუბლებში **თემურ ჩხაიძის** დროს დაიწყო, რომელიც ახლა ლანჩხუთში "ქართული ოცნების" მაჟორიტარი დეპუტატი გახდა. სწორედ მისი რეკომენდაციით აიყვანეს თორნიკე ახალგაზრდულ და 19-წლამდელთა ნაკრებებში. ოქრიაშვილმა ბელარუსები ჯერ კიდევ ორი წლის წინათ გაამწარა: 2010 წლის 8 და 11 მაისს მინსკში საქართველოს 19-წლამდელებმა სლავების გუნდთან ორჯერ ითამაშა და ორივეჯერ მოუგო – 2:0 და 6:0. მეორე შეხვედრაში თორნიკემ აინყვიტა, ჰეთ-თრიქი შეასრულა და პლუს ორი საგოლე გადაცემა მიითვალა.

ჯერ კიდევ ამ შეხვედრებამდე "გაგრას" მაშინდელი ნახევარმცველით ბელგიური გრანდი "ანდერლეხტი" დაინტერესდა. მსგავსი ამხანაგური დაპირისპირებები კი ყოველთვის სელექციონერთა განსაკუთრებულ ინტერესს იწვევს - გამონაკლისი არც მინსკის თამაშები იყო, სადაც ცნობილი კლუბის წარმომადგენელი იმყოფებოდა. ოქრიაშვილმა ძალიან კარგი შთაბეჭდილება დატოვა და სწორედ ამის შემდეგ მიიწვიეს პეტერბურგის "ზენიტში".

ამის შესახებ "სპორტ-ექსპრესი" წერდა და ამტკიცებდა, რომ პეტერბურგელთა გარდა, ოქრიაშვილს გულმოდგინედ აკვირდებოდნენ "ანდერლეხტი", რამდენიმე ჰოლანდიური, თურქული, გერმანული კლუბი და მოსკოვის "დინამო".

ახლა მთავარზე: საინტერესოა, რომ 2010 წელს საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებს ავარჯიშებდა **ვოვა გუცაევი**, რომელიც გაზაევმა ერთი თვის წინათ "ალანიას" სპორტულ დირექტორად დანიშნა და საკადრო საკითხები ჩააბარა. გუცაევს კი, როგორც ნაკრებში მისი ყოფილი თანაშემწეები გვიმტკიცებენ, ოქრიაშვილი გამორჩეულად მოსწონდა.

**მერაბ მამულაშვილი**



თორნიკე ოქრიაშვილი

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო



რენან ბრესანი

ეროვნული ნაკრები



# ნოემბერში შეიძლება ეგვიპტეს ვუმასპინძლოთ

ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრები უახლოეს საშინაო მატჩს თბილისში ჩაატარებს. დადგენილია თარილიც – 14 ნოემბერი. რაც შეეხება მეტოქეს, ამის თაობაზე საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია აქტიურად მუშაობს. დღეისთვის ყველაზე რეალური ვარიანტი ეგვიპტის ნაკრებთან სპარინგია.

ამ გუნდს განსაკუთრებული წარდგენა არ სჭირდება. ეგვიპტის ნაკრებს ტიტულები არ აკლია – არის აფრიკის 7-გზის ჩემპიონი, რაც კონტინენტის რეკორდია. აფრიკის ერთა თასი ეგვიპტელებმა მიჯრით მოიგეს 2006, 2008 და 2010 წლებში. ფიფას ამჟამინდელ რეიტინგში ეგვიპტის ნაკრები მე-40 ადგილზეა.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ნაკრები. სპეციალისტის აზრი



# არჩილ არველაძე: ამ ნაკრებში პოზიტიურ ასპექტებს ვხედავ

"ფონდი არველაძის" ოფიციალურ ვებგვერდზე საქართველოს ნაკრების ყოფილი ფეხბურთელის **არჩილ არველაძის** კომენტარია გამოქვეყნებული, სადაც იგი ჩვენი ეროვნული გუნდის მიერ ფინეთსა და ბელარუსში ჩატარებულ მატჩებს აფასებს, ნაკრების ფეხბურთელებს ახასიათებს და იმედს გამოთქვამს, რომ გუნდი მალე შედეგებს გააუმჯობესებს.

"საქართველოს ნაკრებს ბურთზე უფრო მეტი კონტროლი ჰქონდა ამ შეხვედრებში, ვიდრე უწინდელ მატჩებში, ამიტომაც ძალიან დამწყვიტა გული ფინეთთან და ბელარუსთან ნაჩვენებმა შედეგმა.

ფინეთთან უფრო მძიმე თამაშს ველოდი, ფინელებს ძალიან ძლიერი ნაკრები არ ჰყავთ, თუმცა სუსტიც არ ეთქმის. საერთო ჯამში ფინეთთან ჩატარებული შეხვედრა ცუდი არ იყო, თუმცა იქიდან გამომდინარე, რომ ანგარიში წავიყვანეთ და რიცხობრივი უპირატესობაც მოვიპოვეთ, უკეთესი შედეგის მიღწევაც შეიძლებოდა.

ბელარუსთან მატჩის დასაწყისშივე დავუშვით შეცდომა, არადა, ჩვენც შევქმენით სახიფათო მომენტები. ბელარუსი ოთხჯერ დაგვემუქრა, ერთი გოლი ჩვენს შეცდომას მოჰყვა, მეორე კი სტანდარტულ სიტუაციას. გამოვარჩევდი ამისულაშვილს, აქტიური იყო ოქრიაშვილი, ასევე კობახიძეც, თარგამაძესაც არაუშავდა, თუმცა მისგან უფრო მეტს ველი. კმაყოფილი ვერ დავრჩი ანანიძისა და ყენიას თამაშით. დაუშვილი და კანკავა დაცვით ფაზაში კარგად მოქმედებენ. ალბათ აჯობებს, თუ კანკავა ბურთთან უფრო მეტ დროს გაატარებს. რაც შეეხება დევდარიანს, ურიგოდ არ უთამაშია. ცენტრფორვარდის პოზიციაზე ზოგადად გვაქვს პრობლემა. მჭედლიძე ახლა ალბათ ვერ არის 100 პროცენტით მზად. გრიგალავა დაცვაში რიგიანად გაისარჯა, მაგრამ როცა ჩვენ გვაქვს ბურთი, უფრო ყურადღებით უნდა იყოს, გადაცემის შესრულების დროს ბურთი არ უნდა დაიკარგოს.

გული დამწყდა იმის გამოც, რომ ამხელა გამოცდილების და კლასის მქონე ხიზანიშვილმა ასეთი შეცდომები დაუშვა.

ბელარუსთან მარცხს რევიშვილს ვერ დავაბრალებთ, ის ძალიან კარგი მეკარეა, ფინეთთან კი შეეძლო, რომ არ გაეშვა ბურთი.

საერთო ჯამში ამ ნაკრებში პოზიტიურ ასპექტებს ვხედავ. იმედი მაქვს, რომ გუნდს უკეთესი შედეგები ექნება", - ასეთია არველაძის შეფასება.

**ლევან ჯანეზაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

● გაგრა

# ჩვენ დავბრუნდებით

## მთავარი: მეტი ნიჭიერი ახალგაზრდა

პირველ ლიგაში ერთი-ორი საინტერესო გუნდი თამაშობს, "გაგრაც" ამ უმცირესობაში შედის. რომ არა სიდუხჭირე, არის იმის პოტენციალი, რომ პირველ ლიგაში არცთუ ცოტა კარგი გუნდი გამოჩნდეს, მაგრამ დღეს პირველი ლიგისთვის ჯერ ცოტა თუ იცლის.

გუშინ პირველი ლიგის თამაშზე გახლდით, "გაგრამ" შინ ვანის "სულორი" დაამარცხა 3:2, ვანელები დაწინაურდნენ, თუმცა მეორე ტაიმში ჯანი აღარ ეყოთ და დამარცხდნენ.

"გაგრა" პირველი ლიგის A ჯგუფის ერთ-ერთი ლიდერია. წინა სეზონში გუნდი უმაღლეს ლიგაში იყო, შარშან კი სულაც საქართველოს დავით ყიფიანის სახელობის თასი მოიგო.



რენცო რადინა

"გაგრა" განსაკუთრებული კლუბია, ნიჭიერ ახალგაზრდებს მხოლოდ საქართველოში არ ეძებს, ახლახან ბელგრადის "პარტიზანის" ყოფილი ფეხბურთელი, ხორვატი **რენცო რადინა** აიყვანა, 1994 წელს დაბადებული ცენტრალური მცველი, რომელმაც გუშინ შეცვლაზე ითამაშა "სულორთან".

ისევ "გაგრაში" თამაშობს 19 წლის თავდამსხმელი **ჯონ ჯერემია,** რომელსაც უმაღლესი ლიგის არაერთი გუნდი ჰყავს გამწარებული. "გაგრაშია" კიდევ ერთი ნიგერიელი, 18 წლის ცენტრალური ნახევარმცველი **ოპეიემი ტეიდი.**

ჩვენ დავბრუნდებით – ასეთია "გაგრას" სლოგანი, რომელიც ალბათ იმასაც გულისხმობს, რომ "გაგრა" უმაღლეს ლიგაში დაბრუნებას აპირებს.

*"რა თქმა უნდა, უმაღლეს ლიგაში დაბრუნებისთვის ვიბრძვით. მთავარი მიზანი კი ამ ეტაპზე მაინც ის არის, რომ რაც შეიძლება მეტ ნიჭიერ ახალგაზრდა ფეხბურთელს მოვუყაროთ თავი. ამ დროისთვის გუნდში ყველაზე უფროსი ფეხბურთელი 22 წლისაა. მიმდინარე სეზონი ახალგაზრდა ფეხბურთელების წინსვლისთვისაც უნდა გამოვიყენოთ. ჩვენისთანა ახალგაზრდა გუნდისთვის პირველ ლიგაში სტუმრად თამაში განსაკუთრებულად რთულია, ძალისმიერი ბრძოლები მიდის. ასეთ შეხვედრებში ყალიბდება გამარჯვებულის სულისკვეთება",* – გვითხრა "გაგრას" მთავარმა მწვრთნელმა **ზვიად ჯელაძემ.**

გუნდის თავკაცს "გაგრას" უცხოელ ახალწვეულზეც დავეკითხეთ. რენცო რადინას გუშინ ბევრი დრო არ ჰქონია საკუთარი შესაძლებლობების წარმოსაჩენად.

*"საკმაოდ ნიჭიერი ახალგაზრდაა, ვარჯიშებზე კარგ შთაბეჭდილებას ტოვებს, ვფიქრობ, მას დიდი მომავალი აქვს",* – ესეც ჯელაძის სიტყვებია.

"გაგრას" აქვს ფეხბურთელების კარგად გასხვისების გამოცდილება. ეროვნული ნაკრების წამყვანი ფეხბურთელი **თორნიკე ოქრიაშვილი** სწორედ "გაგრადან" წავიდა უკრაინაში. რადინას "გაგრაში" მისვლის მიზანიც ალბათ ფეხბურთელის რეექსპორტი უნდა იყოს.

ამ დროისთვის "გაგრადან" ასაკობრივ ნაკრებებში რამდენიმე ფეხბურთელია. მაგალითად, საქართველოს იმ 17-წლამდელთა ნაკრების მეკარე **ალექსანდრე ადამია,** რომელმაც ევროპის ჩემპიონატის ფინალურ ეტაპზე ითამაშა.

"ახალგაზრდული ნაკრების ფეხბურთელი გიორგი ჯგერენაიას ენტეროვირუსი აქვს და მაგიტომ არ გვყავდა "სულორთან", ჯერემია კი წელის ტრავმის გამო მოვისაკლისეთ. ოპეიემი ტეიდის თამაშით . კმაყოფილი ვარ, საქართველოში ერთ-ერთი ყველაზე ნიჭიერი საყრდენი ნახევარმცველია. გადრანი, ფალავანდიშვილი, ჭკუასელი... გუნდში კიდევ არაერთი ნიჭიერი ფეხბურთელი გვყავს, რომლებიც ასაკობრივი ნაკრებების თვალთახედვის არეში არიან", – ამბობს ჯელაძე.

"გაგრას" ორი გუნდი ჰყავს, ერთი პირველ ლიგაში, მეორე – რეგიონალლიგაში, სადაც მწვრთნელი **გაგა კირკიტაძეა.** "გაგრა" კვლავინდებურად მუხრანში ვარჯიშობს, გუნდს ავტობუსი ემსახურება, მუხრანში "გაგრას" განკარგულებაში ორი მინდორია, საშინაო მატჩებს კი გუნდი თბილისში, "მერანის" სტადიონზე თამაშობს.

რომელი უკეთესია ახალზრდა ფეხბურთელისთვის – უმაღლესი ლიგის დუბლების ჩემპიონატში თუ პირველ ლიგაში თამაში?

ჯელაძემ გვითხრა, პირველი ლიგა დუბლების ჩემპიონატზე უფრო ძლიერი ტურნირია და ახალგაზრდა ფეხბურთელისთვისაც იქ ჯობია თამაში, სადაც ეს უფრო რთულია.

ჯელაძეს წინა სეზონზეც ჩამოვუგდეთ სიტყვა, როცა "გაგრა" უმაღლესი ლიგიდან გავარდა.

*"წინა სეზონში იმდენი უსამართლობა შევხვდა, განსაკუთრებით პლეი აუტში, რომ... უსამართლობაში მსაჯობას ვგულისხმობ, თუმცა მხოლოდ ამ ფაქტორს არ ვაბრალებ წარუმატებლობას. საკადრო პრობლემები შეგვექმნა, ბევრი ტრავმირებული ფეხბურთელი დაგვიგროვდა, საკუთარ პასუხისმგებლობასაც არ ვიხსნი, ალბათ, მეც დავუშვი შეცდომები",* – გვითხა ჯელაძემ.

"გაგრას" მთავარ მწვრთნელს საუბრის ბოლოს ის ვკითხეთ, ყველაზე უფრო რომელი გუნდი მოსწონს მიმდინარე პირველ ლიგაში და ყველაზე უფრო რომელ ფეხბურთელს გამოარჩევდა პირველლიგელებიდან.

*"ძალიან კარგი გუნდია ლანჩხუთის "გურია", თუმცა ყველაზე უფრო მაინც "სასკოს" თამაშს ალვინიშნავდი, ახალგაზრდული გუნდია. რაც შეეხება პირველი ლიგის ფეხბურთელებს, ყველაზე უფრო გამოცდილ ალექსანდრე გოგობერიშვილს გამოვარჩევდი".*

**დავით თავართქილაძე**

● ზესტაფონი



იგიორ იელიჩი

# მარგველებმა იელიჩი გაიფორმეს

სერბმა ნახევარმცველმა **იგორ იელიჩმა** "ზესტაფონში" სინჯები წარმატებით გაიარა და საქართველოს მოქმედ ჩემპიონთან კონტრაქტი დაიმსახურა. "ზესტაფონმა" 22 წლის იელიჩს ხელშეკრულება მიმდინარე წლის ბოლომდე გაუფორმეს, თუმცა, თუ იელიჩი ფეროელებს კარგად მოერგო, კონტრაქტი ავტომატურად გაუხანგრძლივდება. "ზესტაფონის" ღირსებას იგი 77-ნომრიანი მაისურით დაიცავს.

ბოლოს იელიჩი ბელგრადის ოფკ-ის შემადგენლობაში ასპარეზობდა, მანამდე კი შემდეგი კლუბების წევრი იყო: "სინდელიჩი" (ბელგრადი) - 2007-2008, "ვოზდოვაცი" (ბელგრადი) - 2008-2010, "მლადოსტი" (აპატინი) - 2010, ოფკ (ბელგრადი) - 2010-2012.

ხვალ "ზესტაფონი" საქართველოს ჩემპიონატის მე-10 ტურში "ზუგდიდს" უმასპინძლებს და შესაძლოა, იელიჩის ოფიციალური დებიუტი სწორედ ამ მატჩში შედგეს.

**ლევან ჯანეზაშვილი**

● დილა

# ნათან ჟუნიორს დღეს წარადგენენ

ორ კვირაზე მეტია, გორის „დილაში" ბრაზილიელი თავდამსხმელი **ნათან სოარეშ დე კარვალიო ჟუნიორი** იმყოფება. ახალი მთავარი მწვრთნელის, **გიორგი დარასელიას** მოსვლის შემდეგ, იგი გორელთა პირველი ახალწვეულია. სამხრეთამერიკელმა ფეხბურთელმა კლუბთან კონტრაქტი მაისამდე გააფორმა.

"დილას" პრესსამსახურის ცნობით, კლუბის ახალწვეულს მედიის წარმომადგენლებს 19 ოქტომბერს, 16:30 საათზე წარუდგენენ, რომლის შემდეგაც "დილა" თენგიზ ბურჯანაძის სახელობის სტადიონზე ეროვნულ ჩემპიონატში "კოლხეთთან" 20 ოქტომბრის მატჩამდე ბოლო ვარჯიშს გამართავს.

მოგეხსენებათ, სატრანსფერო ფანჯარა ზამთრამდე დახურულია და გორელებს მხოლოდ თავისუფალი აგენტის გადმობირება შეეძლოთ. **ნათან ჟუნიორი** სწორედ ამ სტატუსის მატარებელია.

23 წლის ფორვარდი რიო დე ჟანეიროში დაიბადა და 2005 წლამდე "ფლამენგოს" ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა. 2005-2008 წლებში, კვიპროსის "ანორთოსისის" ახალგაზრდული გუნდის წევრი იყო, პროფესიული კარიერა კი რიგის "სკონტოში" დაიწყო.

ნათან ჟუნიორმა ლატვიის ყველაზე ტიტულოვან გუნდში 2011 წლის ბოლომდე ითამაშა. 69 მატჩში გატანილი 45 გოლი – ასეთია მონაგარი ამ კლუბში. მიმდინარე წლის იანვარში კონტრაქტი ავსტრიის ბუნდესლიგაში მოასპარეზე "კაპფენბერგთან" გააფორმა და მაისის ბოლომდე ნათამაშებ 13 მატჩში 1 გოლი მიითვალა, მის მიერ რეალიზებული პენალტით კი გუნდმა ვენის "აუსტრია" დაამარცხა.

"დილას" პრესსამსახურის ცნობით, გუნდში კიდევ ერთი ბრაზილიელი, 20 წლის შემტევი ნახევარმცველი **რამოს დოს სანტოს ლეონარდო** ვარჯიშობს, რომლის კონტრაქტის დეტალებსაც აზუსტებენ. დოს სანტოსის ბოლო პროფესიული კლუბი მინსკის "დინამო" იყო, სადაც 30 მატჩში 6 გოლი გაიტანა.

**მერაბ მამულაშვილი**



ნათან ჟუნიორი

ეროვნული ბიბლიოთეკა

გამოხმაურება



## სერგეი ბოროვსკი:
# დასანანია, თბილისშიც რომ ვერ მოვიგეთ

**სერგეი ბოროვსკი** წარსულში ცნობილი ბელარუსი ფეხბურთელი გახლდათ. თამაშობდა მინსკის "დინამოსა" და საბჭოთა კავშირის ნაკრებში. მოთამაშის კარიერის დასრულების შემდეგ მწვრთნელობა დაიწყო და ამ საქმეშიც საკმაოდ წარმატებული გამოდგა: ავარჯიშებდა ბელარუსის ნაკრებს, ტირასპოლის "შერიფს", მოსკოვის "ტორპედო-მაზს", ზაპოროჟიეს "მეტალურგს", "ვენტსპილსს", ამჟამად ბელარუსის პირველი ლიგის მინსკის "სკიტჩის" დამრიგებელია.

ბოროვსკი ინტერნეტ-გაზეთ "სპორტ-პანორამასთან" ამბობს, რომ ბელარუსებმა საქართველოსთან დამსახურებლად გაიმარჯვეს: *"ჩვენ ფსიქოლოგიურად მეტოქეზე ბევრად უკეთ გამოვიყურებოდით. შესაძლოა, ქართველებზე გავლენა სატურნირო მდგომარეობამ მოახდინა. ამ მატჩამდე ხომ მთელი ოთხი ქულით გვისწრებდნენ და შესაძლოა, თავში ასეთი აზრებიც უტრიალდებდათ, რომ ნაგების შემთხვევაში, მაინც ჩვენზე წინ იქნებოდნენ. მიმაჩნია, რომ საბრძოლველად სწორედ ამის გამო ვერ განეწყვნენ. ჩვენები კი მოედანზე გაცილებით მოტივირებულები გავიდნენ. ამიტომაც მოახერხეს სწრაფი გოლის გატანა და მთელი შეხვედრის განმავლობაში მეტოქეს ორთაბრძოლებში სჯობდნენ. მთლიანობაში უნდა ვთქვათ, რომ ორი-სამი ეპიზოდის გარდა, საქართველოს ნაკრებმა საკუთარი შესაძლებლობები ვერ გამოავლინა. მომენტებიც არა კოლექტიური თამაშით, არამედ, ფეხბურთელთა ინდივიდუალური ოსტატობის ხარჯზე შექმნეს. მათგან გაცილებით მეტს ველოდი. როდესაც ვნახე, როგორ გამოიყურებოდა მინსკში თემურ ქეცბაიას გუნდი, გული დამწყდა, რომ ჩვენმა ნაკრებმა თბილისში ვერ მოიგო".*

საგულისხმო კომენტარი გააკეთა წარსულში მინსკის "დინამოს" კიდევ ერთმა ყოფილმა ფეხბურთელმა **ლუდას რუმბუტისმა**:*"ცნობილია, რომ ქართველები თავისებური საფეხბურთო ფილოსოფიის მიმდევრები არიან. ამდენად, დადებითი შედეგის მისაღწევად აუცილებელიც იყო, რომ მათთვის ბურთის კონტროლის საშუალება მოგვესპო. ეს ძალიან რთული ამოცანა გახლდათ, მაგრამ სწრაფმა გოლმა ქართველები აიძულა, რომ ტაქტიკა მთლიანად შეეცვალათ. ჩვენ სასურველ შედეგს პრესინგის ხარჯზე მივაღწიეთ, რასაც სტუმრებმა ვერაფერი დაუპირისპირეს. პრესინგით ქართველები ვაიძულეთ, რომ შეცდომები დაეშვათ, ბურთის მოპოვების შემდეგ კი სწრაფ კონტრშეტევებს ვახორციელებდით. ამ დროს, საკმაოდ ეფექტურად ვახერხებდით თავისუფალი ზონების გამოყენებას".*

**მერაბ მამულაშვილი**

## ვადიმ ჟუკი:
# მსაჯს გლები უნდა გაეძევებინა

ბელარუსული გამოცემა "პრესბოლი" წარსულში ცნობილ არბიტრს, **ვადიმ ჟუკს** 16 ოქტომბრის შეხვედრაზე ელაპარაკა. გეტყვით, რომ ჟუკი ბელარუსის ყველა დროის საუკეთესო მსაჯად აღიარეს, განუსჯია უეფას თასის ფინალური და ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალური შეხვედრები. მოფლიოს ფეხბურთის ისტორიისა და სტატისტიკის საერთაშორისო ფედერაციამ 1987-2009 წლების საუკეთესო არბიტრებში 66-ე ნომრად დაასახელა.

ეს კაცი ობიექტური აღმოჩნდა და თავისი ქვეყნისა და საქართველოს ნაკრებების შეხვედრის ავსტრიელი არბიტრი **რობერტ შიორგენჰოფერი** გააკრიტიკა.

შეგახსენებთ, რომ მატჩის მიწურულს მოედანზე მცირე კონფლიქტი წარმოიქმნა, როდესაც მასპინძელთა ლიდერმა **ალექსანდრე გლებმა** ჩვენს თავდამსხმელს **ლევან მჭედლიძეს** ხელი დაარტყა, მსაჯი კი მხოლოდ ყვითელი ბარათით შემოიფარგლა.

*"მეორე ტაიმის დასასრულს მოედანზე მდგომარეობა გამწვავდა და ყვითელი ბარათების წვიმა წამოვიდა. თუმცა მთავარ არბიტრს წითლის ჩვენებაც შეეძლო. ყველაფერი კი იმით დაიწყო, რომ გრიგალავამ გლების წინააღმდეგ ძალიან უხეშად ითამაშა. საშა ურთიერთობების გასარკვევად მივარდა და ვერაფერი უკეთესი ვერ მოიფიქრა გარდა იმისა, რომ მეტოქეს ხელი ჰკრა. სიბრიყვეა! კონფლიქტში ჩათრეული აღმოჩნდა ორივე გუნდი და მდგომარეობის განსამუხტად შიორგენჰოფერმა ყვითელი ბარათები დაარიგა. არადა, სრული საფუძველი ჰქონდა, გლები გაეწითლებინა. დარწმუნებული ვარ, ავსტრიელის ადგილზე, სხვა მსაჯი ლიბერალიზმს არ გამოიჩენდა. გლები გამოცდილი მოთამაშეა და უნდა ესმოდეს, რომ ემოციის ასეთი აგრესიული გამოვლინება ცუდად შეიძლება დასრულდეს"* – ამბობს ჟუკი.



ვადიმ ჟუკი

**მერაბ მამულაშვილი**

U 19

# ტესტი ხორვატიამდე
## კახა კაჭარავამ გუნდი უკვე შეკრიბა



ერთი კვირაც და საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრები ევროშესარჩევს დაიწყებს. **კახა კაჭარავას** გუნდი ხორვატიაში გაემგზავრება, ჩვენი მეტოქეები მასპინძელთა გარდა აზერბაიჯანი და ისლანდია იქნებიან.

პირველ მატჩს ჩვენი თინეიჯერები ხორვატიასთან გამართავენ 26 ოქტომბერს, მერე აზერბაიჯანთან 28 ოქტომბერს, ბოლო შეხვედრას კი ისლანდიასთან 31 ოქტომბერს.

კაჭარავამ გუნდი უკვე შეკრიბა ფეხბურთის ფედერაციის ტექნიკურ ცენტრ "ბასაზე" და ეს ფეხბურთელები იახლა:

**ალექსანდრე ადამია („გაგრა"), გაბრიელ თებიძე („ჩიხურა", საჩხერე), ოთარ კაკაბაძე, ვაჟა მათიაშვილი, საბა ლობჟანიძე, გიორგი პაპუნაშვილი, ალექსანდრე გურეშიძე (ყველა „დინამო" თბილისი), გურამ სამუშია („ზესტაფონი"), ლევან გეგეჭკორი, პაპუნა ფონიავა (ორივე „მერანი", მარტვილი), ნიკა სანდოხაძე, თემურ მარკოზაშვილი, გიორგი ფანცულაია (ყველა „ტორპედო", ქუთაისი), ბაჩო არაბული („საბურთალო", თბილისი), ავთო ენდელაძე, ნიკოლოზ ახვლედიანი („ზუგდიდი"), გიორგი აბურჯანია („დილა", გორი), ნიკა ნარმანია („რუხი", პოლონეთი), ნიკა კაჭარავა („ვანდიში", შვეიცარია), დავით უბილავა („ვიტ ჯორჯია"), ლუკას ჰუფნაგელი („უნტერჰაჰინგი", გერმანია), ბაჩო მიქავა, ნიკა ჭანტურია (ორივე „ლოკომოტივი" თბილისი), გიორგი სარჯველაძე („ჰერკულესი", ესპანეთი), გიორგი გიორგაძე („სკონტო", ლატვია).**

დღეს კაჭარავას გუნდი ტესტ-მატჩს გამართავს პირველლიგელ ცხინვალის "სპარტაკთან" . ხორვატიაში კი ქართველი 19-წლამდელები 23 ოქტომბერს გაემგზავრებიან.

**დავით თავართქილაძე**

ფუტსალი

# ნაკრები შეიკრიბა, ბრაზი თბილისს ემხრობა
## ევროპის ჩემპიონს ჩვენთან სპარინგი სურს



ქართულ ფუტსალთან დაკავშირებით რამდენიმე საინტერესო ამბავი შევიტყვეთ და მოკლედ მოგითხრობთ:

- უეფას თასის ელიტრაუნდში "იბერია სტარის" გამარჯვებასა და ევროპის ოთხთა ფინალში მოხვედრაზე კომენტარი გააკეთა პორტუგალიის ფუტსალის ეროვნული ნაკრების მთავარმა მწვრთნელმა **ჟორჟე ბრაზიმ**: *"ისეთი პატარა ქვეყნისთვის, როგორიც საქართველოა, ოთხთა ფინალში გასვლა უდიდესი მიღწევაა. წარმატებას ვუსურვებ "იბერიას". ვფიქრობ, კარგი იქნება, ფინალური ტურნირის მასპინძელ ქალაქად უეფა თბილისს თუ დაასახელებს".*

24 და 25 ოქტომბერს, საქართველოს ფუტსალის ნაკრები პორტუგალიას ესტუმრება და ამ ქვეყნის ეროვნულ ნაკრებთან ორ ამხანაგურ მატჩს გამართავს.

გუნდის მთავარმა მწვრთნელმა **ავთანდილ ასათიანმა** ფეხბურთელები სპორტკომპლექს "არენაში" უკვე შეკრიბა და სპარინგებისთვის მზადებას შეუდგა.

- ფუტსალში ევროპის ჩემპიონის, ესპანეთის ნაკრების ხელმძღვანელობა თანახმაა, რომ მომავალ წელს საქართველოს გაეჯიბროს. წინადადება საქართველოს ფუტსალის ასოციაციამ (სფა) ესპანეთის ფეხბურთის ფედერაციის ფუტსალის დეპარტამენტისგან მიიღო.

- სფა-ს სურს, რომ საქართველომ უეფას სანაკრებო ფუტსალის ელიტრაუნდს უმასპინძლოს, ამ საკითხზე მუშაობა დაწყებულია და ორგანიზაციის გამგეობის წევრებს გეგმას ნოემბერში გააცნობენ.

- უეფას მედიაოფიცერმა **მამუკა კვარაცხელიამ** და სფა-ს გენერალურმა მდივანმა **ბექა კვიციანმა** თბილისში გამართული უეფას თასის ელიტრაუნდის მატჩების დროს ოფიციალურ ვახშამზე მიიწვიეს "ბენფიკას" ტექნიკური დირექტორი **ჟოაო პედრო ფერეირა** და მისი მოადგილე, წარსულში ამავე კლუბის და პორტუგალიის ეროვნული ნაკრების მოთამაშე **ნელიტო**. საუბარი შეეხო მომავალ წელს "ბენფიკას" საქართველოში შესაძლო ვიზიტს და საქართველოს ფუტსალის ეროვნული ნაკრების წინააღმდეგ სპარინგებს.

პორტუგალიელებმა წინასწარი თანხმობა უკვე თქვეს, მაგრამ საქართველოს ფუტსალის ასოციაციას საბოლოო პასუხს 26-30 ოქტომბრამდე აცნობებენ.

**მერაბ მამულაშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბრაზილია 2014. ევროპა. სტატისტიკა

# როცა სათამაშოდ ქართველები და ბელარუსები გადიან...

## ჩვენები ლიდერებში: ოქრიაშვილს ერჩიან, მჭედლიძე ერჩით

იყო დრო, ტომერ ჰემედი ლადო დვალიშვილის კონკურენციას ვერ უძლებდა ჰაიფას „მაქაბიში" და მას სუსტ გუნდებში ანათხოვრებდნენ ხოლმე, შემდეგ ერთადაც ითამაშეს (2010/11 წლების სეზონში 12 გოლი ლადომ გაიტანა, 15 - მასზე ერთი წლით უმცროსმა ტომერმა), ბოლოს კი მათი გზები გაიყო - ებრაელი ფეხბურთელი ლა ლიგაში, კერძოდ „მალიორკაში" წავიდა, ხოლო ლადო დვალიშვილი „პოლონიაში". სამწუხაროდ, 26 წლის ქართველის კარიერა ისე ვერ განვითარდა, როგორც მისი მეწყვილის - ტომერ ჰემედი ახლა ლა ლიგის ერთ-ერთი საუკეთესო ფორვარდია და მსოფლიოს ჩემპიონატის საკვალიფიკაციო ციკლის ევროზონაში 5 გოლით ერთ-ერთი ბომბარდირია.

თქვენ წინაშეა მუნდიალის საკვალიფიკაციო ეტაპის სტატისტიკური მიმოხილვა, რომელშიც იმასაც შეიტყობთ, რა ხდება, როცა სათამაშოდ მოედანზე საქართველოსა და ბელარუსის ნაკრებები გადიან...



საქართველო-ბელარუსი. ფოტო უეფას ოფიციალური გვერდიდან, ეს იყო შესარჩევის ყველაზე უხეში თამაში

## პლუს ნიშნით

### ინდივიდუალური

■ ზოგადად ფეხებში ყველაზე მეტად სწრაფ, ტექნიკურ ფეხბურთელებს ხვდებათ ხოლმე. ასე რომ, საკვირველი არაა, „მსხვერპლთა" შორის, ლიდერებში **თორნიკე ოქრიაშვილია.** 20 წლის ქართველს ყოველ 26,2 წუთში ერთხელ ეუხეშებიან. ასე მოხვდა თორნიკე **პანდევის, ბეილისა** და **რიბერის** კომპანიაში. პანდევს ფეხებში ყოველ 20,7 წუთში ერთხელ ურტყამენ.

■ გოლის გასატანად ყველაზე ცოტა დრო - 10 წუთი - რუმინელ **ალექსანდრუ მაქსიმს** ეყო.

■ **ანდრია დელიბაშიჩს** (ჩერნოგორია) ხშირად გააქვს - შესარჩევ ციკლში სულ 24 წუთი ითამაშა და 2 გოლი გაიტანა, საშუალოდ - 12 წუთში ერთხელ. შედარებისთვის, 5 გოლის გამტან **ტომერ ჰემედს** ყოველ 49,4 წუთში ერთხელ გააქვს.

■ 23 წლის დანიელი **დანიელ ვასი** თორნიკეზე ხშირად, ყოველ 18 წუთში ერთხელ ზარალდება, თუმცა მან შედარებით ცოტა ითამაშა

### გუნდური

■ საქართველოს ნაკრებმა კარისკენ 12 ზუსტი დარტყმა განახორციელა, რაც საშუალოდ 3 ზუსტი დარტყმაა მატჩში.

■ საქართველოს ნაკრებმა სულ 21 კუთხური ჩააწოდა. საშუალოდ - 5,25.

■ საქართველოს ნაკრების წინააღმდეგ თამაშის წესი 65-ჯერ დაარღვიეს. ჩვენზე ხშირად მხოლოდ იტალიას ეუხეშებიან - 70 ჯარიმა.

■ 97 თამაშში 260 გოლი გავიდა. საშუალოდ 2,68 გოლი შეხვედრაში.

■ 15-15 გოლი ბოსნიელებმა და გერმანელებმა გაიტანეს (საშუალოდ 3,8 გოლი), შემდეგ მოდის ჰოლანდია 13 გოლით (3,3).

■ ერთადერთი ნაკრები, რომელსაც ჯერ გოლი არ გაუშვია, **ფაბიო კაპელოს** გაწვრთნილი რუსეთის ნაკრებია. კიდევ ხუთმა ნაკრებმა მხოლოდ თითო გოლი გაუშვა.

■ 4-4 თამაში მოიგეს რუსებმა და ჰოლანდიელებმა.

■ ყველაზე ხშირად მეტოქეთა მეკარეებს გერმანიის ნაკრები აწუხებს - საშუალოდ 8,25 მატჩში.

■ მხოლოდ ერთხელ მიიღო ყვითელი ბარათი ჩეხეთის ნაკრებმა, ესპანელებმა და ირლანდიელებმა - 2-2-ჯერ.

■ ყველაზე მეტი გოლი ლიხტენშტაინი-ბოსნიის მატჩში გავიდა, რომელიც 1:8 მორჩა.

■ ყველაზე მეტჯერ კარში ზუსტად ხორვატია-უელსის (2:0) შეხვედრაში დაარტყეს - 18-ჯერ.

**Football Lineups-ის ტაქტიკური გარჩევის მიხედვით, საქართველოს ნაკრები ერთადერთი გუნდია შესარჩევ ციკლში, რომელიც 5 მცველით თამაშობს.**

■ ყველაზე მეტი კუთხური პორტუგალია-აზერბაიჯანის (3:0) მატჩში ჩააწოდეს - 24.

■ ყველაზე მეტი ფეხბურთელი შესარჩევ ციკლში „რეალიდან" (ესპანეთი), „ბაიერნიდან" (გერმანია), „ზენიტიდან" (რუსეთი), „მანჩესტერ სიტიდან" და „მანჩესტერ იუნაიტედიდან" (ინგლისი) თამაშობს - 12-12.

■ ყველაზე ხშირად გამოიყენეს 4-2-3-1 ტაქტიკური სქემა - 80-ჯერ. 26-ჯერ გუნდებმა კლასიკურ 4-4-2-ს მიმართეს.

■ ყველაზე მეტი ფეხბურთელი იტალიის ნაკრებმა გამოიყენა - 27, ყველაზე ცოტა ავსტრიამ - 14.

■ ყველაზე ახალგაზრდული ნაკრები ბელგიას ჰყავს - საშუალო ასაკი - 23,4 წელი. ყველაზე ხანდაზმული ნაკრებით თამაშობს მალტა - 28,1 წელი.

## მინუს ნიშნით

### ინდივიდუალური

■ ქართველი ფორვარდი **ლევან მჭედლიძე** ყოველ 18,3 წუთში ერთხელ ჯარიმდება, ანუ ყველაზე ხშირად. მას 13 ფოლი დაუგროვდა, რაც მე-4 შედეგია რაოდენობით. საოცარი ისიცაა, რომ მჭედლიძე ფორვარდია, ტერმინატორთა კლასში კი ძირითადად მცველები და საყრდენი ნახევარმცველები ლიდერობენ

**Football Lineups: ბურთის ფლობის ყველაზე დაბალი მაჩვენებელი საქართველო vs ესპანეთი - 20 %!**

ხოლმე. სხვათა შორის, ლევანი ხშირად მსხვერპლის როლშიცაა - ყოველ 29,7 წუთში მის წინააღმდეგ ჯარიმდებიან.

■ ჩრდილო ირლანდიელთა 25 წლის ტანმაღალი ფორვარდი **კაილ ლაფერტი**, რომელიც შვეიცარიულ „სიონში" თამაშობს, ყოველ 30 წუთში ერთხელ ხვდება თამაშგარე მდგომარეობაში. ამიტომაც მან ვერ შეძლო ჯერჯერობით გოლით თავის გამოჩენა.

■ ევროზონაში შესარჩევ ციკლში 19 ფეხბურთელი გააძევეს. მათ შორის არაა ქართველი. ბულგარელ **ივან ბანდალოვსკისა** და უელსელ **ჯეიმს კოლინზს** „თავის გამოსაჩენად" 26-26 წუთიც ეყოთ.

■ ბულგარელთა 28 წლის მცველი **სვეტოსლავ დიაკოვი** სამ თამაშში ოთხჯერ გააფრთხილეს. ბუნებრივია, ერთ-ერთში (სომხეთის ნაკრებთან) ორი ყვითელი ბარათი გაუწითლდა.

### გუნდური

■ საქართველოს ნაკრების შედეგიანობა 0,5 გოლია მატჩში. ჩვენი გუნდი საშუალოდ 1 გოლს უშვებს შეხვედრაში.

■ ბოსნიის ნაკრების სამმა ფეხბურთელმა (**ჯეკო, იბიშევიჩი, მისიმოვიჩი**) ერთად 13 გოლი (ნაკრებმა სულ - 15) გაიტანა, მაშინ, როცა საქართველოს ნაკრებმა სულ - 2.

■ საქართველოს ნაკრების ანგარიშზე სულ 14 არაზუსტი დარტყმაა, საშუალოდ - 3,5.

■ ყველაზე უხეში ბელარუსის ნაკრებია, რომელიც თამაშში საშუალოდ 20,75-ჯერ ჯარიმდება. სამწუხაროდ, უხეშ გუნდთა სამეულში ჩვენც ვართ - 15,25 ჯარიმა საშუალოდ.

■ საქართველოს ნაკრები 8-ჯერ გააფრთხილეს (საშუალოდ 2-ჯერ მატჩში).

■ ყველაზე უხეში თამაში თბილისში გაიმართა - საქართველო-ბელარუსი (1:0) - 42 ჯარიმა! არადა, მსაჯმა სულ 3 ფეხბურთელი გააფრთხილა. საოცარია, მაგრამ ჯარიმების რაოდენობით მეორე შეხვედრაც ამ გუნდებს შორის შედგა - მინსკში - 40 ფოლი. მინსკურ მატჩში 9 ფეხბურთელი გააფრთხილეს, რაც მეორე მაჩვენებელია შესარჩევ ციკლში.

■ თუმცა ამ თამაშში გუნდები ზღვარს არ გადასულან, განსხვავებით ბულგარეთი-სიმხეთის (1:0) დაპირისპირებისგან, სადაც 10 გაფრთხილება და 3 გაძევება დაფიქსირდა.

■ „ფუტბოლ ლაინაპსის" ტაქტიკური გარჩევის მიხედვით, საქართველოს ნაკრებმა 4-ჯერვე 5-5 მცველით ითამაშა. მეტიც, ამავე გამოცემის მიხედვით, საქართველოს ნაკრები ერთადერთი გუნდია, რომელიც 5 მცველით თამაშობს. მხოლოდ ერთხელ ითამაშა სხვა ნაკრებმა ხუთი მცველით - ბელარუსმა ესპანეთის წინააღმდეგ და 0:4 წააგო. აქვე ვაზუსტებთ, რომ გამოცემა მხოლოდ მატჩის სასტარტო ტაქტიკურ სქემას არ ეყრდნობა.

■ გოლი ჯერ არ გაუტანიათ სან მარინოსა და ანდორის ნაკრებებს. თითო გოლი კიდევ 7 ნაკრების ანგარიშზეა. მათ შორის არიან ფინელები, რომელთაც ის ერთადერთი გოლი ჩვენი ნაკრების კარში გაიტანეს, თუმცა ისიც აღსანიშნავია, რომ ფინელებმა შესარჩევში ყველაზე ცოტა, 2 თამაში გამართეს ჯერ.

■ 13 ნაკრები ჯერ მოუგებელი რჩება. ტრადიციულ აუტსაიდერებთან გარემოცვაში საკვირველია დანიისა და უკრაინის ნაკრებთა აღმოჩენა.

■ ბულგარეთის ნაკრებმა ყველაზე მეტი მატჩი დაასრულა ფრედ - 3.

■ 4-4 თამაში წააგეს ლიხტენშტაინმა და ანდორამ.

■ მალტა და სან მარინო მეტოქის კარში ზუსტად თამაშში საშუალოდ თითოჯერ ურტყამს.

■ ყველაზე ხშირად ავსტრიის ნაკრები აცილებს მეტოქის კარს, საშუალოდ 9-ჯერ მატჩში.

■ მართალია, სან მარინოს ნაკრები ყველაზე იშვიათად აცილებს (მხოლოდ 2-ჯერ), მაგრამ ეს ვერაფერი შელავათია. ჯუჯა-ქვეყნის ნაკრებს სულ 5 დარტყმა დაუგროვდა მიმდინარე შესარჩევ ციკლში.

■ სან მარინომ სულ 2-ჯერ მოაწოდა კუთხური.

■ ჩრდილოეთ ირლანდიელთა წინააღმდეგ მხოლოდ 9-ჯერ იუხეშეს.

■ მხოლოდ ორ ნაკრებს დაუგროვდა 2-2 გაძევება - სომხეთს და ბულგარეთს.

### ინდივიდუალური სტატისტიკა

#### გოლები

| გ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ |
|---|---|---|---|
| 5 | ტომერ ჰემედი | ისრაელი | 247 |
| 5 | ედინ ჯეკო | ბოსნია | 360 |
| 5 | მესუთ იოზილი | გერმანია | 360 |
| 4 | ზვ. მისიმოვიჩი | ბოსნია | 349 |
| 4 | ვედად იბიშევიჩი | ბოსნია | 357 |
| 3 | უეინ რუნი | ინგლისი | 146 |
| 3 | ფრენკ ლემპარდი | ინგლისი | 180 |
| 3 | პედრო როდრიგესი | ესპანეთი | 213 |
| 3 | ჯერმეინ ლენსი | ჰოლანდია | 250 |
| 3 | მარკო როისი | გერმანია | 290 |
| 3 | პაბლო ოსვალდო | იტალია | 295 |
| 3 | მიროსლავ კლოზე | გერმანია | 312 |
| 3 | ალ. კერჟაკოვი | რუსეთი | 324 |
| 3 | ელდერ პოსტიგა | პორტუგალია | 342 |
| 3 | გარეთ ბეილი | უელსი | 360 |
| 3 | მარეკ საპარა | სლოვაკეთი | 360 |

#### საგოლე პასები

| პ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ |
|---|---|---|---|
| 4 | თომას მიულერი | გერმანია | 315 |
| 3 | მირალემ პიანიჩი | ბოსნია | 235 |
| 3 | მარკო არნაუტოვიჩი | ავსტრია | 270 |
| 3 | ლუსიანო ნარსინგი | ჰოლანდია | 270 |
| 3 | ანდრეა პირლო | იტალია | 344 |
| 3 | ბებრას ნათხო | ისრაელი | 347 |
| 3 | ჟოაო მოუტინიო | პორტუგალია | 360 |

#### გოლი+პასი

| ქ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ |
|---|---|---|---|
| 7 | ედინ ჯეკო | ბოსნია | 360 |
| 5 | მირალემ პიანიჩი | ბოსნია | 235 |
| 5 | ტომერ ჰემედი | ისრაელი | 247 |
| 5 | ჯერმეინ ლენსი | ჰოლანდია | 250 |
| 5 | მარკო როისი | გერმანია | 290 |
| 5 | ზვიეზდან მისიმოვიჩი | ბოსნია | 349 |
| 5 | ვედად იბიშევიჩი | ბოსნია | 357 |
| 5 | მესუთ იოზილი | გერმანია | 360 |

#### კარში დარტყმა (ზუსტი)

| დ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 10 | ტომერ ჰემედი | ისრაელი | 247 |
| 10 | ელდერ პოსტიგა | პორტუგალია | 342 |
| 10 | მარეკ საპარა | სლოვაკეთი | 360 |
| 9 | ტიმ მატავჟი | სლოვენია | 360 |
| 8 | ალ. კერჟაკოვი | რუსეთი | 324 |
| 8 | კრ. რონალდო | პორტუგალა | 360 |

#### კარში დარტყმა (აცილება)

| დ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 12 | კრ. რონალდო | პორტუგალია | 360 |
| 9 | სტევან იოვეტიჩი | ჩერნოგორია | 266 |
| 8 | ალ.რ კერჟაკოვი | რუსეთი | 324 |
| 7 | ფანის გეკასი | საბერძნეთი | 286 |
| 7 | ზორან ტოშიჩი | სერბეთი | 317 |
| 7 | ტომ კლევერლი | ინგლისი | 332 |

#### თამაშგარე

| თ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 9 | კაილ ლაფერტი | ჩ. ირლანდია | 270 |
| 7 | მაიკლ მიფსუდი | მალტა | 270 |
| 7 | ჩიპრიან მარიკა | რუმინეთი | 308 |
| 7 | ტიმ მატავჟი | სლოვენია | 360 |
| 6 | ლუსიანო ნარსინგი | ჰოლანდია | 270 |

#### გაფრთხილება

| ბ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 4 | სვეტ. დიაკოვი | ბულგარეთი | 253 |
| 3 | ბოშტიან ცესარი | სლოვენია | 269 |
| 3 | ფილიპ ლამი | გერმანია | 270 |

#### ჯარიმა

| ჯ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 17 | სტ. მანოლევი | ბულგარეთი | 360 |
| 15 | იველინ პოპოვი | ბულგარეთი | 321 |
| 14 | მაქსიმ ბორდაჩევი | ბელარუსი | 330 |
| 13 | **ლევან მჭედლიძე** | **საქართველო** | **238** |
| 12 | დანიელ ბრაატენი | ნორვეგია | 337 |
| 12 | მატია ნასტასიჩი | სერბეთი | 360 |

#### ჯარიმა (მათზე)

| ჯ. | ფეხბ. | ნაკ. | წთ. |
|---|---|---|---|
| 15 | მიკელე პოლვერინო | ლიხტენშტ. | 360 |
| 13 | გორან პანდევი | მაკედონია | 270 |
| 12 | ფრანკ რიბერი | საფრანგეთი | 269 |
| 11 | **თორ. ოქრიაშვილი** | **საქართველო** | **289** |
| 10 | ჰენრიკ მხითარიანი | სომხეთი | 270 |
| 10 | გარეთ ბეილი | უელსი | 360 |
| 10 | გიოკჰან ინლერი | შვეიცარია | 360 |
| 10 | **ჯაბა კანკავა** | **საქართველო** | **360** |
| 10 | დარიო სრნა | ხორვატია | 360 |

### გუნდური სტატისტიკა

#### გოლი

| გოლი | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 15 | ბოსნია | 3,75 |
| 15 | გერმანია | 3,75 |
| 13 | ჰოლანდია | 3,25 |
| 12 | ინგლისი | 3 |
| 10 | უნგრეთი | 2,5 |
| 10 | ისრაელი | 2,5 |
| 10 | იტალია | 2,5 |

#### გოლი (მიღებული)

| გოლი | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 0 | რუსეთი | - |
| 1 | შვეიცარია | 0,25 |
| 1 | ბელგია | 0,25 |
| 1 | საბერძნეთი | 0,25 |
| 1 | ჩეხეთი | 0,33 |
| 1 | ესპანეთი | 0,33 |

#### კარში დარტყმა (ზუსტი)

| დარტ. | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 33 | გერმანია | 8,25 |
| 31 | პორტუ.გალია | 7,75 |
| 31 | სლოვაკეთი | 7,75 |
| 30 | ბოსნია | 7,5 |

#### კარში დარტყმა (აცილება)

| დარტ. | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 32 | სლოვაკეთი | 8 |
| 30 | პორტუგალია | 7,5 |
| 29 | შვეიცარია | 7,25 |
| 28 | ბელგია | 7 |

#### კუთხური

| კუთხ. | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 47 | პორტუგალია | 11,75 |
| 34 | სლოვაკეთი | 8,5 |
| 32 | ბელგია | 8 |

#### ჯარიმა

| ჯარიმა | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 83 | ბელარუსი | 20,75 |
| 72 | ბულგარეთი | 18 |
| 61 | **საქართველო** | **15,25** |

#### ჯარიმა (მათზე)

| ჯარიმა | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 70 | იტალია | 17,5 |
| 65 | **საქართველო** | **16,25** |
| 64 | საბერძნეთი | 16 |

#### გაფრთხილება

| ბარათი | ნაკ. | საშ |
|---|---|---|
| 16 | ლიტვა | 4 |
| 13 | მაკედონია | 3,25 |
| 13 | ლიხტენშტ. | 3,25 |

გვერდი მოამზადა
ნიკოლოზ ნეფარიძემ





ჰემედი და დვალიშვილი ჰაიფას „მაქაბიში" თამაშისას

უცხოური ფეხბურთი

ინგლისის ნაკრები. გამოხმაურება

# ბრეივ ჰარტი: ჩემი ბრალია

## რა დალიეს ინგლისის ნაკრების ფეხბურთელებმა თამაშის წინა ღამეს?

პოლონეთთან შეხვედრის შემდეგ ჩვენმა ინგლისელმა კოლეგებმა **როი ჰოჯსონის** გუნდის თამაში მკვეთრად უარყოფითად შეაფასეს. ისინი იმ უმთავრეს მინუსებზე ალაპარაკდნენ, რომელიც 65 წლის სპეციალისტმა ბრაზილიაში გასამართ მსოფლიოს ჩემპიონატამდე უნდა გამოასწოროს. მოდი, მოკლედ მიმოვიხილოთ, თუ რაზე ამახვილებენ ყურადღებას ბეჭდური მედიის ექსპერტები.

პირველ რიგში ლაპარაკია თავდასხმის ხაზში **უეინ რუნისა** და **ჯერმეინ დეფოს** დუეტის შეუთამაშებლობაზე. ზუსტად ისე, როგორც "იუნაიტედშია" შეჩვეული, რუნი მეტისმეტად უკან იხევს და თანაგუნდელს წინა ხაზზე მარტოს ტოვებს. დეფო კი ამისთვის მზად არ არის; მედიის წარმომადგენელთა თქმით, ისინი ვერ იგებენ, თუ რატომ გაამწესა მწვრთნელმა **ტომ კლევერლი** ნახევარდაცვის მარცხენა ფლანგზე, როცა ის გამოკვეთილი "ცენტრისტია"; ცენტრალური მცველები (**ჯოლეონ ლესკოტი და ფილ იაგიელკა**) ტექნიკური თვალსაზრისით ძალიან სუსტები არიან და დაცვიდან ბურთის ხეირიანად ამოტანას ვერ ახერხებენ. ვფიქრობთ, ამ ეტაპზე საკმარისია.



ინგლისელებმა პოლონეთში ქულები დაკარგეს

ახლა კი "დეილი მეილიდან" ამონარიდს შემოგთავაზებთ, საიდანაც ცხადი გახდება, რომ ინგლისის ნაკრების თამაშის ხარისხით უკმაყოფილონი მარტო ჩვენ არ დავრჩენილვართ. აი, რას წერს ჟურნალისტი **მარტინ სამუელი**: "მატჩის შედეგით უკმაყოფილო მხოლოდ ერთ მხარე შეიძლებოდა დარჩენილიყო – პოლონეთის მასპინძლებმა უფრო საინტერესო გუნდის შთაბეჭდილება დატოვეს, ბევრად უფრო კრეატიულები იყვნენ და კარის აღების მეტი შანსიც ჰქონდათ. გოლი, რომელიც ინგლისმა გაიტანა, ერთადერთი რეალური მომენტი იყო 90 წუთის განმავლობაში. პოლონეთი კი მთელი თამაში მომენტების გაფუჭების მეტს არაფერს აკეთებდა".

რაც შეეხება უშუალოდ ნაკრების წარმომადგენლებს, ერთადერთი, ვინც ვარშავაში აღებული ქულით კმაყოფილი დარჩა, როი ჰოჯსონი იყო. კარგია, რომ შინ ცარიელი ხელებით არ ვბრუნდებით. "ხანდახან ხდება, რომ საქმეები სულაც არ მიდის ისე, როგორც გეგმავ, მაგრამ მაინც აღწევ შედეგს, რომელსაც შეგიძლია დადებითი უწოდო. პოლონეთთან ქულა სულაც არ არის ტრაგედია. ნამდვილად არ ვფიქრობ, რომ ეს ჩვენი საუკეთესო თამაში იყო, მაგრამ გარემოფაქტორები უნდა გავითვალისწინოთ. მაგალითად ის, რომ მინდორი არ ვარგოდა, რამაც კომბინაციური ფეხბურთის თამაშის საშუალება არ მოგვცა," – განუცხადა ჰოჯსონმა BBC-ს.

მასპინძელთა გოლის ეპიზოდში უხეშად შეცდა ინგლისელთა დაცვაც და მეკარეც. **ჯო ჰარტი** გაუაზრებლად გამოვიდა ბურთზე, **ჯოლეონ ლესკოტს** შეეჯახა, რამაც **კამილ გლიკს** ანგარიშის გათანაბრების საშუალება მისცა. "მანჩესტერ სიტის" 25 წლის გოლკიპერმა მთელი "დანაშაული" საკუთარ თავზე აიღო: "კუთხურისას გამოსვლაზე თამაში გადავწყვიტე, მე ვერ შევწვდი, მეტოქემ კი ბურთს თავი დროულად დაუხვედრა. ჩემი უხეში შეცდომა იყო, რაც ნაკრებს ქულების დაკარგვად დაუჯდა. უმჯობესი იყო, ხაზზე დავრჩენილიყავი".

P.S. ინგლისის ნაკრები სკანდალის გარეშე არ რჩება: ბრიტანული პრესა ამტკიცებს, რომ მას მერე, რაც სამშაბათს თამაში დიდი წვიმის გამო გადაიდო, ფეხბურთელებმა ძილისმომგვრელი აბები მიიღეს. რის გამოც მეორე დღეს, ლამის თამაშის წინ კოფეინით გაჟყება დასჭირდათ, რათა გამოფხიზლებულიყვნენ. ფეხბურთელები, კერძოდ **რიო ფერდინანდი** და **ფილ ნევილი** ასეთ ბრალდებას აბსურდულს უწოდებენ, რადგან წინა ღამით მიღებული აბები, მეორე დღეს თამაშზე გავლენას ვერაფრით მოახერხეს. ფეხბურთის ასოციაცია ამაზე კომენტარს არ აკეთებს.

სერ ალექსის ფრთიანი ფრაზები

# ფერგი თავის ფეხბურთელებზე, კოლეგებზე, მეტოქეებზე...

**გაზეთმა "ინდეპენდენტმა" სერ ალექს ფერგიუსონის ცნობილი გამონათქვამების მთელი კრებული შეაგროვა და ერთ დიდ მასალად, ოღონდ ორ ნაწილად წარმოგვიდგინა. 70 წლის შოტლანდიელი ხომ სახელგანთქმულია ამ მხრივ. რამდენიმე დღის წინ მკითხველს პირველი ნაწილი გავაცანით. დღეს კი დასკვნით მონაკვეთს ვთავაზობთ.**

■ "მახსოვს, რამდენიმე წლის წინ ერთ ახალგაზრდა ფეხბურთელს ვკითხე, იცოდა თუ არა, ვინ იყო დენის ლოუ. მიპასუხა, წარმოდგენა არ მაქვსო. ჰოდა, ავდექი და ადგილზე დავხვრიტე," – "მანჩესტერ იუნაიტედის" ლეგენდარულ ფეხბურთელ **დენის ლოუზე**.

■ "ფეხბურთელები მისი შიშით თვალებს ხუჭავდნენ. ხოლო მაშინ, როცა ის ჩემს თავზე ალიმართებოდა, ვუყურებდი და ვფიქრობდი, ამან ერთი რომ დამარტყას უეჭველად მომკლავსთქო," – **პეტერ შმაიხელზე**.

■ "მატჩის შემდეგ ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებულთა თასი თქვენგან რამდენიმე მეტრში იქნება და თითსაც კი არავინ დაგაკარებინებთ თუკი დღეს წააგებთ. ბევრ თქვენგანს კი მისი მოგების შანსი ცხოვრებაში აღარასოდეს მიეცემა. აბა გაბედეთ მოედნიდან ისე გამოსვლა, რომ ბოლომდე არ იბრძოლოთ," – 1999 წლის 26 მაისს "კამპ ნოუზე" გამართული ფინალის შესვენებისას.

■ "ეს საშუალებას მოგვცემს, რომ ამ დაწყევლილი ჟურნალისტებისგან თავი მაქსიმალურად დავიცვათ," – "კერინგტონის" საწვრთნელ ბაზაზე.

■ "მხოლოდ ჭეშმარიტი ჩემპიონები ბრუნდებიან და უჩვენებენ ყველას საკუთარ ფასს. მჯერა, რომ ჩვენ ზუსტად ასე მოვიქცევით," – 2006 წელს "არსენალთან" ჩემპიონატში მეორე ნაგების შემდეგ.

■ "ასეთი ერთგული და ემოციური გულშემატკივრების წყალობით გუნდმა შეიძლება მსოფლიო თასის მოგებაზეც კი იზრუნოს," – "ნიუკასლის" მხარდამჭერებზე.

■ "თქვენ რა, მეხუმრებით? თქვენი აზრით ვგავარ მაზოხისტს, ვისაც საკუთარი მდგომარეობის დამძიმება სურს? ამ ბრძოლიდან მათ გამოგდებაზე რას იტყვით?" – 2007 წელს, რეაქცია შეკითხვაზე "ლივერპულის" საჩემპიონო შანსებთან დაკავშირებით.

■ "მე მასთან ნაძლევი დავდე სეზონის განმავლობაში 15 გოლის გატანაზე, მაგრამ ახლა ვაპირებ, რომ პირობებს ცალმხრივად გადავხედო. თუკი ის ამდენს გაიტანს, ყველაფერს შევცვლი და 150 გოლს ჩავუწერ. ამის უფლება ნამდვილად მაქვს, მე ხომ მისი მწვრთნელი ვარ," – **კრიშტიანო რონალდოზე**.

■ "როცა ჩვენ ის შევიძინეთ 18 წლის იყო და ყველა ერთსა და იმავეს კითხულობდა, როგორი იქნებოდა 21 წლისა, ახლა როცა 21-ის შესრულდა, ხალხს აინტერესებს, როგორი იქნება 25 წლის. ლოგიკურია, სხვანაირად ვერც წარმომედგინა," – **უეინ რუნიზე**.

■ "ჩემი აზრით, ის უბრალოდ გაბრაზებული იყო. ნამდვილად რაღაცამ გააღიზიანა. გირჩევთ, ნუ მიაქცევთ ყურადღებას ნეგატიურ ფონს. იმედია, როცა საღ გონებაზე იქნება, თავად გააანალიზებს, თუ რა შარში გაყო თავი," – **რაფა ბენიტესზე** მას მერე, რაც ესპანელმა ფერგიუსონის მაკომპრომეტირებელ მასალებზე დაიწყო ლაპარაკი.

■ "არა მგონია, არსებობდეს ფეხბურთელი, ვისაც უფრო მეტად ვაფასებ, ვიდრე ამ ირლანდიელს, მაგრამ "დელე ალპის" შემდეგ ის ჩემს თვალში კიდევ უფრო ამაღლდა. ყვითელმა ბარათმა, რამაც ფინალს მიღმა დატოვა ის გაორმაგებული ენერგიით აღავსო, რათა მისი გუნდიც თამაშგარეში არ აღმოჩენილიყო. ეს იყო თავდადების ყველაზე ნათელი მაგალითი ფეხბურთის ისტორიაში. მოედანზე ბალახის ერთი ღერიც არ დატოვა, რომელიც არ გადაქელა თავისი ბუცებით. ის უფრო იოლად დათანხმდებოდა უგონოდ ძირს დაცემასა და სიკვდილს, ვიდრე მატჩის წაგებას. თავისი თამაშით მან ახალი სული შთაბერა თანაგუნდელებს. ვამაყობ, რომ ასეთი ფეხბურთელი მყავს," – 1999 წლის 21 აპრილი, ჩემპიონთა ლიგის ნახევარფინალის შემდეგ **როი კინზე**.



ფერგიუსონს კინზე ერთგული შეგირდი იუნაიტედში ბევრი არ ჰყოლია

ამბები

## კოული და სუიციდის მცდელობა

"ჩელსისა" და ინგლისის ნაკრების 31 წლის მცველი **ეშლი კოული** 2010 წლის თებერვლის ბოლოს მეუღლესთან განშორების შემდეგ თვითმკვლელობაზე ფიქრობდა. ინფორმაცია საზოგადოებამ **შერილ კოულის** ავტობიოგრაფიული წიგნის გამოცემის შემდეგ შეიტყო. მომღერლის თქმით, ამის თაობაზე მას საერთო მეგობრები რეგულარულად აწვდიდნენ ინფორმაციას. ცხადია, ეშლის დეპრესია "ჩელსის" ხელმძღვანელებმაც შეამჩნიეს, რის გამოც მას ფსიქოანალიტიკოსთან მკურნალობა შესთავაზეს. შეგახსენებთ, რომ ორი წლის წინ გაზეთებმა კოული მეუღლის ღალატში ამხილეს, რის შემდეგაც მისმა ლამაზმანმა მეუღლემ სასწრაფოდ განქორწინება მოითხოვა.

## იუნაიტედის ახალი სპონსორი

"მანჩესტერ იუნაიტედმა" მორიგი სპონსორი იპოვა. ეს არის იაპონური კომპანია Kagome, რომელიც კვების მრეწველობაში მუშაობს. მხარეთა შორის გაფორმებული ხელშეკრულება ძალაში 2015/16 წლების სეზონის ბოლომდე იქნება. აუცილებლად უნდა აღინიშნოს, რომ "წითელი ეშმაკები" 23 წლის **შინჯი კაგავას** შეძენის შემდეგ იაპონიაში კიდევ უფრო პოპულარულები გახდნენ. მათმა ფანკლუბმა უკვე 4 მილიონ ადამიანს მიაღწია.

## გვიდეტის ახალი კონტრაქტი

20 წლის **ჯონ გვიდეტისა** და "მანჩესტერ სიტის" მიერ ახალი კონტრაქტის გაფორმების შესახებ ბრიტანული პრესა ერთი თვის წინაც იტყობინებოდა, მაგრამ მაშინ ინფორმაცია არ დადასტურდა. მოგეხსენებათ, შვედი თავდამსხმელი მაისის შემდეგ მკურნალობს - ჯერ იყო და, მუხლი წამოსტკივდა, რის გამოც ევროპის ჩემპიონატს მიღმა დარჩა, მერე კი ვირუსულმა ინფექციამ შეუტია და ახალი სეზონისთვის მოსამზადებელი ციკლი ჩაუვარდა. ფეხბურთელმა სულ ახლახან განაგრძო სრული დატვირთვით ვარჯიში. ფიზიკური კონდიციების აღდგენის შემდეგ ის უკვე პირველ გუნდთან ერთად ივარჯიშებს. გვიდეტიმ გუშინ "ქალაქელებთან" ხელშეკრულება 2014 წლის ივლისამდე გააგრძელა. ინფორმაციას "სიტის" ვებგვერდი ადასტურებს. "ძალიან ბედნიერი ვარ, რომ ახალი შეთანხმება გავაფორმეთ. ეს ჩემთვის უზარმაზარი მოტივაციაა. ფეხბურთელად სწორედ ამ კლუბში ჩამოვყალიბდი და ამის გამო მადლობის მეტი არაფერი მეთქმის," – აცხადებს გვიდეტი.

## ორივე დაისჯება

გუშინდელ ნომერში ვწერდით, რომ ინგლისში მკაცრი გამოხმაურება მოჰყვა სერბეთში ახალგაზრდული ნაკრებების შეხვედრის (0:1) შემდეგ გაჩაღებულ არეულობებს. უეფას ვებგვერდზე გამოქვეყნებულ განცხადებაში ვკითხულობთ, რომ დაუსჯელი არც ერთი მხარე არ დარჩება. მასპინძლების ბრალი დღესავით ნათელია, მათ ვერ უზრუნველყვეს შეხვედრის უსაფრთხოება, რადგან ადგილობრივმა გულშემატკივრებმა აღვირახსნილი რასისტული გამოხდომების გარდა თავი იმით გამოიჩინეს, რომ გამარჯვებულებთან ფიზიკური ანგარიშსწორების მიზნით მოედანზე გადახტნენ. ამას გარდა, სერბი ფეხბურთელები საფინალო სასტვენის შემდეგ ჩხუბის ინიციატორებად მოგვევლინენ. ინგლისელებს რაც შეეხებათ, გაწევ-გამოწევაში ისინიც ჩაებნენ. უეფას საკონტროლო-სადისციპლინო კომიტეტი ინციდენტს 22 ნოემბერს განიხილავს.

## ტერი ბედს შეურიგდა

"ჩელსის" კაპიტნის, 31 წლის **ჯონ ტერის** სკანდალურ საქმეს თითქმის ერთწლიანი დავიდარაბის შემდეგ (ყველაფერი "ქუინზ პარკთან" 2011 წლის 23 ოქტომბრის მატჩის შემდეგ დაიწყო) წერტილი დაესვა. ფეხბურთელმა და მისმა ადვოკატებმა საბოლოო თქვეს უარი ინგლისის საფეხბურთო ასოციაციის მიერ შექმნილი დამოუკიდებელი კომისიის გადაწყვეტილების გასაჩივრებაზე. შეგახსენებთ, რომ ფეხბურთელს 4-მატჩიანი დისკვალიფიკაცია აქვს მოსახდელი. ამას გარდა 220 ათასი ფუნტის ჯარიმის გადახდაც მოუწევს. "მინდა ვისარგებლო შემთხვევით და კიდევ ერთხელ მოვიხადო ბოდიში ჩემი საქციელის გამო. მართალია, იმედგაცრუებული ვარ ასოციაციის გადაწყვეტილებით, მაგრამ ვაღიარებ, რომ ის ფრაზა, რაც მეტოქის მისამართით ვიხმარე, მიუღებელია როგორც მინდორზე, ისე მის მიღმა. მეორედ მსგავსი რამ აღარ განმეორდება", - განაცხადა ტერიმ. კომისიის გადაწყვეტილება ძალაში გუშინ შევიდა.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

სერია A

# SURPRISE

## 5 აღმოჩენა სეზონის სტარტზე

**სერია A-ს დაწყებიდან 7 ტურია გასული და უკვე შეგვიძლია გარკვეული დასკვნების გამოტანა. მაგალითად, გამოიკვეთა რამდენიმე მოთამაშე, რომლებმაც თავი საუკეთესო კუთხით წარმოაჩინეს და ამით, ბევრი გააკვირვეს. ედინსონ კავანი რომ კარგად ირჯება და გოლს გოლზე იტანს, ეს არ გვიკვირს, მაგრამ აი, სტეფან ელ შაარავი რომ "მილანის" ლიდერია, ეს ნამდვილად გამოსარჩევი ამბავია. მოკლედ, ქვემოთ იმ ხუთ ფეხბურთელს წარმოგიდგენთ, რომელთა თამაში ნამდვილი აღმოჩენა, გნებავთ, სიურპრიზია...**



სტეფან ელ შაარავი "მილანის" ლიდერად მოგვევლინა

### 1. სტეფან ელ შაარავი
### მილანი, 19 წლის

მიმდინარე სეზონში, **სტეფან ელ შაარავიმ** უდიდესი ნაბიჯი გადადგა წინ და "მილანის" მთავარ დამრტყმელ ძალად მოგვევლინა. მართალია, "როსონერი" კრიზისშია და საუკეთესო დროება არ უდგას, მაგრამ „მილანი" მაინც "მილანია" და ამ გუნდის ლიდერობა სახუმარო ამბავი არ გახლავთ. დღეს, თუ რამით ამაყობენ ლომბარდიული გრანდის მესვეურები, სწორედ ის არის, რომ თავის დროზე, ელ შაარავი "ინტერთან" და "იუვენტუსთან" კონკურენციაში გადაიბირეს.

**ადრიანო გალიანის** თქმით, სტეფანი მას **ანდრეი შევჩენკოს** აგონებს, რადგან უკრაინელის მსგავსად, თანაბარი წარმატებით თამაშობს როგორც სიღრმიდან, იერიშების დაწყების დროს, ისე დამაგვირგვინებელ ფაზაში. ერთადერთ მის მინუსად თავით თამაში დაასახელა და იმედი გამოთქვა, რომ ახალგაზრდა შემტევი ამ კომპონენტშიც მოუმატებს. აღსანიშნავია, რომ ელ შაარავიმ იტალიის ეროვნულ ნაკრებშიც მიიღო მიწვევა და თუ ასე გააგრძელა, "სკუადრა აძურაშიც" დაიმკვიდრებს ადგილს.

### 2. ბორხა ვალერო
### ფიორენტინა, 27 წლის

ხუთეულში კიდევ ერთი ფლორენციელი მოხვდა, რომელიც ფაკუნდო რონკალიას მსგავსად, "ფიორენტინაში" გასულ ზაფხულს გადავიდა. მართალია, **ბორხა ვალეროსგან** კარგი თამაში არავის უკვირს, მაგრამ ასე მალე თუ აუღებდა ალღოს იტალიურ ფეხბურთს, ნამდვილად არავის ეგონა. მით უმეტეს, არაერთი მაგალითის მოყვანა შეგვიძლია თუ როგორ ჩაიკარგნენ სერია A-ში კიდევ უფრო გამოჩენილი და ცნობილი ესპანელი ვარსკვლავები... მარტო **გაისკა მენდიეტას** მაგალითი რად ღირს, რომელიც "ლაციოში" დიდი ზარ-ზეიმით გადაიბირეს, მასში კოლოსალური თანხა გადაიხადეს, მაგრამ სამაგიეროდ არაფერი მიუღიათ. მოკლედ, ბორხა ვალერო სტერეოტიპებს ამსხვრევს და ამტკიცებს, რომ ესპანელებს იტალიაშიც შეუძლიათ თამაში.

სერია A-ს მიმდინარე სეზონის დაწყებიდან შვიდი ტურია გასული და ბორხამ უკლებლივ ყველა შეხვედრაში მიიღო მონაწილეობა. მართალია, გოლი არ გაუტანია, მაგრამ საგოლე პასები უკვე დაარიგა და მთლიანობაში, გუნდის თამაშს სწორედ ის დირიჟორობს. იტალიურ საფეხბურთო წრეებში ღიად აცხადებენ, რომ ბორხა ვალეროსა და **დავიდ პისაროსგან** შემდგარი საყრდენ ნახევარმცველთა ტანდემი ერთ-ერთი საუკეთესოა იტალიაში.

### 3. ალესანდრო ფლორენცი
### რომა, 21 წლის

**ალესანდრო ფლორენცი** "რომას" აღზრდილია და ამ გუნდის ყველა ასაკობრივი გუნდი აქვს გამოვლილი. უნიჭიერესი ნახევარმცველი გასულ სეზონში "კროტონეში" იყო განათხოვრებული და თავი შესანიშნავად წარმოაჩინა. სერია B-ში 35 შეხვედრა ჩაატარა და 11 გოლი გაიტანა, რაც შუახაზელისთვის შესაშური შედეგია. სწორედ ამიტომ, რომაელებმა მისი დაბრუნება და მთავარ გუნდში დაწინაურება განიზრახეს. მოკლედ, ფლორენციზე გარკვეული ავანსები ზაფხულშივე გაიცა, მაგრამ სეზონს თუ ასე წარმატებულად დაიწყებდა, არავის ეგონა. 21 წლის შუახაზელმა ძირითად შემადგენლობაში დაიმკვიდრა ადგილი და თუ ასე გააგრძელა, შესაძლოა გუნდის ერთ-ერთ ლიდერადაც კი მოგვევლინოს. ფლორენცი ისეთ ფეხბურთელებს უწევს კონკურენციას, რომლებიც "რომას" მესვეურებმა მილიონებად გადაიბირეს, რაც თავისთავად ბევრ რამეზე მეტყველებს.

ალესანდრო იტალიის ახალგაზრდულ ნაკრებშიც წარმატებით ასპარეზობს და ეროვნული გუნდის კანდიდატად ითვლება. **ჩეზარე პრანდელიმ** უკვე განაცხადა, რომ ახალგაზრდა რომაელს ყურადღებით აკვირდება და მასზე დიდ იმედებს ამყარებს.

### 4. ჟუან ჟესუსი
### ინტერი, 21 წლის

"ინტერის" მესვეურებმა 21 წლის **ჟუან ჟესუსი** "ინტერნასიონალიდან" გადაიბირეს და თავიდან იმასაც ამბობდნენ, რომ ერთი სეზონი მას "კატანიაში", ან "ჯენოაში' იჯარის წესით მოუწევდა ასპარეზობა. მილანურ გრანდს მოიჯარეებთან ერთი მოთხოვნა ჰქონდა: ჟულიოს სტაბილურად უნდა ეთამაშა, მაგრამ სიცილიელებმა და გენუელებმა ამ პირობის აუცილებელ შესრულებაზე კატეგორიული უარი განაცხადეს. სხვაგან თადარიგში ჯდომას, ისევ ჩვენთან იყოსო, იფიქრეს მილანელებმა და ბრაზილიელი თავისთან დაიტოვეს.

დღეს, ისეთი რეალობაა, როგორსაც ალბათ თვითონ ფეხბურთელიც კი არ ელოდა - ჟულან ჟესუსი "ინტერის' ძირითად შემადგენლობაში სტაბილურად ასპარეზობს და ისეთ გამოცდილ მოთამაშეებს უწევს კონკურენციას, როგორებიც **ვალტერ სამუელი, კრისტიან კივუ** და **მატიას სილვესტრი** არიან.

"ინტერის" მთავარმა მწვრთნელმა **ანდრეა სტრამაჩონიმ** უკვე განაცხადა, რომ **ანდრეა რანოკიასა** და ჟესუსისგან შემდგარი დაცვის ცენტრი, "ინტერში" უკანა ხაზის პრობლემას მთლიანად აღმოფხვრის. მოკლედ, ახალგაზრდა ბრაზილიელს გუშინ განათხოვრებას უპირებდნენ, დღეს კი მასზე დიდი იმედები მყარდება.

### 5. ფაკუნდო რონკალია
### ფიორენტინა, 25 წლის

**ფაკუნდო რონკალია** "ბოკა ხუნიორსის" აღზრდილია, ყველაზე დიდი დრო ამ გუნდში აქვს გატარებული და გარკვეული წარმატებითაც დაიკვეხნის. შემდეგ, ერთი სეზონი "ესტუდიანტესში" გაატარა და კარიერა იტალიაში, კერძოდ კი "ფიორენტინაში" გააგრძელა. ბევრისთვის მოულოდნელად, ფაკუნდომ სეზონის სტარტზევე გაიბრწყინა და რამდენიმე შესანიშნავი მატჩი ჩაატარა. ფლორენციული გუნდი სამი მცველით ასპარეზობს, რონკალიას კი მარჯვენა ფრთა უკავია და გარდა უშუალო მოვალეობის შესრულებისა, შეტევაშიც კარგად ერთვება. **ვინჩენცო მონტელა** მას ბოლომდე ენდობა და ასე ახასიათებს: *"ასეთი სწრაფი, ტექნიკური და მოაზროვნე მცველი ჯერ არ მინახავს. რონკალიას უდიდესი შესაძლებლობები აქვს და "ფიორენტინამ" მისი გადაბირებით საშური საქმე გააკეთა".*

აღსანიშნავია, რომ ფაკუნდო რონკალიას არგენტინის ნაკრებში არასდროს უთამაშია და როგორც თავად აცხადებს, იტალიის უმთავრეს გუნდში სურს ასპარეზობა. რონკალიას თქმით, მისი წინაპრები ნეაპოლიდან არიან და თუ ოდესმე "სკუადრა აძურას" ფორმას მოირგებს, ამით წინაპართა სულებს გაახარებს. რაც მთავარია, ფაკუნდოს კომენტარს ჩეზარე პრანდელი გამოეხმაურა და განაცხადა, რომ 25 წლის უკანახაზელს ყურადღებით აკვირდება.



ალესანდრო ფლორენცი "რომას" ძირითად შემადგენლობაში ადგილს იმკვიდრებს



სტევან იოვეტიჩთან ერთად, "ფიორენტინაში" ფაკუნდო რონკალია და ბორხა ვალერო ბრწყინავენ



ჟუან ჟესუსზე ანდრეა სტრამაჩონი დიდ იმედებს ამყარებს

ინტერი-იუვენტუსი

# ჯარისკაცები თუ პროფესიონალები?

## კასანო: იუვე სამჯერ ვიუარე

**"ინტერის" და "იუვენტუსის" ფეხბურთელებს, მწვრთნელებს, მესვეურებს თუ უბრალო გულშემატკივრებს ურთიერთდაპირისპირება სისხლში აქვთ გამჯდარი. მართალია, ახლა ამ ორი გრანდის ჯახები ისეთი მწვავე აღარ არის, როგორიც კალჩოპოლის ცნობილი პროცესები დროს იყო, მაგრამ აქაიქ ვითარება მაინც იძაბება. ამ ამბავში ანტონიო კასანოც ჩაერთო, რომელმაც "კორიერე დელო სპორტს" ინტერვიუ მისცა და სიამაყით აღნიშნა, რომ კარიერის განმავლობაში სამჯერ განაცხადა უარი "იუვენტუსში" გადასვლაზე. 30 წლის შემტევის სრული ინტერვიუთი ნამდვილად არ შეგაწყენთ თავს და მხოლოდ ყველაზე საინტერესო მონაკვეთებს წარმოგიდგენთ...**

**- ამბობენ, რომ ზაფხულში "იუვენტუსში" გადასვლის შანსი გქონდათ...**

- დიახ, ეს სრული სიმართლეა და ამის დამალვას აზრი არ აქვს. ტურინელებმა საკმაოდ სარფიანი კონტრაქტი შემომთავაზეს, მაგრამ კატეგორიული უარი განვაცხადე. საერთოდ, კარიერის განმავლობაში "იუვეს" მესვეურებმა სამჯერ მომმართეს წინადადებით, მაგრამ სამივეჯერ უარი განვაცხადე. ტურინულ გრანდში უამრავი ჩემი მეგობარი თამაშობს, მაგრამ პირადად მე, იქ გადასვლის სურვილი არ მაქვს. "იუვეში" ჯარისკაცები სჭირდებათ, მე კი ასეთ გარემოში ყოფნა არასდროს მხიბლავდა.

**- "ინტერში" სრული თავისუფლება გაქვთ?**

- "ინტერში" თავს ისე ვგრძნობ, როგორც საკუთარ სახლში. ანდრეა სტრამაჩონისთან ურთიერთობა ერთ რამედ ღირს, ძალიან გულღია ადამიანია და თითოეულ მოთამაშესთან მეგობრობს. სწორედ ასეთ ატმოსფეროში ვგრძნობ თავს კარგად, რაც ჩემს თამაშზეც შესაბამისად აისახება. აქვე, დიდი მადლობა მინდა გადავუხადო "ინტერის" მესვეურებს, ისინი მენდნენ და ყველაფერს გავაკეთებ, რომ გაცემული ავანსები გავამართლო.

### ტურინელი ექო

გასაკვირი არ არის, რომ **ანტონიო კასანოს** კომენტარებს ტურინში გამოეხმაურნენ და საპასუხო განცხადებები გააკეთეს. პირველი **ლეონარდო ბონუჩიმ** აიმაღლა ხმა: *"ჯარისკაცები? - არა, ასეთ ფორმულირებას ნამდვილად ვერ დავეთანხმები. ჩვენ ვართ პროფესიონალები და არა ჯარისკაცები. თუ ვინმეს პროფესიონალიზმთან დაკავშირებით პრობლემები აქვს და დისციპლინის დაცვა უჭირს, პასუხი საკუთარ თავს უნდა მოსთხოვოს. კასანოს არასდროს უთამაშია "იუვეში" და არ უნდა საუბრობდეს ასე თამამად ჩვენთან არსებულ ატმოსფეროზე. რაც არ იცი, არ უნდა თქვა. ანტონიო ჩემი მეგობარია, მაგრამ ამ შემთხვევაში, სიმართლე ყველაფერზე მაღლა დგას".*

კასანოს განცხადებას "იუვენტუსის" ჩერნოგორიელი ფორვარდი **მირკო ვუჩინიჩიც** გამოეხმაურა და ბოლოს, სწორედ მას გადავცეთ სიტყვა: *"ანტონიომ თავის საქმეებს მიხედოს და ჩვენ თავი დაგვანებოს. ტურინში თავს შესანიშნავად ვგრძნობ და სულაც არ ვთვლი თავს ჯარისკაცად. თუმცა, არც მაგის საწინააღმდეგო მაქვს რამე, რადგან ჯარისკაცობა დისციპლინასთან ასოცირდება. შესაძლოა, კასანო გაბრაზებულიც იყოს, რადგან მას "იუვენტუსში" სურდა გადმოსვლა და ეს ტრანსფერი არ შედგა. თვითონ რას ამბობს, ნაკლებად საინტერესოა, რადგან მისი არ მჯერა".*

გვერდი მოამზადა
**ლაშა წიკლაურმა**



ლეონარდო ბონუჩი და ანტონიო კასანო წაკამათდნენ

გერმანიის ნაკრები



მანუელ ნოიერს წყალი შეუდგა? რენე ადლერი (მარჯვნივ) კარგ ფორმაშია

# გერმანიის აზრი ორად გაიყო

## ნოიერს საუკეთესო მეკარედ მხოლოდ 42 პროცენტი მიიჩნევს! დააბრუნებს ლიოვი ადლერს?

**შვედეთთან 4:4-მა გერმანიის ნაკრების მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსები არ შეამცირა, მაგრამ საფეხბურთო გერმანიის აზრზე ბუნდესგუნდის მიმართ საკმაოდ დიდი გავლენა იქონია, რისი დასტურიც თუნდაც ეს ფაქტია: ბუნდესმეკარე მანუელ ნოიერი ამ მატჩის შემდეგ ბევრმა ექსპერტმა გააკრიტიკა.**

26 წლის კარის დარაჯმა, რომელიც გერმანიის ნაკრების პირველი ნომერი 2010 წლიდანაა, შვედეთთან ცუდად ითამაშა – წუნი ჰქონდა როგორც ბურთის თამაშში შეტანისას, ისე გამოსვლების დროს და რთხიდან ორი გოლის აღება ნამდვილად მართებდა. შესაბამისად, **ნოიერს** ყველაზე ცუდი შეფასება დაუწერეს, გაზეთმა „ბილდმა" კი მყისვე გამოკითხვა ჩაატარა. კითხვა ასე ჟღერდა: არის თუ არა ნოიერი დღესდღეობით საუკეთესო გერმანელი მეკარე?

გამოიკითხა 200 000-მდე ქომაგი და როგორც მოსალოდნელი იყო, შედეგი ნოიერისთვის არასახარბიელოა. მანუელს გერმანიის საუკეთესო მეკარედ მხოლოდ 42 პროცენტი მიიჩნევს. ზუსტად 42 პროცენტი კი ფიქრობს, რომ ბუნდესგუნდის პირველი მეკარის წოდებას დღეს „ჰამბურგის" კარის დარაჯი **რენე ადლერი** უფრო იმსახურებს, რომელიც მართლაც შესანიშნავ ფორმაშია. შეგახსენებთ, რომ ნოიერამდე გერმანიის ნაკრების პირველ ნომრად სწორედ 27 წლის ადლერი მიიჩნეოდა, რომელიც იმხანად „ლევერკუზენში" თამაშობდა, მაგრამ მსოფლიოს 2010 წლის ჩემპიონატის წინ მძიმე ტრავმა მიიღო, რის შემდეგაც ბუნდესმეკარე ნოიერი გახდა.

მას მერე ადლერს ორი ურთულესი სეზონი ჰქონდა, ახლა კი „ჰამბურგშია", სადაც ძველებურად ათამაშდა და საფეხბურთო გერმანია კვლავ აალაპარაკა. მიუხედავად ამისა, გერმანიის ნაკრების თავკაცმა **იოახიმ ლიოვმა** ადლერი, რომელსაც ბუნდესგუნდში 10 მატჩი აქვს ჩატარებული, ირლანდიასთან და შვედეთთან საკვალიფიკაციო მატჩებისთვის არ გამოიძახა, ახლა კი საქმეს ისეთი პირი უჩანს, რომ იოგი რენეს ბუნდესგუნდში მალე დააბრუნებს.

საინტერესოა ისიც, რომ ლიოვის გუნდის მეორე და მესამე ნომრებად აღიარებულმა მეკარეებმა ქომაგებისგან ძალიან ცოტა ხმა მიიღეს – მიონხენგლადბახის „ბორუსიას" მეკარე **მარკ-ანდრე ტერ შტეგენს** ქვეყნის საუკეთესო გოლკიპერად გამოკითხულთა მხოლოდ 11 პროცენტი მიიჩნევს, ჰანოვერელმა **რონ-რობერტ ცილერმა** კი სულაც ხმების 5 პროცენტი მიიღო.

გამოკითხვის შედეგები ცხადყოფს, რომ საფეხბურთო გერმანია ლიოვს ნაკრებში ადლერის დაბრუნებას სთხოვს. იოგიმ ცოტა ხნის წინ განაცხადა, რენესთვის ბუნდესგუნდის კარი ღიაა და თუ ასე გააგრძელებს, აუცილებლად გამოვიძახებო. ვფიქრობთ, ყოველივე ზემოთქმულის ფონზე ადლერის გერმანიის ნაკრებში დაბრუნებას საკმაოდ მალე, მაგალითად, ნოემბერში დაგეგმილი ტესტ-მატჩისთვის (ამსტერდამში, ჰოლანდიასთან) უნდა ველოდოთ.

გამოხმაურება

# ბეკენბაუერი: ბევრი ვიცინე!

## ბილდის მესვეტე: იქნებ კლოპის დრო მოვიდა?




**ფრანც ბეკენბაუერი,**
ბილდი

გულახდილად ვიტყვი: თავიდან, როცა შვედებმა გოლების გატანა დაიწყეს, ვბრაზობდი, მაგრამ ბოლოს, უფრო ზუსტად, მეოთხე გოლის მომენტში სიცილი ამიტყდა. რამდენიმე წუთის შემდეგ კი მივხვდი: ფეხბურთი სწორედ ასეთი გადასარევი თამაშების გამო მიყვარს. სხვა საქმეა ის, რომ სამწუხაროდ, ამ სპექტაკლში გერმანიის ნაკრები დაიჩაგრა.

ვერაფრით წარმოვიდგენდი, რომ გერმანიის ნაკრები ოდესმე 4:0-იან უპირატესობას ნახევარ საათში გაანიავებდა. როგორ შეიძლებოდა, რომ ასეთი რამ მომხდარიყო? ამას ვერავინ ხსნის, მაგრამ მე შემიძლია გარკვეულწილად ავხსნა ის, რაც ბერლინში მოხდა, რადგან თავის დროზე, „ბაიერნში" თამაშისას ჩვენც დაგვემართა ასეთი რამ. უფრო სწორად, უარესი დაგვემართა: კაიზერსლაუტერნში 4:1-ს ვიგებდით და საბოლოოდ 4:7 დავმარცხდით.

გერმანიის ნაკრებზე უარყოფითი გავლენა იქონია იმან, რომ დიდი ანგარიშით იგებდა, შვედეთის ნაკრებს კი ერთი საათის განმავლობაში მცირეოდენი წინააღმდეგობის გაწევაც კი არ შეეძლო. ამან ბუნდესგუნდის ფეხბურთელებს კონცენტრაცია დააკარგვინა. მგონია, რომ ფეხბურთელები უკვე ბუნდესლიგაზე ფიქრობდნენ და თანაც იმდენად სერიოზულად, რომ მაშინაც კი ვერ მოახერხეს აზრზე მოსვლა, როცა შვედეთმა მეორე გოლი გაიტანა და ანგარიში 4:2 გახდა.

აბსოლუტურად დარწმუნებული ვარ: მე-60 წუთისთვის ანგარიში 2:0 რომ ყოფილიყო და არა 4:0, ამ შეხვედრას უპრობლემოდ მივიყვანდით გამარჯვებამდე, რადგან გუნდი კონცენტრაციას არაფრისდიდებით არ დაკარგავდა.

მჯერა, რომ ეს პირველი და უკანასკნელი შემთხვევა იქნება. შესაბამისად, არ ვარ იმის მომხრე, რომ მომხდარის გამო ნაკრები და მისი სამწვრთნელო შტაბი ვაკრიტიკოთ. კრიტიკას არც **მანუელ ნოიერი** იმსახურებს, რადგან ერთი თამაშით მსჯელობა არასწორია. ფაქტია, რომ **იოახიმ ლიოვიც** გაბრაზდა და ესეც კარგია...

**ფრანც იოზეფ ვაგნერი,**
ბილდი

გერმანიის ნაკრების ძვირფასო ფეხბურთელებო!

60 წუთის განმავლობაში ისე ითამაშეთ, როგორც ეიფორიაში მყოფი ბავშვები თამაშობენ ხოლმე – ყველაფერი იდეალურად გამოგდიოდათ. მერე იყო ჭექა და შვედების პირველი გოლი, რასაც ქუხილი და მეორე გოლი მოჰყვა. ცნობილი ამბავია, რომ ბავშვებს ავდრის ეშინიათ ხოლმე. ჭექა-ქუხილის დროს ბავშვები ფარდების უკან ან დედის ლოგინში იმალებიან.

მე ვფიქრობ, რომ გერმანიის ნაკრები ბავშვების ნაკრებია. კარგ ამინდში ბუნდესგუნდის ფეხბურთელები დელფინებს ჰგვანან – იცინიან, კარგ ხასიათზე არიან და კარგად თამაშობენ, ჭექა-ქუხილის დროს კი კუდამოძუებულები იმალებიან!

დაუჯერებელია, როგორ გატყდა ჩვენი ეროვნული გუნდი და ახლა მთავარი კითხვა ასე ჟღერს: როგორ ვაქციოთ ბავშვები კაცებად. შეძლებს ამას **იოახიმ ლიოვი**? იქნებ **იურგენ კლოპის** დანიშვნის დროა? საქმე იმაშია, რომ ჩვენ არა ბავშვების, არამედ კაცების ნაკრები გვჭირდება.

მოსაზრება

# ზლატანი: გერმანია მსოფლიოს ჩემპიონი გახდება!

გერმანიასთან 4:4-ის შემდეგ შვედეთის ნაკრების ლიდერმა **ზლატან იბრაჰიმოვიჩმა** ბუნდესგუნდი ქებით ცაში აიყვანა. იბრას აზრით, გერმანიის ნაკრები მსოფლიოს 2014 წლის ჩემპიონატის უმთავრესი ფავორიტია.

*„დაივიწყეთ ბოლო ნახევარი საათი – გერმანიამ 60 წუთის მანძილზე იდეალური, სრულყოფილი ფეხბურთი აჩვენა და მეშინოდა, რომ ძალიან დიდი ანგარიშით წავაგებდით. მერე ერთი გოლი გავიტანეთ და ვირწმუნეთ, რომ რაღაც შეგვეძლო. ფანტასტიკურია ის, რომ ანგარიში გავათანაბრეთ და ბერლინიდან ქულა წამოვიღეთ, მაგრამ ასეთი რამ გერმანიას ათწლეულების მანძილზე აღარ დაემართება. ჩემი აზრით, ჩვენ მსოფლიოს მომავალ ჩემპიონს ვეთამაშებოდით,"* – უთხრა იბრაჰიმოვიჩმა გაზეთ „ბილდს".



ზლატანის აზრით, გერმანია საუკეთესოა

მწვრთნელი



მირკო სლომკა

# სლომკას გზა მიუნხენში მიდის?

## ჰანოვერის პრეზიდენტი მირკოს ბაიერნში გაუშვებს

ხმები იმის შესახებ, რომ „ჰანოვერის" თავკაცი **მირკო სლომკა** შესაძლოა მიუნხენის „ბაიერნის" მთავარ მწვრთნელად დაინიშნოს, დიდი ხნის წინ დაირხა და საუბრები დღემდე არ წყდება. გუშინ „წითლების" პრეზიდენტმა **მარტინ კინდმა** განაცხადა, თუ სლომკას „ბაიერნში" დაუძახებენ, არათუ ხელს არ შევუშლი, მეგობრულად ვურჩევ, რომ ეს ნაბიჯი გადადგასო.

*„თუ მართალია ის, რომ „ბაიერნის" ხელმძღვანელები სლომკაზე სერიოზულად ფიქრობენ, მირკოს ვურჩევ, რეკორდმაისტერის წინადადებას დათანხმდეს. რომელ ხელის შეშლაზეა ლაპარაკი? ყველამ ვიცით, რომ ნებისმიერი გერმანელი სპეციალისტი „ბაიერნში" მუშაობაზე ოცნებობს. შესაბამისად, ჩემთვის გასაგები და მისაღები იქნება, თუ მირკო ამ ნაბიჯს გადადგამს,"* – უთხრა კინდმა „სქაი სპორტს".

„ჰანოვერის" ბოსი სლომკას მუშაობით კმაყოფილია, მაგრამ ხვდება, რომ „ბაიერნის" დაინტერესების შემთხვევაში, მისი შენარჩუნების შანსი არ ექნება: *„სლომკა იდეალურად მუშაობს და ერთ-ერთი საუკეთესო სპეციალისტია მათ შორის, ვისაც „ჰანოვერში" უმუშავია. მირკო ნამდვილი პროფესიონალია, მაგრამ თავისი თავის ფასიც იცის, რაც სავსებით ლეგიტიმურია."*

მირკო სლომკას „ჰანოვერთან" კონტრაქტი მიმდინარე სეზონის ბოლოს უმთავრდება, ახალი ხელშეკრულება კი ჯერაც არ გაუფორმებია – ამბობენ, „ბაიერნის" ხელმძღვანელებისგან შეთავაზებას ელისო. შეგახსენებთ, რომ კონტრაქტი მიუნხენური გრანდის თავკაც **იუპ ჰაინკესსაც** სეზონის ბოლოს ეწურება.

ჰოლანდიის ნაკრები



ჰოლანდიის ნაკრების მთავარი მწვრთნელი ლუის ვან გაალი

# ვან გაალს ვან ჰიტლერი უწოდეს!

ბუქარესტში მოპოვებული მნიშვნელოვანი გამარჯვების (4:1) ფონზე, რუმინულმა პრესამ ჰოლანდიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **ლუის ვან გაალს** უდიდესი შეურაცხყოფა მიაყენა. გაზეთმა „პრო სპორტმა" ვან გაალს „ვან ჰიტლერი" უწოდა.

გარდა ამისა, რუმინელების თქმით, თურმე ვან გაალს მთელი ჰოლანდია „ვან ჰიტლერს" უწოდებს, რადგან ეს უკანასკნელი დიქტატორივით იქცევა და ის არავის უყვარს. ლუისზე სტატია ერთგვერდიანი იყო, რის გამოც ხსენებულ გაზეთს შეიძლება პრობლემები შეექმნას - ჰოლანდიის ფეხბურთის ფედერაცია სასამართლოში ჩივილს აპირებს.

დორტმუნდის ბორუსია

# გიოტცე დერბის დააკლდება

შაბათს, დორტმუნდის „ბორუსიას" მოსისხლე მტერ „შალკესთან" თამაში **მარიო გიოტცეს** გარეშე მოუწევს – მარიო რურის რიგით 141-ე დერბიში კუნთის ტრავმის გამო ვერ იასპარეზებს.

კითხვის ნიშნის ქვეშაა **მარსელ შმელცერის** ასპარეზობაც, რომელიც გერმანიის ნაკრებში, შვედეთთან მატჩში (4:4) დაშავდა. შესაძლოა, „ბორუსიას" თავკაცმა **იურგენ კლოპმა** ვერც წამყვანი საყრდენი ნახევარმცველი **ილქაი გიუნდოგანი** გამოიყენოს. სამაგიეროდ, ტრავმები მოიშუშეს და „შალკესთან" თამაშს შეძლებენ **მატს ჰუმელსი** და **სვენ ბენდერი**.



მარიო გიოტცე შალკესთან ვერ ითამაშებს

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**

ბიბლიოთეკა

● საფეხბურთო გმირობები

# 10 უდიდესი საფეხბურთო შემოტრიალება


ბაიერნი-იუნაიტედი. ტედი შერინგემის საგოლე პასი სოლსკიაერს

**ფეხბურთის ისტორიას ბევრი ე.წ. "ქამბექი" ახსოვს. როცა სრულიად უიმედო მდგომარეობაში მყოფი გუნდი სასწაულებს ჩადიოდა. მოდი, ერთად გავიხსენოთ მართლაც გამორჩეული შემოტრიალებები და რეიტინგი გავხსნათ მატჩით, რომელიც ამ ათეულის შთაგონების წყარო გახდა...**

## 10. გერმანია-შვედეთი 4:4

2012 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ეტაპი.

**იოახიმ ლიოვის** გუნდმა ხელიდან ოთხბურთიანი უპირატესობა (!) გაუშვა და შვედებთან ორი ქულა დაკარგა. **ზლატან იბრაჰიმოვიჩის** მიერ, მატჩის 62-ე წუთზე გატანილი, პრესტიჟისას ჰგავდა, რადგან მანამდე გერმანელები 4:0-ს იგებდნენ (**კლოზეს** დუბლი, **იოზილი** და **მერტეზაკერი**), თუმცა სულ რაღაც ორ წუთში **მიქაელ ლუსტიგმა** მეორეც გაიტანა და როდესაც, მატჩის დამთავრებამდე 14 წუთით ადრე, თავი **იოჰან ელმანდერმაც** გამოიჩინა, მატჩს ინტრიგა გაუჩნდა. ეს 14 წუთი ისე გავიდა, რომ შვედებს რეალური ხიფათი არ შეუქმნიათ და როდესაც ყველამ იფიქრა, რომ სტუმრები მაინც დამარცხდებოდნენ, **რასმუს ელმმა** მერტეზაკერის შეცდომით ისარგებლა და ანგარიში გაათანაბრა.

## 9. ვერდერი-ანდერლეხტი 5:3

1993 წელი, ჩემპიონთა ლიგის ჯგუფური ეტაპი.

**ოტო რეჰაგელის** განვრთნილი "ვერდერი" ბრიუსელის "ანდერლეხტს" მასპინძლობდა. თითქოს, ჩემპიონთა ლიგის ჩვეულებრივი მატჩი უნდა ყოფილიყო, მაგრამ საბოლოოდ ისტორიული შეხვედრა მივიღეთ.

ანგარიში ბელგიელებმა გახსნეს და 30-ე წუთისთვის 3:0-საც კი იგებდნენ. გოლები **ფილიპ ალბერმა** და **დენი ბოფენმა** (დუბლი) გაიტანეს. ბრემენელებმა სხვაობის შემცირება 66-ე წუთზე, **უინტონ რუფერის** გოლის წყალობით შეძლეს. წაგება თითქოს გარდაუვალი იყო, მაგრამ "ბრემენელმა მუსიკოსებმა" სასწაული მოახდინეს და ბოლო 17 წუთში მეტოქის კარი ოთხჯერ დალაშქრეს. ნამდვილად არ იყო გასაკვირი, **მარკო ბოდეს** მიერ ბოლო წუთზე გატანილი, მეხუთე გოლის შემდეგ, ოტო რეჰაგელმა პატარა ბავშვივით ცეკვა რომ დაიწყო.

## 8. ჩრდ. კორეა პორტუგალია 3:5

1966 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4 ფინალი.

ტურნირის მთავარი სენსაცია, ჩრდილოეთ კორეის ნაკრები, რომელმაც ჯგუფში იტალია ჩატოვა, 1/4 ფინალში პორტუგალიასაც უგებდა. მე-20 წუთისთვის ანგარიში 2:0 იყო, ხოლო სულ ცოტა ხანში აზიელებმა მესამეც გაიტანეს. პორტუგალიელებმა გამოღვიძება დროულად მოახერხეს და აპენინელების ბედი არ გაიზიარეს. მატჩის შემომტრიალებელი ერთი ფეხბურთელი გახლდათ: ლეგენდარულმა **ეუსებიომ** პორტუგალიელთა პირველი ოთხი გოლი გაიტანა და საკუთარ გუნდს 1/2 ფინალის საგზური მოუპოვა.

## 7. გფრ ინგლისი 3:2

1970 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატის 1/4 ფინალი.

ბევრი ინგლისელი ქომაგის აზრით, 1970 წლის ნაკრები ოთხი წლის წინანდელზე გაცილებით ძლიერი იყო. **ალფ რემსის** გუნდს 1/4 ფინალში, წინა ტურნირის ფინალის გამეორება ელოდა. შეხვედრა ბრიტანელების კარნახით მიმდინარეობდა და მატჩის დასრულებამდე 20 წუთით ადრე, ინგლისელები ორბურთიანი სხვაობით იგებდნენ.

გერმანელთა მხრიდან ერთი გოლი **ფრანც ბეკენბაუერმა** გაქვითა, რასაც რემსიმ მოედნიდან **ბობი ჩარლტონის** გაყვანით უპასუხა. საბოლოოდ ანგარიში **უვე ზეელერმა** გაათანაბრა, ხოლო დამატებით დროში, გამარჯვების მომტანი გოლი **გერდ მიულერმა** გაიტანა.

საინტერესოა, რომ ბრიტანეთის პრემიერ მინისტრმა, **ჰაროლდ უილსონმა**, რომელიც ამ მატჩიდან რამოდენიმე დღის შემდეგ არჩევნებში დამარცხა, საკუთარი წაგება სწორედ ამ შეხვედრას დააბრალა.

## 6. ჩარლტონი-ჰადერსფილდი 7:6

1957 წელი, ინგლისის მეორე დივიზიონი.

ლეგენდარული **ბილ შენკლის** მიერ განვრთნილი "ჰადერსფილდი" შეხვედრის დასრულებამდე 28 წუთით ადრე 5:1-ს იგებდა, თანაც "ჩარლტონი" მოედანზე ათი კაცით იყო, რადგან მატჩის დასაწყისში, მასპინძელთა კაპიტანმა, **დერეკ აფტონმა** ტრავმა მიიღო, იმ წლებში კი მოგეხსენებათ, ფეხბურთელის შეცვლა აკრძალული გახლდათ. 62-ე წუთზე, სტუმართა მეხუთე გოლი შემდეგ, მოულოდნელად ათამაშდა **ჯონი სამერსი**. 30 წლის გარემარბმა, რომლის ანგარიშზეც იყო "ჩარლტონის" ერთადერთი გოლი, ჯერ თანაგუნდელ **ჯონ რიანს** გაატანინა, შემდეგ კი საკუთარ გოლს კიდევ ოთხი დაუმატა. აღსანიშნავია, რომ სამერსი ცაცია იყო, მაგრამ მიუხედავად ამისა, ხუთივე გოლი მარჯვენა ფეხით გაიტანა! ფორვარდის გმირობების შემდეგ, 81-ე წუთზე ანგარიში 6:5 გახდა "ჩარლტონის" სასარგებლოდ . "ჰადერსფილდმა" ანგარიშის გაქვითვა, მატჩის დასრულებამდე ოთხი წუთით ადრე შეძლო, მაგრამ სტუმრებმა ხასიათზე მოსული "ჩარლტონის" შეტევებს ვერ გაუძლეს და ჯონ რიანმა თავი კიდევ ერთხელ გამოიჩინა. საბოლოოდ 7:6 და ეს მატჩი სამუდამოდ შევიდა ინგლისური ფეხბურთის ისტორიაში.

საინტერესოა, რომ ამ გუნდების პირველი წრის მატჩი, რომელიც "ჰადერსფილდის" მოედანზე გაიმართა, ასევე აღინიშნა ე.წ. "ქამბექით", ოღონდ იმ შეხვედრაში გმირები "ჰადერსფილდის" ფეხბურთელები იყვნენ – "ჩარლტონი" 3:0-ს იგებდა, მაგრამ მასპინძლებმა მეორე ტაიმში 3 გოლი გაიტანეს და ქულას გამორჩნენ.

## 5. მილანი-ლივერპული 3:3

2005 წელი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

ბევრის აზრით, 2005 წელს, სტამბულში, ჩემპიონთა ლიგის ისტორიაში საუკეთესო მატჩი გაიმართა. "მილანმა", **პაოლო მალდინის** გოლით, დაწინაურება პირველივე წუთზე მოახერხა, ხოლო 45-ე წუთისთვის ანგარიში უკვე 3:0 იყო (დუბლი **ერნან კრესპომ** შეასრულა). პირველი ტაიმის შემდეგ, "ლივერპულის" ბევრმა ქომაგმა სტადიონი დატოვა, რასაც მოგვიანებით, რა თქმა უნდა, ძალიან ინანებდნენ.

მეორე ტაიმში მერსისაიდელებს ვერ იცნობდით. **რაფაელ ბენიტესის** შეგირდებმა ანგარიში 6-წუთიან ინტერვალში გაათანაბრეს. ამ შეხვედრაში მეტი გოლი აღარ გასულა და დაინიშნა პენალტების სერია, სადაც "ლივერპულის" გმირად **იერჟი დუდეკი** მოგვევლინა.

## 4. საფრანგეთი-იუგოსლავია 4:5

1960 წლის ევროპის ჩემპიონატის 1/2 ფინალი.

მთელი საფრანგეთი ევროპის პირველ ჩემპიონატზე, რომელიც ამ ქვეყანაში მიმდინარეობდა, გამარჯვებისთვის ემზადებოდა, მაგრამ მათ გეგმებში კორექტივები იუგოსლავებმა შეიტანეს. "მამლები" ორჯერ იგებდნენ ორბურთიანი სხვაობით - ჯერ 3:1, შემდეგ კი 4:2, შეხვედრის დასრულებამდე კი 15 წუთი რჩებოდა. **ტომისლავ კნეჟმა** (ერთო გოლი) და **დრაჟენ იერკოვიჩმა** (დუბლი) სლავებს გამარჯვება მოუტანეს. საინტერესოა, რომ ეს 3 გოლი იუგოსლავიამ 4-წუთიან მონაკვეთში გაიტანა.

საფრანგეთს პირველ დიდ ტიტულამდე 24 წლით მოცდამ მოუწია. 1984 წელს, ასევე საფრანგეთში მიმდინარე ევროპის ჩემპიონატზე, მასპინძელთა შეჩერება ვერავინ შეძლო, მათ შორის ვერც იუგოსლავიამ, რომელთანაც "სამფეროვნებმა" რევანში აიღეს და მეტოქე დაამარცხეს.

## 3. ბაიერნი-მან. იუნაიტედი 1:2

1999 წელი, ჩემპიონთა ლიგის ფინალი.

"მანჩესტერ იუნაიტედი" და "უიმედო მატჩის შემოტრიალება", თითქოს სინონიმებია, განსაკუთრებით სერ **ალექს ფერგიუსონის** ეპოქაში. "ბაიერნთან" გასამართი ფინალის წინ, "წითელმა ეშმაკებმა" კიდევ ერთი დაპირისპირების ბედი შემოატრიალეს, როდესაც 1/2 ფინალში, "იუვენტუსთან" ტურინში 0:2-ს აგებდნენ და საბოლოოდ 3:2 მოიგეს.


2005 წელი. ჩემპიონთა ლიგის გამარჯვებული ლივერპული გახდა

"ნოუ კამპზე" "ბაიერნი" უკეთეს გუნდად გამოჩნდა. გერმანელებმა გოლი თავიდანვე გაიტანეს და შემდეგ რამდენიმე კარგი მომენტიც გაანიავეს. ყველაფერი მიუნხენელთა ტრიუმფისკენ მიდიოდა, მაგრამ არბიტრის მიერ დამატებულ წუთებში, ჯერ **ტედი შერინგემმა**, შემდეგ კი **ოლე გუნარ სოლსკიაერმა** ორი გოლი გაიტანეს და "მანკუნიანელებს" ჩემპიონთა თასი 31-წლიანი პაუზის შემდეგ მოაგებინეს.

## 2. ინტერი-სამპდორია 3:2

2005 წელი, იტალიის ჩემპიონატი.

"ინტერი" შეხვედრის დასრულებამდე 10 წუთით ადრე 0:2-ს აგებდა. "სამპას" მეორე გოლის შემდეგ, მასპინძელთა ბევრმა ქომაგმა სტადიონი დატოვა და ალბათ ძალიანაც ინანა. ცვლილებაზე შემოსული **ალვარო რეკობას** წყალობით "ინტერმა" შეუძლებელი შეძლო. ჯერ იყო და ურუგვაელის პასით **ობაფემი მარტინსმა** იხეირა, ხოლო მსაჯის მიერ დამატებული წუთებზე ანგარიში **კრისტიან ვიერიმ** გაათანაბრა. შეხვედრას წერტილი კი თავად ალბარო რეკობამ დაუსვა, რომელმაც ბოლო წამებზე, საჯარიმოს მისადგომებიდან აულებელი დაარტყა და საკუთარ გუნდს საოცარი, დაუვიწყარი გამარჯვება მოუტანა.

რაც შეეხება ქომაგს: ამ მატჩმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ სტადიონი მხოლოდ მსაჯის საფინალო სასტვენის შემდეგ უნდა დატოვო.

## 1. უნგრეთი-გფრ 2:3

1954 წელი, მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალი.

"ბერნის სასწაული" – სწორედ ასე მოინათლა ეს შეხვედრა. 1954 წლის მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში, უძლეველი უნგრეთის ნაკრები გფრ-ს ხვდებოდა, რომელსაც მანამდე ჯგუფში 8:3 მოუგო. მიუხედავად ტრავმისა, მოედანზე გასვლა და თამაში შეძლო **ფერენც პუშკაშმა**. სწორედ მან დააწინაურად თავისიანები, რამდენიმე წუთში კი **ზოლტან ციბორმა** მეორეც გაიტანა.

ისედაც ფავორიტი უნგრეთი ორბურთიანი სხვაობით იგებდა, მაგრამ გერმანელები არ დანებდნენ და ანგარიში უკვე პირველივე ტაიმში გაათანაბრეს. თავი **მაქს მორლოკმა** და **ჰელმუტ რანმა** გამოიჩინეს. შეხვედრის დასრულებამდე 6 წუთით ადრე, ჰელმუტ რანი უნგრელების საჯარიმოში შეიჭრა და გამარჯვების მომტანი გოლი გაიტანა. მადიართა უძლეველი გუნდი დაეცა, გერმანია კი მსოფლიოს ჩემპიონი პირველად გახდა.

● ჩხუბისთავი

## ბარტონი: არც ერთი დღე სკანდალის გარეშე

**ჯოი ბარტონს** "მარსელში" ხეირიანი დებიუტიც არ ჰქონია და მან უკვე სკანდალში გაჰყო თავი. მოგეხსენებათ, ინგლისელი, პრემიერლიგის წინა სეზონის ბოლო ტურში გაგიჟებისთვის, 12-მატჩიან დისკვალიფიკაციას იხდის და თამაშის საშუალება მხოლოდ ევროპალიგაზე აქვს, სადაც უკვე იასპარეზა კიდეც, აი ლიგა 1-ში ჯერ არ უთამაშია და კიდევ 5 ტური ვერ ითამაშებს.

სანაკრებო პაუზის დროს, მარსელის "ოლიმპიკმა" ქვედა ლიგის წარმომადგენელ "ისტრთან" ამხანაგური მატჩი გამართა და ჯოი ბარტონმაც თავისი ხასიათი კიდევ ერთხელ გამოავლინა. 31 წლის ფეხბურთელი მეტოქე გუნდის ფორვარდ, **გაი როლანდ ნიანგბოს** ეუხეშა, რასაც გაწევ-გამოწევა, გინება და ლამის გუნდი-გუნდზე ჩხუბი მოჰყვა. "ისტრის" დამრიგებელმა, **ჟოზე პასკუალეტიმ** ბარტონი გააფრთხილა: *"ის ასეთ ქმედებებს უნდა ერიდოს, ეს ინგლისი არ არის, ლიგა 1-ში მსგავსი ვარდნების გამო პირდაპირ წითელ ბარათს უჩვენებენ".*

გვერდი მოამზადა **ტატო ბაციკაძემ**



ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული სპორტი

ძიუდო. ფედერაციის არჩევნები

# ხაბარელი – ძიუდოს პრეზიდენტობის კანდიდატი



26 ნოემბერს დანიშნულ ძიუდოს ფედერაციის პრეზიდენტის არჩევნებს პირველი მსურველი ჰყავს - განაცხადი **მამუკა ხაბარელმა** შეიტანა, რომელიც **შოთა ხაბარელის** შვილია. მას 5 ოქტომბრისთვის დანიშნულ არჩევნებშიც სურდა კანდიდატურის წარდგენა, მაგრამ მოგეხსენებათ, ის ყრილობა საერთოდ გადაიდო. მამუკა ხაბარელი მაშინ ვარაუდობდა, რომ ეს მისი სურვილის გამო მოხდა, რითაც პრეზიდენტობისკენ მიმავალი გზა გადაუკეტეს. ის ადრეც მუშაობდა ფედერაციაში, როცა აღმასრულებელი დირექტორის პოსტი ეკავა, მაგრამ მამის შემდეგ მასაც მოუხდა იქაურობის დატოვება - ეს თანამდებობა საერთოდ გააუქმეს.

ამ კანდიდატურის გამოჩენას ინტერნეტსივრცეში მყისვე მოჰყვა გამოხმაურება - ზოგი დადებითი, ზოგიც - უარყოფითი. სწორედ ამ უკანასკნელ დამოკიდებულებაზე კომენტარის გაკეთება შოთა ხაბარელმა ისურვა: *„მამუკა არაა უცხო ამ სამყაროსთვის - ის საკმაოდ კარგი ძიუდოისტი იყო და მერე ფედერაციაშიც მუშაობდა, საიდანაც ჩემთან ერთად დაითხოვეს. ახლა პარლამენტში ვარ და გამოდის, ისევ ჩემს გამო იჩაგრება. ვფიქრობ, ეს არ იქნება სწორი, რადგან კარგი კადრი არ უნდა დაიკარგოს. მინდა, ყველამ გაიგოს - ის იმიტომ კი არ მოდის ფედერაციაში, რომ ჩემი შვილია, არამედ მოდის თავისი გეგმით. თუ ვინმეს მიაჩნია, რომ მასზე უკეთ გაუძღვება ფედერაციას, მამუკა მზადაა ნებისმიერ კონკურენტთან დებატებისთვის - დასხდნენ ჟურნალისტების თანხლებით და იმსჯელონ ძიუდოს განვითარებაზე, სამომავლო გეგმებზე. მას კანდიდატურა ერთპიროვნულად არ წამოუყენებია - მსოფლიოსა და ოლიმპიურ ჩემპიონთა, წამყვან ძიუდოისტთა უმეტესობასთან შეათანხმა და მხოლოდ ამის შემდეგ წარადგინა. ბოლო წლებში ქართულმა ძიუდომ ბევრი დაკარგა, რაც აუცილებლად უნდა გამოსწორდეს.“*

მამუკა ხაბარელი ფედერაციაში თავისი ადრინდელი საქმიანობისას ერთ-ერთ პერსპექტიულ კადრად მიიჩნეოდა. მაშინ მან უნარიან ორგანიზატორად წარმოაჩინა თავი და თანდათან ევროპულ ფედერაციაშიც ინყებდა ინტეგრაციას - ინგლისურის მცოდნე კადრს, რომელიც ალღოთი და ნიჭითაც გამოირჩეოდა, იქაც მოწყალე თვალით უყურებდნენ. მას უკვე იწვევდნენ სხვადასხვა სახის საორგანიზაციო საკითხებზე სათათბიროდ თუ პრაქტიკაში გასატარებლად და ერთი შეხედვით, შორს არ იყო ის დრო, როცა ევროპულ ფედერაციაში სპორტული დირექტორის არჩევნებში მიიღებდა მონაწილეობას. ცხადია, ეს იმხანად ისედაც ზენიტში მყოფი ქართული ძიუდოსთვის მორიგი წარმატება იქნებოდა, მაგრამ აქ ყველასათვის ცნობილი ის ავბედითი ამბები დატრიალდა, რამაც არა მარტო მამუკა ხაბარელის კარიერა, ყველაფერი შეიწირა... ახლა ის ყველაფერს თავიდან იწყებს, თუმცა ევროპულ ფედერაციას მასთან ურთიერთობა არც ამ პერიოდში გაუწყვეტია და ის 20 ოქტომბერს სტამბოლში ევროპის საკლუბო ჩემპიონატზეა მიწვეული.

ბუნებრივია, ამ კანდიდატურის გახმიანებამ გააჩინა კითხვა, ხომ არ დაიწყება ანგარიშსწორება და რევანში ფედერაციაში. ამ კითხვაზე შოთა ხაბარელმა გვიპასუხა, რომ არანაირი რევანში არ იგეგმება და ყველა პროფესიონალი შეინარჩუნებს პოსტს, მაგრამ თან დასძინა, ფედერაციაში არიან პოლიტიზებული ფიგურები, რომლებიც ზონდერჯგუფებისა თუ სხვა სახის აქტივობებით გამოირჩეოდნენ და მათ თავად უნდა დატოვონ იქაურობა. ან უკვე პარლამენტარმა კიდევ ერთხელ დაადასტურა ახალი ხელისუფლების მისწრაფება სპორტისა და კონკრეტულად - ძიუდოს ფედერაციის დეპოლიტიზაციაზე. მისი თქმით, ფედერაციაში საკადრო ცვლილებები მხოლოდ ამ კუთხით თუ გატარდება და არავითარ შემთხვევაში - ანგარიშსწორების თვალსაზრისით. აქვე ხაბარელმა დასძინა, რომ ეს მისი პირადი აზრია, თუმცა იცის ამ საკითხისადმი მამუკას დამოკიდებულებაც და ისინი ერთმანეთს ემთხვევა.

ირაკლი თავაძე

რეგიონი. ინტერვიუ გორის სპორტის სამსახურის უფროს გია პაპიტაშვილთან

# შეუწყვე ხელი და მიიღე შედეგი

**ახლახან გორის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სხდომაზე, სადაც მომავალი წლის ბიუჯეტის პროექტი უნდა დამტკიცებულიყო, სპორტისა და ახალგაზრდობის სამსახურის უფროს გია პაპიტაშვილის გამოსვლა საკმაოდ საინტერესო და კრიტიკული გამოდგა. პირველ ყოვლისა, მან ბიუჯეტში სპორტისათვის გამოყოფილი დაფინანსების შემცირების მცდელობა გააპროტესტა და სხვა საქმიანი წინადადებებითაც გამოვიდა.**

**- საკრებულოს მიმართ უკმაყოფილება გამოთქვით ბიუჯეტის დამტკიცებისას...**

- საზოგადოდ, თანამშრომლობის პრობლემა ამ ორგანოსთან არა გვაქვს, მაგრამ როდესაც ბიუჯეტი დგება და სხვებთან ერთად სპორტული ორგანიზაციების ბიუჯეტიც უნდა გაიწეროს, როგორ შეიძლება მათთან უკითხავად გადაწყდეს, რა თანხას და რატომ გამოყოფს საკრებულო? საკრებულოს კატეგორიულად ვერ დავეთანხმები იმაში, რომ ბიუჯეტის პროექტით, თუნდაც მცირედით, მაგრამ გორში მოქმედი სპორტული ორგანიზაციებისთვის დაფინანსება შემცირდეს. როდესაც ქვეყანაში კომუნალური გადასახადების გაზრდის გამო სპორტული დაწესებულებები წყლის, გათბობის და ა. შ. გადასახადზე უფრო მეტს ხარჯავენ, ვიდრე უწინ, ფული საიდან უნდა მოიტანონ? სახელფასოდ გათვალისწინებულ თანხას შეეხონ? ესეც დარღვევაა. გამოდის, რომ დაუგროვდებათ კომუნალური მომსახურების ვალები. მე სპორტული ორგანიზაციებისთვის დაფინანსების გაზრდას ველოდი, არათუ შემცირებას.

**- დღესდღეობით გორში მოქმედი ყველა სპორტული ორგანიზაციისთვის შეჯიბრებების და შეკრებების ორგანიზებისთვის თანხებს გამოყოფს „სპორტული ცენტრი“. მათაც უპირებენ დაფინანსების შემცირებას?**

- წლეულს მათზე გათვალისწინებული იყო 369 ათასი ლარი, გაისად ფიქრობენ, ბიუჯეტიდან ცენტრს 360 ათასი ლარი გამოუყონ. გამეცინა კიდეც ამაზე, ნეტავი ეს 9 ათასი რის გამო მოაკლესმეთქი, შეჯიბრებაზე „გადამეტებით“ წავიდა რომელიმე გუნდი და ახლა იქ გამოსვლა აღარაა საჭირო, თუ უბრალოდ თანხის დამრგვალებით უნდოდათ შემცირება? არადა ეს „სპორტული ცენტრი“ გია თენაძის ხელმძღვანელობით შესანიშნავად მუშაობს! იგი წლეულს შეიქმნა და აშკარად გაამართლა! მათი მოვალეობაა ადგილობრივი შეჯიბრებების ორგანიზება, სხვადასხვა სახეობაში მოასპარეზე სპორტსმენების, გუნდების შეკრებებისა და ამა თუ ტურნირებზე მივლინებათა ხარჯის დაფინანსება. მწვრთნელებს აღარ აქვთ საზრუნავი ამ საქმეზე, ისინი მხოლოდ თავისი საქმით არიან დაკავებულნი. გარდა ამისა, კარგია, რომ სპორტის არაერთ სახეობაში (ჭიდაობა, ძიუდო, კრივი, ფეხბურთი და სხვა) ვარჯიში უფასოა, მაგრამ თუ ამ სიკეთეს ვაკეთებთ, ისიც ხომ უნდა ვიცოდეთ, რომ სპორტსმენს დარბაზი გავუთბოთ და ვარჯიშის შემდეგ ცხელი წყლის გადავლების საშუალება ჰქონდეს.

**- სულ რამდენი სპორტული ორგანიზაციაა ამჟამად გორში?**

- შვიდია, გარდა სპორტული ცენტრისა, არის ჭიდაობის კომპლექსური სპორტული სკოლა, კრივის სპეციალიზებული სპორტული სკოლა, ცენტრალური სასპორტო სკოლა, ტურისტულ-სპორტული ცენტრი „ტონთიო“, საცურაო აუზი და ბავშვთა საფეხბურთო კლუბი „დილა“. ამ ორგანიზაციების მუშაობა დამაკმაყოფილებელია და იმსახურებენ უკეთეს პირობებს. ამიტომაა დაფინანსების გაზრდა საჭირო მათთვის, რომ მიღწეული შედეგების მზარდი ტემპი შეინარჩუნონ, განაახლონ ინვენტარი, თავადაც შეძლონ დარბაზში საჭირო მცირე კოსმეტიკური რემონტისთვის თავის მობმა. ასე რომ არ ვაკეთებდით ადრე, თუნდაც ცენტრალურ სასპორტო სკოლაში, ბოლოს იგი ისეთ სავალალო მდგომარეობაში ჩავარდა, რომ შარშან კაპიტალური რემონტისთვის უზარმაზარი თანხის გამოყოფა გახდა საჭირო.

**- ბატონო გია, საკრებულოს სხდომაზე თქვით, რომ გორში თავისუფალი ჭიდაობის დარბაზის აუშენებლობა დიდი სირცხვილია. მართლაცდა, რა გახდა ბოლოს და ბოლოს დანაპირების შესრულება?!**

- გული მტკივა, რომ ამდენი ხნის განმავლობაში ვერაფრით მოხერხდა საკითხის გადაწყვეტა. შარშან გარკვეული პროცედურებისა და სამშენებლო ხარჯების ზრდის გამო პროექტი ისევ გადაიდო. გუშინწინ მე და ბატონი ნუგზარ სხირელი კიდევ ერთხელ შევხვდით ქალაქის ხელმძღვანელობას და გადაწყდა, რომ სამშენებლო თანხა 300-დან 400 ათასამდე გაიზრდება. შესაძლოა მშენებლობა ორ ეტაპად წარიმართოს და ორჯერ გამოცხადდეს ტენდერი, მაგრამ მთავარია, რომ აშენდება. თავისუფალი ჭიდაობის და ძიუდოს დარბაზებში ბავშვების რაოდენობამ ახალი სასწავლო წლიდან ერთი-ორად იმატა. რასაკვირველია, სირცხვილია, რომ ისინი და ჩვენი ტიტულოვანი ფალავნები სათანადო პირობებში არ ვარჯიშობენ. გვახარებს ოლიმპიურ თამაშებში მოპოვებული მედლები,. მაგრამ არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ ჯილდოები სპორტსმენთათვის ხელის შეწყობის გარეშე, თავისთავად არ მოვა. გორელებმა ჩვენს პატარა ქალაქში სამი ოლიმპიური მედალი ჩამოიტანეს და ამას სათანადო დაფასება უნდა!

**- დაფასებას ძველი ოლიმპიელებიც იმსახურებენ, მაგრამ გორში ადგილობრივი ხელისუფლების ნებართვით თუ წაყრუებით წლეულს ოლიმპიური კედელი დაანგრიეს, რასაც ყველას და მათ შორის “ლელოს” მხრიდან კრიტიკული გამოხმაურება მოჰყვა.**

- რასაკვირველია, ეს საზოგადოების უარყოფითი რეაქციის გარეშე ვერ ჩაივლიდა და კრიტიკაც ლოგიკური იყო. ერთადერთი, რაც შემიძლია გითხრათ, ისაა, რომ კედლის დემონტაჟიდან მალევე, ახალი კედლის ქალაქის სხვა ადგილზე გადატანა გადაწყდა, თუმცა სამწუხაროდ, კონკრეტული ადგილი ჯერ ისევ არაა გამოყოფილი.

**- თქვენ გამოხვედით ინიციატივით, რომ ქალაქში მოქმედმა სპორტულმა ორგანიზაციებმა მჭიდრო ურთიერთობა დაამყარონ სამედიცინო დაწესებულებებთან.**

- დიახ და ვიცი, რომ ეს მხოლოდ გორის პრობლემა არაა. კარგია, რომ ყველა შეჯიბრებაზე მედიცინის მუშაკის ყოფნა ბოლო ხანს უზრუნველყოფილია, მაგრამ ეს მხოლოდ ტურნირებისას ხდება. აუცილებელია სათანადო სახსრები გამოიყოს იმისათვის, რომ ჩვენს დარბაზებში მოვარჯიშე სპორტსმენები წელიწადში ერთხელ მაინც გავატაროთ სამედიცინო შემოწმებაზე. ისინი მხოლოდ ტრავმის შემთხვევაში არ უნდა მიდიოდნენ ექიმთან.



გია პაპიტაშვილი

**- ჩოგბურთის სექციაში, თავის დროზე, ბიუჯეტიდან ბურთებისა და ჩოგნების თანხა არ გაითვალისწინეს. მაშინ რომ ვიკითხე, ადგილობრივ ხელისუფლებაში მიპასუხეს: „უბრალოდ, დაგვავიწყდაო“ (?!). უკვე მეოთხე წელიწადია „ავიწყდებათ“.**

- დაავიწყდათ თუ არა, არ ვიცი, მაგრამ, გეთანხმებით, რომ ამ სახეობაში პრობლემებია და მის გამოსასწორებლად გარკვეული ღონისძიებების გატარებაა საჭირო.

**- მიუხედავად სპორტის მინისტრის დაპირებისა, რომ წლეულს გორში სპორტის სასახლის მშენებლობა უნდა დაწყებულიყო, საქმე ადგილიდან არ დაძრულა.**

- ეს ადგილობრივი ბიუჯეტით ვერ მოხერხდება, თუმცა ვიმედოვნებ, რომ ცენტრალური ხელისუფლების ბიუჯეტიდან იგი უახლოეს წლებში მაინც აშენდება. გორში სადემონსტრაციო დარბაზის ფუნქციას 90-იანი წლების დასაწყისამდე ცირკის შენობა ითავსებდა (იქ 1200 მაყურებელი ეტეოდა), სადაც უამრავი სპორტული შეჯიბრება ტარდებოდა. ის შენობა დაიწვა და ოც წელიწადზე მეტია ქალაქში საშეჯიბრებო დარბაზი აღარაა. არადა ამას ჩვენს ქვეყანაში თუ ვინმე იმსახურებს, ერთ-ერთი პირველთაგანი გორია! ადგილობრივ მაყურებელს არა აქვს საშუალება, თავისი ცნობილი სპორტსმენების ასპარეზობა ტელევიზიის გარდა, შეჯიბრებაზე უშუალოდ იხილოს და უქომაგოს! გორში სპორტის სასახლის აშენება აუცილებელია, თანაც არა შორეულ მომავალში, შეძლებისდაგვარად მალე!

ვასილ ბალახაძე
გორიდან

წყალბურთი

# ივერია პირველი პირველია



თექვსმეტი წლისა და უმცროსი ასაკის წყალბურთელებისთვის წლეულს პირველად გაიმართა საქართველოს პირველობა, რომელშიც თბილისის, ქუთაისისა და ბათუმის შვიდი გუნდი მონაწილეობდა ორ წრედ. ჯგუფურ ტურნირში შესანიშნავად ითამაშა თბილისის „ივერიის“ პირველმა გუნდმა (**მურთაზ აბაიძე, გიორგი ზაქარეიშვილი, ხვიჩა ჯახაია, ანდრო ბითაძე, დათო რევია, გიორგი მაგრაქველიძე, ლევან გვაზავა, ნუკრი ბარდაველიძე, გურამ პაპიძე, კოტე კოტია, ნიკა ნონიკაშვილი, გიორგი წერეთელი, დათო მირიანაშვილი, ირაკლი მარგველაშვილი,** მწვრთნელები — **ბორის მეგედი, ზურაბ ქოიავა**) — ქულათა მაქსიმალური რაოდენობით დაიკავა პირველი ადგილი. მას 6 ქულით ჩამორჩა „ლიგამუსი“, მესამე-მეოთხე ადგილებზე, შესაბამისად, „ბათუმი“ და „თბილისი“ გავიდნენ. „ოლიმპიკის“ აუზში სწორედ ამ ოთხმა გუნდმა განაგრძო ბრძოლა მედლებისთვის. ფავორიტებმა — „ივერიამ“ და „ლიგამუსმა“ ნახევარფინალში დიდი ანგარიშებით სძლიეს, შესაბამისად, „ბათუმსა“ და „თბილისს“. ფინალისტთა დაპირისპირება დაძაბული გამოდგა. თავიდან „ლიგამუსი“ დაწინაურდა, მაგრამ ივერიელებმა ჯერ წონასწორობა აღადგინეს და მესამე რვაწუთიან მონაკვეთში წინაც გავიდნენ, მაგრამ მატჩის ძირითადი დროის მიწურულს მეტოქემ ანგარიში გაქვითა. დამატებით ორ სამწუთიან პერიოდში „ივერია“ უკეთ გაისარჯა — ერთი ბურთით აჯობა „ლიგამუსს“, საბოლოოდ 11:10 გაიმარჯვა და პირველი ადგილი დაიკავა. ვერცხლის მედლები „ლიგამუსს“ ერგო. მესამე ადგილისთვის პაექრობაში „ბათუმმა“ „თბილისს“ მსგავსი ანგარიშით მოუგო.

ვაჟა დანელია

ჭადრაკი

# თასის 56 მაძიებელი

**ნონა გაფრინდაშვილის** სახელობის თბილისის ჭადრაკის სასახლეში დაიწყო მოჭადრაკეთა საქართველოს თასის გათამაშება (ტურნირის დირექტორი - ფედერაციის ვიცე-პრეზიდენტი **ზურაბ მიქაძე**, მთავარი მსაჯი - საერთაშორისო არბიტრი **მარგალიტა თანდაშვილი**), რომელშიც 56 ქალ-ვაჟი მონაწილეობს. გამარჯვებულებსა და პრიზიორებს შვეიცარიული სისტემით 9 ტური გამოავლენს. ასპარეზობის საპრიზო ფონდია 8 800 ლარი. ვაჟებში ხუთი საუკეთესო დაჯილდოვდება, შესაბამისად, 2 000, 1 500, 1 000, 600 და 400 ლარით, ხოლო ქალებში სამი საუკეთესო 1 000, 700 და 400 ლარს მიიღებს.

ტურნირზე უკვე გათამაშდა 4 ტური. 3,5-3,5 ქულით პირველ-მეექვსე ადგილებს **ლევან ფანცულაია, გაიოზ ნიგალიძე, შოთა აზალაძე, ლუკა პაიჭაძე, ალექსანდრე ყაშაშვილი** და **ბაჩანა მორჩიაშვილი** ინაწილებენ. შვიდ მოჭადრაკეს 3-3 ქულა აქვს. მათ შორის არიან მანდილოსნებიც - **სოფიკო ხუხაშვილი, ნინო ხურციძე, სალომე სირაძე** და **ალექსანდრა ვახანია.**

დღეს მე-5 ტურში სწორედ ლიდერთა ჯგუფის წევრთა დაპირისპირება იწვევს ინტერესს: აზალაძე - ფანცულაია, ყაშაშვილი - პაიჭაძე, ნიგალიძე - მორჩიაშვილი, დავით ზარქუა - ივერი ჭილაძე, ხურციძე - მალხაზ სულაშვილი, ხუხაშვილი - ვახანია, სირაძე - გიგა ყუფარაძე.

**ვაჟა დანელია**



ლევან ფანცულაია

# მხოლოდ მეთხუთმეტე

ჯაკარტაში მოჭადრაკეთა ინდონეზიის ღია პირველობაზე ბოლო ორი ტურის პარტიები გაიმართა; მე-8 ტურში თბილისელმა დიდოსტატმა **მერაბ გაგუნაშვილმა** შავი ფიგურებით ჩინელი ვან იანაო დაამარცხა. საგულისხმოა, რომ ბოლოსწინა ტური ერთობ შედეგიანი აღმოჩნდა - მეწინავე ჯგუფის წევრთა 16 შეხვედრიდან მხოლოდ ერთი პარტია დამთავრდა ყაიმით.

გადამწყვეტი პაექრობების წინ ჩინელი იუ იანი 7 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობდა. ბოლო ტურში იგი ივან სოკოლოვს (ჰოლანდია) დაუზავდა და 7,5 ქულით პირველი ადგილი დაიკავა. ამდენივე ქულა მოაგროვა ვიეტნამელი სონ ნგუენის მძლეველმა ლი ჩაომ (ჩინეთი), მაგრამ უარესი კოეფიციენტით მე-2 ადგილზე გავიდა. მერაბ გაგუნაშვილი თეთრებით მარატ ჯუმაევთან (უზბეკეთი) დამარცხდა და 5,5 ქულით მე-15 ადგილს დაჰყაბულდა.

**ვაჟა დანელია**

ჩოგბურთი



მაკა ჩახნაშვილი

# სტარტზევე გამოეთიშა

გლაზგოში ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 25.000 დოლარი) გუშინ ძირითად ბადეში მოასპარეზეთა სასტარტო შეხვედრები გაიმართა. **მაკა ჩახნაშვილმა** პირველ სეტში იოლად სძლია დიდ ბრიტანელ თარა მურს, მაგრამ მეორე და მესამე ხელი, ასევე, თითქმის უბრძოლველად დათმო (1:6, 3:6) და შეჯიბრებას გამოეთიშა, რადგან წყვილებში არ მონაწილეობს. საგულისხმოა, რომ ქართველი სპორტსმენი ჩოგბურთელ ქალთა ასოციაციის რეიტინგში ამჟამად 139 ქულით 327-ე ადგილზეა, ბრიტანელი მას 80 ადგილით უსწრებს, ამიტომ გასაკვირი არც არის, "ველური ბარათით" მიწვეული ბრიტანელი შეჯიბრების ორგანიზატორებმა ტურნირზე მე-8 ნომრად რომ განთესეს.

აქვე შეგახსენებთ, რომ ისრაელში აკოს ქალთა 10.000-იან საერთაშორისო ტურნირს გამოეთიშნენ **თამარ ჭალაგანიძე** და **ანი გოგვაძე**. ერთეულთა თანრიგში ისინი, როგორც გაუწყეთ, სტარტზევე დამარცხდნენ. წყვილებში გოგვაძემ ოლექსანდრა პისკუნთან (უკრაინა) ერთად მეორე წრეს უწია, იქ კი ჩვენებურს პოლონელთა დუეტი გადაეღობა; მასპინძელ ლიბი მეშთან შეწყვილებული ჭალაგანიძე რუს მეტოქეებს პირველსავე წრეში დანებდა. არადა, ჩვენს გოგონებს საერთაშორისო სარბიელზე მეტი სიმარჯვე მართებთ რეიტინგის გასაუმჯობესებლად: ამჟამინდელი მონაცემებით, გოგვაძე 1158-ე ადგილზეა, ჭალაგანიძე კი კვალიფიკაციაში საერთოდ ვერ მოხვდა.

**ვაჟა დანელია**

## განცხადება

საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის 2012 წლის 17 ოქტომბრის აღმასკომის სხდომის გადაწყვეტილებით მ.წ. 19 ნოემბერს 12 სთ-ზე ქ. თბილისში სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს საკონფერენციო დარბაზში ჩატარდება საქართველოს ნიჩბოსნობის ეროვნული ფედერაციის საანგარიშო-საარჩევნო ყრილობა.

**დღის წესრიგი**

1. ფედერაციის ანგარიში 2011 და 2012 წლებში გაწეული მუშაობის შესახებ
2. წესდებაში ცვლილებების შეტანის შესახებ
3. პრეზიდენტის არჩევნები

ფედერაციის პრეზიდენტობის კანდიდატთა წარდგენის ვადაა 12 ნოემბრის 15 საათამდე.

ფედერაციის მისამართი: ქ. მცხეთა. აღმაშენებლის 73 ბ. ტელ: 2 51 27 51

კალათბურთი
GBF
2012-13
20 ოქტომბერი

| | | |
|---|---|---|
| შსს | ბათუმი | 11:45 |
| ოლიმპი | სოხუმი | 14:00 |
| სტუ | რუსთავი | 16:00 |
| დინამო | თსუ | 18:00 |

www.facebook.com/GeoBasketball
www.gbf.ge
www.superleague.ge

ევროპის თასის გათამაშება ფარიკაობაში
23 წლამდელთა შორის
ხმალი, ვაჟები და გოგონები
(პირადი და გუნდური)
Second European Fencing Cup U-23
Men's and Women's Saber Individual and Team

შეჯიბრების პროგრამა:
19 ოქტომბერი - ხმალი ვაჟები 10:00 - პირადი
17:00 - გახსნა
17:30 - ფინალი
20 ოქტომბერი - ხმალი გოგონები 10:00 - პირადი
16:00 - ფინალი
21 ოქტომბერი - ხმალი ვაჟები და გოგონები 10:00 - გუნდური
16:00 - ფინალები

სპორტკომპლექსი „არენა"
უნივერსიტეტის ქ. №2
19-21 October
Tbilisi 2012

ლელოზე ხელმომწერთა საყურადღებოდ!
ხელმოწერის გამარტივებული პროცესი, დროული და გარანტირებული მიწოდება.
დარეკეთ: 238 26 73; 238 26 74. კვირის გარდა.

თავისუფალი ჭიდაობა

# გოგშელიძის [illegible]

*„დაზუსტებით ჯერაც არ ვიცი, რა მოხდება უახლოეს მომავალში, მაგრამ ყველაფერი იქით მიდის, რომ კარიერას დავამთავრებ"* - განუცხადა ამას წინათ დაღესტნურ მედიას პეკინის ოლიმპიადის ჩემპიონმა თავისუფალ ჭიდაობაში **შირვანი მურადოვმა** (96), რომელიც წლების განმავლობაში საერთაშორისო არენაზე **გიორგი გოგშელიძის** ერთ-ერთი უმთავრესი კონკურენტი იყო. ჩინეთში მოპოვებული გამარჯვება მისთვის ყველაზე დიდი წარმატებაა, თუმცა საბედისწეროც აღმოჩნდა - იქვე მუხლიც იტკინა, რაც არაერთი ოპერაციისა თუ სარეაბილიტაციო პროცესში გალეული წლების მიუხედავად, ვერაფრით მოირჩინა. სპორტიდან წასვლის მიზეზიც ეს ავბედითი ტრავმაა: *„ჩემი ჯანმრთელობა უკვე აღარ მაძლევს ვარჯიშის ძველებურად გაგრძელების საშუალებას. პეკინის ოლიმპიადის შემდეგ მუხლი გამუდმებით, ყოველდღიურად მაწუხებს. კიბეზე ასვლისას მუდმივად მტკივა. ამას უკვე კუჭის პრობლემებიც დაერთო, რის გამოც დიეტაზე ვარ - მხოლოდ ფაფებსა და ქათმის ბულიონს ვჭამ. ამჟამად კი ვვარჯიშობ, მაგრამ ეს არაა საკმარისი"* - განაცხადა მურადოვმა.




გიორგი გოგშელიძე (მარჯვნივ)

კაცმა რომ თქვას, ის აქამდეც წასული იყო სპორტიდან, რადგან პეკინური ტრავმის გამო თითქმის არსად უჭიდავია. თუმცა დრო უქმად არ დაუკარგავს და ამ პერიოდში დაღესტანში ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებშიც მიიღო მონაწილეობა, სადაც დიდი უპირატესობით გახდა რომელიღაც რაიონული საბჭოს დეპუტატი. თუმცა 27 წლის ათლეტმა ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრა სცადა - საამისოდ რუსეთის პირველობაში იჭიდავა, მაგრამ საერთოდ უმედლოდ დარჩა. *„როცა იმ ტურნირში გამოსვლის გადაწყვეტილება მივიღე, ბევრი მეუბნებოდა, რატომ ვაკეთებდი ამას და რატომ არ მივდიოდი სპორტიდან გამარჯვებული. მე არ ვნანობ ჩემს მაშინდელ გადაწყვეტილებას. მართალია, შეჯიბრებაზე არადამაჯერებლად გამოვედი, მაგრამ, სამაგიეროდ, ახლა არ მაწვალებს კითხვა: რატომ არ გამოვიყენე ლონდონის ოლიმპიადაზე მოხვედრის შანსი?*

*ქვეყნის პირველობისთვის თითქოს ნორმალურად მოვემზადე, მაგრამ ხალიჩაზე მივხვდი, რომ არ ვიყავი ფორმაში: ტვინი აზროვნებდა, მაგრამ სხეული ვერ მიჰყვებოდა მას. ვერ გეტყვით, რატომ მოხდა ეს. იქნებ იმიტომ, რომ მანამდე საკმარის შეჯიბრებებში არ გამოვსულვარ და სატურნირო პრაქტიკა მაკლდა"* - თქვა მურადოვმა.

ჟურნალისტები სახელოვან ფალავანს ლონდონის ოლიმპიადაზე რუსეთის ნაკრების გამოსვლაზეც დაეკითხნენ, რაზეც მურადოვს თავისი განბილება არც დაუმალავს - მე მეგონა, იქ 3-4 ოქროს მედალს მაინც მოვიპოვებდითო. არადა, რუსებმა მხოლოდ ერთი ოქრო დაისაკუთრეს და ისიც **ვლადიმერ ხინჩეგაშვილთან** როგორ ბრძოლაში მოაპოვებინეს ჩეჩენ **ჯამალ ოთარსულთანოვს**, ყველას კარგად გახსოვთ - მსაჯთა არაობიექტურობა იმდენად თვალსაჩინო იყო, მეორე დღესვე 6 არბიტრი ანუ იმ შეხვედრის მომსახურე მთელი ბრიგადა თამაშებიდან მოხსნეს. საინტერესოა, რა ფიქრობს მურადოვი 96 კილოგრამში განვითარებულ მოვლენებზე: *„ამ წონის შედეგები ძალიან არაპროგნოზირებადია. მე გადისოვის გამარჯვებას ველოდი, ფინალში კი ამერიკელი და უკრაინელი გავიდნენ. ყველაფერს ვიფიქრებდი, მაგრამ ამათ ფინალისტობას - ვერა"* - თქვა მან.

მურადოვი მახაჩყალელია, სადაც ცნობილი მწვრთნელი **იმანმურზა ალიევი** ავარჯიშებს. სახელოვან დაღესტნელ ფალავანთა უმეტესობა ავარელია, თუმცა ამ კოჰორტაში მურადოვი გამონაკლისია, რადგან ეროვნებით ლაკია (მისი თანამემამულეა **ყურბან ყურბანოვიც**, რომელიც ახლა უზბეკეთის სახელით გამოდის და ვისაც გოგშელიძემ ლონდონში ბრინჯაოსთვის შეხვედრა მოუგო) - ის რუსეთის ნაკრებში მაშინ გამოჩნდა, როცა იქ ევროპის სამგზის, მსოფლიოს ოთხგზის და ოლიმპიური ჩემპიონი, ლეგენდარული ოსი **ჰაჯიმურატ გაცალოვი** ბატონობდა. მაშინ ამ ორის დაპირისპირება ლამის ოსურ-დაღესტნურ კონფლიქტში გადაიზრდებოდა ხოლმე - დალეწილი დარბაზი, სასწრაფოდ გამოძახებული არათუ პოლიციის დამატებითი ძალები, არამედ პირდაპირ სპეცნაზი, ქუჩებში გაგრძელებული მასობრივი ჩხუბი, საქმის გარჩევები და იარაღის ტრიალი ორივე მხარის შეიარაღებულ დაჯგუფებებს შორის, ცემა-ტყეპა და ადამიანთა დაჭრაც კი - ეს ყველაფერი მათი შეხვედრების თანამდევი შტრიხი იყო. მურადოვის კვალდაკვალ იმხანად გაცალოვის ტახტის დაკავებას მეორე დაღესტნელი **იბრაგიმ საიდოვიც** ცდილობდა, ეს ორი კი სიქას აცლიდა ოსს, რომელსაც სულ უფრო უჭირდა მათ შემოტევებთან გამკლავება. ევროპა-მსოფლიოსთვის შესარჩევ ტურნირზე რამდენჯერმე ისე მოხდა, რომ საიდოვი გაცალოვის მხარეს მოხვდა და ერთმანეთს ნახევარფინალში დაეჭიდნენ, ამ დროს კი ბადის მეორე მხრიდან მურადოვი ბევრად უფრო იოლად მიიკვლევდა გზას ფინალისკენ. მაშინ ოსები იმასაც ამბობდნენ, რომ კენჭისყრას ამგვარად დაღესტნელები აწყობდნენ მოსკოვში, რათა საიდოვს დაელალა გაცალოვი და მურადოვთან ძალა არ ჰქონოდა. თავის მხრივ, დაღესტნელები იმხანად რუსთა ოს დამრიგებელ **ჯამბულათ თედეევისკენ** იშვერდნენ ხელს და მას გაცალოვის მფარველობაში ადანაშაულებდნენ. კვამლი უცეცხლოდ არ ჩნდება, მაგრამ ამ ხმების მართებულობაზე ვერაფერს გეტყვით, თუმცა ფაქტია, რომ თავდაპირველად გაცალოვისა და საიდოვის სამი ნახევარფინალი ოსმა მოიგო, ოღონდ დაღლილ-დაქანცულს მერე ფინალში მართლაც მუდამ უჭირდა მურადოვთან გამკლავება. თავიდან უპირატესობა აქაც ოსის მხარეს იყო, მაგრამ 2008 წელს მოსახდენი მოხდა და მურადოვმა ოლიმპიადის შესარჩევი შეჯიბრება მოიგო, რითაც პეკინში წასვლის უფლება მოიპოვა, იქ კი ჩემპიონიც გახდა. 2009-ის მსოფლიოს შესარჩევში გაცალოვს საიდოვმაც მოუგო, თუმცა მერე თედეევი ირანულ ტურნირში წაუსვლელობის გამო შემოსწყრა და მსოფლიოზე მაინც თანამემამულე გაცალოვი წაიყვანა.

გაცალოვმა ვერც ლონდონის ოლიმპიადის საგზური მოიპოვა - რუსეთის ჩემპიონატის ფინალი გადისოვთან წააგო. ის კვლავაც რჩება სპორტში, მაგრამ გვეეჭვება, გადისოვს მოუგოს - 30 წლის ოსიც ნელ-ნელა ასრულებს „გედის სიმღერას".

### გოგშელიძე კვლავ ფიქრობს

თუმცა ჩვენთვის მათ კარიერაზე უფრო საინტერესო ისაა, რას იზამს **გიორგი გოგშელიძე** - გააგრძელებს თუ არა ჭიდაობას? როგორც თვითონ გვითხრა, საბოლოო გადაწყვეტილება ჯერ კიდევ არ მიუღია და ყველაფერი მისი ფეხის სიჯანსაღეზე იქნება დამოკიდებული. მოგეხსენებათ, მან ლონდონშიც ნატკენი ფეხით იჭიდავა - მყესები აქვს გაწყვეტილი, და ისე მოიპოვა ბრინჯაოს მედალი. ახლა ფეხს ასვენებს და ელოდება, იქნებ ოპერაციის გარეშეც მოურჩეს. გიორგიმ გვითხრა, რაც ფიზიკურად არ იტვირთება, ფეხი აღარც სტკივა. იმედოვნებს, 2-3 კვირაში სრულად გამივლისო. მაშინ შეიძლება ნაკრებში დაბრუნებაზეც იფიქროს, თუ არადა, კლუბებში გამოვა, სადაც ბევრად ნაკლები დატვირთვებია. *„არ მინდა, ისევ ისეთ დღეში ვიყო, როგორც ოლიმპიადაზე, თორემ დაბრუნებასაც რა აზრი აქვსო"*, - გვითხრა ფალავანმა.

**ირაკლი თავაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ინტერვიუ ალექსანდრე თოდუასთან

# ბრონკანი ქართველებს ყველაზე მეტად ენდობა

**საქართველოს ნაკრების 24 წლის გარემარბი სანდრო თოდუა საფრანგეთის სარაგბო ჩემპიონატის ელიტური, მეორე დივიზიონის „ალბიში" წლეულს, სეზონის დაწყების წინ ჩაირიცხა. სარაგბო კლუბ „ლელოს" აღზრდილს აქამდე უცხოურ კლუბებში არასდროს უთამაშია. ახალ ზელანდიაში შარშან გამართულ მსოფლიოს თასის გათამაშებაში ის ეროვნულ გუნდში საქართველოს ჩემპიონატიდან მოხვდა და „ბორჯღალოსანთა" შორის ერთ-ერთი საუკეთესო იყო.**



როგორც უკვე ვთქვით, „ალბი" მის უცხოურ კარიერაში პირველი გუნდია და ორმაგად სასიხარულოა, რომ ამ კლუბში ფეხი თავიდანვე მყარად მოიკიდა. მით უფრო, რომ ალბელებმა სეზონიც წარმატებულად დაიწყეს და ახლა ლიდერთა შორის არიან. საკლუბო კარიერისა და მომავლის გეგმებზე სასაუბროდ **ალექსანდრე თოდუას** საფრანგეთში დავუკავშირდით:

- „ალბის" ხელმძღვანელები ჩემით ახალ ზელანდიაში გამართული მსოფლიოს თასის შემდეგ დაინტერსდნენ. მთავარ მწვრთნელს, ანრი ბრონკანს ჩვენი ნაკრების ყველა თამაში უნახავს და, როგორც ჩანს, ძალიან მოეწონა იქ ჩემი გარჯა. შარშან ნოემბერში ბრონკანი თავად დამიკავშირდა და მის გუნდში გადასვლა შემომთავაზა. ცხადია, დიდხანს არ მიფიქრია. ეს შესანიშნავი შანსი იყო უცხოეთში უფრო მაღალ დონეზე ჩემი ძალები მომესინჯა. ასე აღმოვჩნდი „ალბიში".

**- ანრი ბრონკანი ქართული რაგბის ქომაგებისთვის დიდი ხნის ნაცნობი პიროვნებაა. მას არაერთ ქართველ მორაგბესთან უმუშავია. 2007 წლის მსოფლიოს თასზე საქართველოს ნაკრების კონსულტანტიც იყო. ისიც ცნობილია, რომ მას ქართველებთან კარგი ურთიერთობა აქვს...**

- ანრი ქართველებს კარგად იცნობს და მოსწონს ჩვენი ხასიათი, ცხოვრების წესი და ზოგადად, ცხოვრებაზე ჩვენეული შეხედულებები. ამასთან ერთად, ქართველებს ყველაზე მეტად ენდობა და ჩვენი დიდი იმედი აქვს. აშკარად ეტყობა, რომ ქართველების მიმართ განსაკუთრებული დამოკიდებულება გააჩნია. „ალბიში" ხუთი ქართველი ვართ და ხუთივეს ძალიან კარგად გვექცევა, ყურადღებას არ გვაკლებს.

**- ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ როგორი მწვრთნელია ანრი?**

- უწინარესად ის ძალიან მაღალი დონის ფსიქოლოგია. გუნდის ყველა მოთამაშის ხასიათი კარგად აქვს შესწავლილი, იცის, ვის როგორ უნდა მიუდგეს. მუშაობის ასეთი სტილი აქვს - შორიდან უყურებს ყველაფერს, არაფერში ერევა და თავისთვის ინიშნავს მნიშვნელოვან დეტალებს. ისე, რომ ყველაფერს აკონტროლებს. ერთი სიტყვით, მას მუშაობის საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთში ძველმოდურ მწვრთნელს ეძახიან, მაინც დიდ პატივს სცემენ.

**- რა დონის კლუბია „ალბი"? რამდენად გამართულია მისი ინფრასტრუქტურა?**

- პირობები ისეთია, როგორც პროფესიულ კლუბს შეეფერება. საწვთნელი ბაზა და სტადიონი შესანიშნავ მდგომარეობაშია. სამედიცინო პერსონალიც მაღალკვალიფიციური გვყავს. საკლუბო ინფრასტრუქტურა ისეა აწყობილი, როგორც ამას საფრანგეთის რაგბის ნაციონალური ლიგა ითხოვს. ბავშვთა და მოზარდთა გუნდებზე არაფერს ვამბობ.

**- გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი წლევანდელი ჩემპიონატის დასაწყისშივე მოიპოვეთ. როგორც ჩანს, ახალ გუნდთან ადაპტაცია არ გაგიჭირდათ...**

- არა, ძალიან გამიჭირდა. აქამდე „ლელოს" გარდა არსად მითამაშია. ამიტომ ახალ გარემოსთან, მოთამაშეებთან და განსხვავებულ სათამაშო ტაქტიკასთან შეგუება ძალიან რთული გამოდგა. ნელ-ნელა, დროთა განმავლობაში ყველაფერს შევეჩვიე. ეს ეტაპი, ანუ გუნდთან შეგუების პერიოდი უკვე გადალახულია. „ალბისთან" ორწლიანი ხელშეკრულება მაკავშირებს და მერე ვნახოთ, რა იქნება.

**- „ალბიმ" ჩემპიონატი კარგად დაიწყო და ახლა ლიდერთა შორისაა. რა მიზანი დაგისახეს სეზონის წინ კლუბის ხელმძღვანელებმა?**

- პირველ ორ ტურში ცუდად ვითამაშეთ და ორივე მატჩი წავაგეთ. მერე ზედიზედ ოთხი შეხვედრა მოვიგეთ. ახლა სტუმრად გვაქვს სათამაშო ბექა შეყლაშვილის „ბეზიესთან". ვნახოთ, რა იქნება. ლანგედოკელები აუტსაიდერთა შორის კი არიან, მაგრამ სტუმრად თამაში ნებისმიერი ძალის გუნდთან რთულია და დარწმუნებული ვარ, მძიმე მატჩი გველის.

კლუბის ხელმძღვანელებმა სეზონის დაწყების წინ გვითხრეს, რომ ხუთეულში ანუ პლეი ოფში უნდა გავიდეთ. ელიტურ, პირველ დივიზიონში გადასვლის პრეტენზია არ აქვთ. წლეულს ახალი გუნდი შეკრიბეს, მოთამაშეთა საშუალო ასაკი 23 წელიწადია და ამიტომ არ ჩქარობენ.

**- ზემოთ ახსენეთ, რომ „ალბიში" ხუთი ქართველი მორაგბე ირიცხება. მათ შესახებაც გვიამბეთ.**

- ხუთი ქართველიდან სამი ძირითად გუნდში ვართ. გიორგი თეთრაშვილი და ვახტანგ ახობაძე ახალგაზრდა მორაგბეები არიან და სათადარიგო გუნდში ანუ ესპუარებში თამაშობენ. საქართველოს ნაკრების მეორეხაზელი ვახტანგ მაისურაძე თავიდანვე ძირითადი შემადგენლობის მოთამაშე გახდა. რამდენიმე კვირის წინათ დაშავდა და ტრავმის მორჩენის შემდეგ რამდენჯერმე სათადარიგოთა სკამიდან ითამაშა.

აქამდე ტრავმირებული იყო და ჯერ არ უთამაშია კახაბერ კობერიძეს. თუმცა ახლა ისიც ჯანმრთელადაა და მალე ძირითად შემადგენლობაში დაიკავებს ადგილს.

**- ახლახან საფრანგეთში საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი მილტონ ჰეიგი და მენეჯერი ვასილ აბაშიძე იმყოფებოდნენ. მათ თქვენი თამაშიც ნახეს. როგორი შეფასება დაიმსახურეთ მწვრთნელისგან?**

- იმ მატჩში მხოლოდ ათი წუთი ვითამაშე. ვახტანგ მაისურაძე კი ტრავმირებული იყო. ჩემი თამაში არ შეუფასებია, უბრალოდ, ნაკრების გეგმებზე ვილაპარაკეთ. გვითხრა, ძალიან კარგია, რომ პროფესიულ კლუბში თამაშობთ და სათანადოდ ხართ მომზადებულიო.

**- ნოემბერში საქართველოს ეროვნულ ნაკრებს ორი ტესტ-მატჩი ელის, იაპონიისა და ფიჯის ნაკრებებთან...**

- რთული მატჩები იქნება. ორივე გუნდი ძალიან ძლიერია. მართალია, მათთან თამაშის გამოცდილება არ მაქვს, მაგრამ, რაც ტელევიზორით მინახავს, დარწმუნებული ვარ, გამარჯვება გაგვიჭირდება. ამიტომ კარგად უნდა მოვემზადოთ და აუცილებლად მოვიგოთ.



ლეგიონერები



# ჟვანია სტად ფრანსეში სამ წელიწადს ითამაშებს

ქართველმა შერკინების ბურჯმა **ზურაბ ჟვანიამ**, რომელიც წლეულს საფრანგეთის ჩემპიონატის ელიტური, პირველი დივიზიონის „სტად ფრანსეში" ჩაირიცხა, ამ პარიზულ გუნდთან ახლახან სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა.

შეგახსენებთ, რომ „სტად ფრანსე" საფრანგეთის უძველესი და ერთ-ერთი ყველაზე ტიტულოვანი გუნდია. ეს კლუბი ბოლო სამი წელიწადია კრიზისში იმყოფებოდა, რამაც პრეზიდენტისა და სხვა ხელმძღვანელი პირების შეცვლა გამოიწვია. ამჟამად პარიზელები ოდინდელი დიდების დაბრუნებას ცდილობენ. უნდათ, რომ ამაში წვლილი ქართველმა მორაგბეებმაც შეიტანონ.

ზურაბ ჟვანია ფოთის სარაგბო სკოლის აღზრდილია. საქართველოს ჭაბუკთა ლიგის გათამაშებაში ფოთის „რაინდების" შემადგენლობაში ასპარეზობდა. მერე ქუთაისის „აიაში" ორი წელიწადი დაჰყო. 2011 წელს თბილისში გამართულ „მსოფლიოს ახალგაზრდულ ალაფზე" საქართველოს ახალგაზრდული ნაკრების ერთ-ერთი წამყვანი მოთამაშე გახლდათ.



# აქვსენტი უკვე საქმეშია

საქართველოს ნაკრების ყოფილი პირველხაზელი **აქვსენტი გიორგაძე** ამჟამად „ტულუზის" სარაგბო აკადემიაში მუშაობს. ახლახან „ლელოსთან" ინტერვიუში მან თქვა, რომ საფრანგეთის ნაკრებში შერკინების კვაჭების მწვრთნელადაა მიწვეული. „ლე ბლო" ნოემბერში შეიკრიბება და ტესტებზე ოთხ შეხვედრას გამართავს.

მანამდე კი „გლობუსას" „ხელობის" გამოყენება სხვა ფრანგულ კლუბებსაც მოუნდომებიათ. აქვსენტი ახლახან ელიტური, მეორე დივიზიონის „ლა როშელში" იმყოფებოდა, სადაც ამ კლუბის შერკინების კვაჭებს ტრენინგები ჩაუტარა.

აი რას ამბობს „ლა როშელის" ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებულ კომუნიკეში გუნდის მთავარი მწვრთნელი **პატრის კოლიასო:**

„საფრანგეთის ნაკრების ერთ-ერთი მწვრთნელი იანიკ ბრუ ჩემი თანაგუნდელი იყო. ჩვენ ერთად ვთამაშობდით „ტულუზში". მისი რეკომენდაციით, კლუბში მოვიწვიეთ ქართველი სპეციალისტი აქვსენტი გიორგაძე, რომელიც ბოლო წლებში ფრანგული გრანდების „კასტრისა" და „ტულუზის" ღირსებას იცავდა. მას საკმაოდ დიდი გამოცდილება აქვს და ძალზედ საინტერესო მეთოდი შეუმუშავებია, რომელიც შერკინების კვაჭების დერეფანში ბურთის ზუსტად აგდებას და სხვა სათამაშო ნიუანსების დახვეწას ეხება.

ასეთი პრაქტიკა არსებობს ბევრ ანგლო-საქსურ ქვეყანაში. იანიკ ბრუ და აქვსენტი გიორგაძე მაღალი დონის სპეციალისტები, კომპეტენტური ადამიანები არიან. მათ სრულიად ვენდობი. მეტიც. აქვსენტი ნოემბრის ტესტებზე საფრანგეთის ნაკრებთანაც იმუშავებს. ამასთან ერთად, მას დავალებული აქვს იმ კლუბებს დაეხმაროს, რომლებშიც საფრანგეთის ეროვნული გუნდის კანდიდატები ასპარეზობენ.

წვრთნები ძალიან საინტერესო გამოდგა მოთამაშეებისთვის. აქვსენტის შემუშავებული აქვს სპეციფიკური ვარჯიშები, რომელიც შერკინების კვაჭების უნარ-ჩვევებს აუმჯობესებს. ყოველივეს ვიდეოფირზე ვიღებდით, რომლის შემდეგაც გიორგაძემ დეტალური ანალიზი გააკეთა და თითოეულ მოთამაშეს ხარვეზებზე მიუთითა.

აღსანიშნავია, რომ ვარჯიშმა დღის პიველი ნახევარი მთლიანად წაიღო, თუმცა პროცესი იმდენად საინტერესო იყო, რომ დრო ძალზედ სწრაფად გავიდა. მორაგბეებს ძალიან მოეწონათ აქვსენტის მიერ შემოთავაზებული მეთოდოლოგია. ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ წვრთნა უნდა ტარდებოდეს შესაბამის პირობებში და მას ისეთი ადამიანი უნდა უძღვებოდეს, რომელსაც პატივს სცემთ და აფასებთ.

საგულისხმოა, რომ შერკინების კვაჭის უნარ-ჩვევების ათვისება საკმაოდ რთული გამოდგა, ამიტომ ვარჯიში რეგულარულადაა საჭირო. ეს არის საშინაო დავალება, რომელიც მუდამ უნდა გაიმეორეო, რაც შედეგს ხანგრძლივ პერსპექტივაში მოიტანს. ამ ტრენინგებმა გვაჩვენა, რომ მოთამაშეებს ძალიან ბევრი შრომა მართებთ, რათა ინდივიდუალური მონაცემები გაიუმჯობესონ".

გვერდი მოამზადა
**ბესიკ ჯანგავაძემ**

კალათბურთი. NBA 2012-13

# ახალი სეზონის 9 ინტრიგა

**გასული წლის შემცირებული და ქაოსური სეზონის შემდეგ, ჩვენ წინ გველის ძალიან საინტერესო 2012-13 წლების სეზონი. ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში ყოველი წელი რაღაცით განსაკუთრებულია. საინტერესოა, რა გველოდება ახალ ჩემპიონატში და რას უნდა მიაქციოს ყურადღება კალათბურთის მოყვარულმა...**




## ბრენდონ როის დაბრუნება

ბევრი უკვე გამოეთხოვა ერთ დროს ვარსკვლავურ და ჯერ არც ისე "ბებერ" **ბრენდონ როის**. ის კი, როგორც გაირკვა, სულაც არ ფიქრობდა კარიერის დასრულებაზე. უბრალოდ ამზადებდა თავის დაბრუნებას და ეს დრო მოვიდა. თავისუფალი აგენტების ბაზარზე რომ თავიდანვე გამოაცხადა, რომ მინიმალური ხელფასი არ აინტერესებდა. ის ლიგაში უბრალოდ კარიერის დასასრულებლად არ მისულა. როი დამაჯერებლად აცხადებს, რომ NBA-ში საკუთარი თამაშის დაბრუნებას აპირებს, როცა მისთვის მატჩში 20 ქულის დაგროვება ჩვეულებრივი ამბავი იყო.

"მინესოტამ" დაუჯერა მას. სანახევროდ ევროპელებით დაკომპლექტებული გუნდი სერიოზულად აპირებს პლეი ოფში დაბრუნებას. რთულია იმის წინასწარმეტყველება, როგორ ჩაატარებს სეზონს როი. შესაძლოა, მას ისევ შეუძლია თანაგუნდელების გაძღოლა. თუ ასეა, უნდა შევაქოთ "ვულვზის" ხელმძღვანელობა, რომ ამ ბიჭს მეორე შანსი მისცა.

## არ არის მინი, არის ლინი

შეძლებს თუ არა **ჯერემი ლინი** "ჰიუსტონში" ისე თამაშს, როგორც ამას შარშანდელი სეზონის მეორე ნახევარში "ნიქსის" რიგებში აკეთებდა? სინამდვილეში, ეს არ არის მაინცდამაინც საჭირბოროტო საკითხი. ეჭვგარეშეა, ის თავის კონტრაქტს გაამართლებს. კლუბში ისევ გაჩნდა აზიურ სახესთან დაკავშირებული ინვესტიციები. სწორედ **იაო მინის** პერიოდში შეიცვალა "როკეტსში" კლუბის ფერები და სიმბოლიკა. შრიფტი რაღაცით იეროგლიფებს დაემგვანა. გაჩნდა "ტოიოტა ცენტრი".

"მაიამის" ახალი აზიური ხელშეკრულებების გასაფორმებლად ნახევარი დედამიწის შემოვლა და ჩინეთში ფულის გამო ღიმილი და კალათბურთის თამაში დასჭირდა. "ჰიუსტონს" კი ეს კოზირი გუნდში ჰყავს. გზა გაკვალულია, ფინანსებზე შეუძლიათ არ ინერვიულონ.

არ უნდა განვსაჯოთ **დერილ მორი**. შესაძლოა, მან უკვე გააფორმა უახლოეს წლებში თავისი მთავარი კონტრაქტი. უბრალოდ, უნდა დავაკვირდეთ ჯერემის თამაშს. ვინ არის ის, ღირსეულია თუ არა მისი თამაში და იმსახურებს თუ არა ადგილს NBA-ის გუნდის სასტარტო შემადგენლობაში? სეზონი გვიჩვენებს.

## განახლებული ნიუიორკული დერბი

იყო დრო, როცა ნიუ იორკს ორი გუნდი ჰყავდა - "ნეტსი" და "ნიქსი". მოგვიანებით, "ნეტსი" ქალაქს ოდნავ მოშორდა და "ნიუ ჯერსი ნეტსად" ინოდებოდა. ახლა, ისინი ისევ ქალაქში არიან. შეძლებენ თუ არა ბრუკლინელები პუბლიკის მნიშვნელოვანი ნაწილის საკუთარ მხარეს გადაქაჩვას? ეყოლებათ თუ არა "ნიქსის" საშინაო მატჩებზე გულშემატკივრები?

80-იანი წლების შუაში, "ნეტსისა" და "ნიქსის" მატჩებს დერბის უწოდებდნენ. ამ დერბის სახეები იყვნენ ძმები **კინგები - ბერნარდი** და **ალბერტი**. უფრო ცნობილმა - ბერნარდ კინგმა კარიერა 1977 წელს "ნიუ ჯერსიში" დაიწყო, მოგვიანებით კი 1982 წელს, "ნიუ იორკში" გადაბარგდა. ამავე დროს, 1981 წლის დრაფტზე "ნეტსმა" მისი უმცროსი ძმა ალბერტი აირჩია მეათე ნომრად. ასე გაჩნდა არა მხოლოდ მეზობლების, არამედ ძმების დაპირისპირება. 1987 წლამდე ძმები მეზობლები იყვნენ, მაგრამ ბარიკადების სხვადასხვა მხარეს იდგნენ.

ახლა, დერბიზე ლაპარაკი ძალიანნაადრევია, მაგრამ, ვინ იცის - თუ "ბრუკლინი" შეძლებს ბრძოლა მოახვიოს თავს "ნიუ იორკს", ქალაქის მოსახლეობა ორ ნაწილად გაიხლიჩება.

## პლეი ოფის მერვე საგზური დასავლეთში

ამ გადასახედიდან ისე ჩანს, რომ დასავლეთ კონფერენციაში პლეი ოფის მერვე საგზურისთვის დიდი ბრძოლა იქნება.

თუ საქმეში სერიოზული ტრავმები არ ჩაერევა, 2013 წელს, დასავლეთიდან პლეი ოფში აუცილებლად ვნახავთ შვიდ გუნდს: "ლეიკერსს", "კლიპერსს", "სან ანტონიოს", "ოკლაჰომას", "დენვერს", "მემფისსა" და "დალასს".

დარჩენილი ერთი საგზურისთვის შემდეგ კლუბებს შეუძლიათ ბრძოლა: "მინესოტას", "ფინიქსს", "იუტასა" და "გოლდენ სტეიტს". ამ მხრივ, რეგულარულის ბოლოსკენ მართლაც ძალიან საინტერესო ბრძოლაა მოსალოდნელი.

## ენტონი დევისი და მისი კლასი

თუ 2012 წლის დრაფტზე გასაგები იყო, ვინ გახდებოდა პირველი ნომერი, 2013 წელს საუკეთესო ახალბედას ტიტულზე კი კამათი შეიძლება. რატომღაც, ჩრდილოამერიკელ ექსპერტებს შორის არ არის სრული თანხმობა იმაზე, რომ ენტონი დევისს სრული დომინირება ექნება სხვა დებიუტანტებზე.

თუ დევისის "აქციებს" ავიღებთ, ის, რა თქმა უნდა, ფავორიტია - დრაფტის პირველი ნომერი და ოლიმპიადაზე გამოსვლა ავალდებულებს ამას. მაგრამ მას ბევრი რამ აქვს დასამტკიცებელი.

**დემიან ლილარდმა, მაიკლ კიდ-გილქრისტმა** უკვე გამოიჩინეს თავი. არიან ასევე **ტომას რობინსონი, ჰარისონ ბარნსი** და **ტერენს როსი**, აგრეთვე შფოთიანი **როის უაიტი**.

## დურანტის ჩამოყალიბება

ვერავინ უარყოფს იმას, რომ **კევინ დურანტი** უკვე ჩამოყალიბებული ვარსკვლავია. ცენტრის სიმაღლის ბიჭი მცველად თამაშობს, აქვს სნაიპერის ტყორცნა და ვეტერანისთვის დამახასიათებელი ცივი გონება. ლიგის სამგზის საუკეთესო სნაიპერი დღეისთვის NBA-ის ერთ-ერთი საუკეთესო ბომბარდირია.

მაგრამ ის ჯერ შორის არის სრულყოფამდე. მაგალითად, პირველი მოგებისთვის ლებრონს სამი სხვადასხვა ფინალის ჩატარებამ მოუწია. კევინის ანგარიშზე უკვე არის ერთი წაგებული ფინალური სერია. მას ჯერ კიდევ აკლია ლიდერის თვისებები. ამის ნათელი დადასტურებაა შარშანდელი ფინალური სერია. მაშინ, "მაიამის" ბევრი საჩუქარი გაუკეთა **რასელ უესტბრუკმა** და მისი შეჩერება ვერავინ შეძლო - ვერც მთავარმა მწვრთნელმა და ვერც დურანტმა პირველი ვარსკვლავის უფლებით. არის თუ არა ის ამის შემდეგ გუნდში პირველი ვარსკვლავი?

ის უფრო მოძლიერებული ჩანს, ვიდრე უნივერსიტეტში, მაგრამ კიდევ შეუძლია მუსკულატურის განვითარება. ეს არ არის უბრალო სიტყვები. სეზონის წინ **ბრუქსი** ამბობს, რომ სურს უფრო ხშირად გამოიყენოს კევინი მეოთხე ნომრის პოზიციაზე.

ვნახოთ, რა გამოვა აქედან.

## დერიკ როუზი

**დერიკ როუზის** თემა ძალიან აწუხებთ კალათბურთის თაყვანისმცემლებს. კალათბურთმა უკვე დაკარგა ათი წლის წინ კარგი პირველი ნომერი. **ჯეი უილიამსს** ბევრი აკლდა დერიკ როუზამდე, მაგრამ ის ერთ-ერთ ყველაზე პერსპექტიულ გამთამაშებლად მიიჩნეოდა. პირველი სეზონის შემდეგ, მოტოავარიამ დაასრულა მისი გამოსვლა "ბულზში" და მთლიანად ლიგაში.

რაც შეეხება როუზს, მისი თამაში, ხშირად, ფიზიკურ თვისებებზეა აწყობილი. ძალიან მაღალი სიჩქარე, ფართო მხრები და მაღალი ნახტომი... რა დარჩება ამ ყველაფრისგან აღდგენის შემდეგ, არავისთვის არის ცნობილი.

ამიტომაც, მნიშვნელოვანია დერიკმა არ მიმართოს მოვლენათა ფორსირებას და გონივრულად დაგეგმოს დაბრუნება.

## ყველაფერი, რაც ლეიკერსს უკავშირდება

მარტო "ლეიკერსზე" ათი ცალკე სიუჟეტის გაკეთება შეიძლება, მაგრამ ასევე შესაძლებელია მათი ერთი სათაურით გაერთიანება: **ნეშის** ასაკი, **ჰოვარდის** ჯანმრთელობა, **ბრაიანტის** ეგოიზმი, **ბრაუნის** ნიჭი, ექს-**არტესტის** სულიერი მდგომარეობა, სათადარიგოთა სკამის დახმარება...

"ლეიკერსს" იდეალურთან მიახლოებული სასტარტო შემადგენლობა ჰყავს: დამცველი ცენტრი, სტოპერი, უნივერსალური მძიმე ფორვარდი, ლიდერი ვარსკვლავი და გენიალური გამთამაშებელი. რა აკლია ამ გუნდს?

მას აკლია **ფილ ჯექსონი!** შესაძლოა, სწორედ ამ ფაქტორმა იჩინოს თავი პლეი ოფში, თუმცა იმის გარანტიაც არ არსებობს, რომ მანამდე გუნდს ყველაფერი წესრიგში ექნება. 2000 წელს "ლეიკერსის" შემადგენლობა დიდად არ შეცვლილა 1999 წელთან შედარებით, მაგრამ 1998-99 წლების სეზონში **კურტ რემბისის** ხელმძღვანელობით გუნდი ჩემპიონი ვერ გახდა, ჯექსონის მოსვლით შემდეგ, ზედიზედ სამჯერ გახდნენ უძლიერესები, პაუზის შემდეგ - კიდევ ორჯერ.

შემადგენლობაში მაშინდელი ცვლილებებიდან უნდა აღვნიშნოთ მხოლოდ **ბრაიან შოს** მისვლა, აგრეთვე **რონ ჰარპერის** ტრანსფერი, რომელმაც თავისი მოგვარე **დერეკი** შეცვალა.

შეძლებს თუ არა მაიკ ბრაუნი სათადარიგოთა სკამიდან გუნდის თამაშის გაძლიერებას, როცა ეს საჭირო იქნება? ვარსკვლავური სასტარტო შემადგენლობის მიუხედავად, ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტორია.

## მაიამის ჩემპიონობა - არა შემთხვევითობა?

გასული წელი **ლებრონის**, შესაბამისად, "მაიამისა" იყო. მაგრამ საინტერესოა, როგორ იბრძოლებდა ფინალურ სერიაში "ჰიტი" სრულიად განსხვავებულ "სან ანტონიოსთან". ისევე მრავალმხრივი იქნებოდა მათი თამაში, როგორც "ოკლაჰომასთან" სერიაში იყო? აქ კიდევ ერთხელ უნდა გავიხსენოთ უესტბრუკის სისულელეები.

ახლა, ლებრონს ვერავინ ვერაფერს წამოაძახებს. ყველა კითხვაზე მას მატერიალური პასუხი გააჩნია: მედლები, ბეჭედი, თასები. ფორმალურად, ის მეორე **მაიკლ ჯორდანია**, მაგრამ სინამდვილეში, მათ შორის ჯერ ისევ დიდი სხვაობაა. ამ მხრივ, ჯეიმსის პირველი გამოცდა იქნება შარშანდელი წარმატების გამეორება.

იქნებ, "მაიამი" ახალი საუკუნის მეორე "ბოსტონი" გახდეს? 2008 წელს ყველას ეგონა, რომ "სელტიქსზე" საშიში გუნდი არ არსებობდა, მაგრამ იმ წელს მოგებული ტიტული ერთადერთი გამოდგა "დიდი ტრიოსთვის" (**გარნეტი, პირსი, ალენი**), **რივერსისა** და **რონდოსთვის**. რამდენად შორს შეუძლია წავიდეს "ჰიტს". რა თქმა უნდა, ისინი რეი ალენით გაძლიერდნენ, კიდევ უფრო შეიკვრნენ. მაგრამ ყველა სიტყვას ივიწყებენ, როცა თამაში იწყება. კალათბურთი იმით არის კარგი, რომ ნებისმიერ სტერეოტიპს ამსხვრევს. 2013 წელს, ყველაზე მოსალოდნელ ფინალად მოჩანს "ლეიკერსისა" და "მაიამის" დაპირისპირება. მაგრამ უნდა მოვიცადოთ, რადგან ასეთი რამ შეიძლება საერთოდ არ მოხდეს. მალე შევიტყობთ ქალალზე გაწერილი ვისი გეგმა აღმოჩნდება მომგებიანი.

ნებისმიერ შემთხვევაში, წინ ბევრი საინტერესო გველის!

გია **თვალაბეიშვილი**




ლეიკერსის ვარსკვლავები



ლებრონ ჯეიმსი

● ავტომოტოსპორტი



დევიდ კულტჰარდი

# დევიდმა დაამთავრა

ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, სახელგანთქმული **დევიდ კულტჰარდი**, რომელიც ამჟამად გერმანიის DTM-ის ჩემპიონატში გამოდის, 2012 წლის შემდეგ აპირებს ავტომრბოლელის კარიერის დასრულებას. ცნობისთვის, წელს, DTM-ის ჩემპიონატის ბოლო რბოლა უახლოეს უქმეებზე, ჰოკენჰაიმის ტრასაზე გაიმართება.

*"ამ უქმეებზე გაიმართება ჩემი ბოლო რბოლა პროფესიულ დონეზე. ახლა ვაპირებ საკუთარი ბიზნესის გაფართოებაზე ვიზრუნო და, რა თქმა უნდა, მეტი დრო გავატარო ოჯახთან ერთად.*

*მინდა მადლობა გადავუხადო ნორბერტ ჰაუგსა და "მერსედესს" ჩემთვის ბოძებული შანსისთვის. აგრეთვე მადლობას ვუხდი სპონსორებს, რომელთა წყალობით საშუალება მომეცა განმეთავსებინა ავტომობილზე Wings for Life Foundation-ის ლოგო. ამან აღნიშნული ფონდის პოპულარიზაციას შეუწყო ხელი. ის ზურგის ტვინის დაზიანების კვლევას ეხმარება"*, - განაცხადა კულტჰარდმა Autosport-თან კომენტარში.

# ლოები ათგზის ყოფილა

**სებასტიან ლოებმა**, რომელმაც წელს კლასიკურ რალიში მსოფლიოს მეცხრე ტიტული მოიპოვა, მსოფლიოს ჩემპიონატის ოფიციალური ვებგვერდისთვის მიცემულ ინტერვიუში განაცხადა, რომ საკუთარ თავს ათგზის ჩემპიონად მიიჩნევს.

ჩემპიონთან ინტერვიუ ვებგვერდის მომხმარებელთა მიერ მოწოდებული კითხვების მიხედვით შედგა. ირლანდიელმა გულშემატკივარმა „სიტროენის" გუნდის ლიდერს ჰკითხა - რატომ არ აპირებს ფრანგი რალისტი გაისად მეათე საჩემპიონო ტიტულისთვის ბრძოლას? *„მე ხომ ათი ტიტული მაქვს, -* უპასუხა ლოებმა. - *გაიხსენეთ, ჯერ კიდევ 2001 წელს, იუნიორების ჩემპიონატი მოვიგე! ვალენტინო როსი (მოტორბოლაში მსოფლიოს მრავალგზის ჩემპიონი) დაბალ კატეგორიებში მოპოვებულ ტიტულებსაც ითვლის - მე რატომ არ უნდა მოვიქცე ასე?.."*

მართლაც, მრავალი წლის განმავლობაში, რალიში მსოფლიოს ჩემპიონი რამდენიმე ადამიანი ხდება, რადგან ტიტულებს სხვადასხვა კატეგორიაში ანიჭებენ. ლოები 2001 წელს მსოფლიოს ჩემპიონი გახდა JWRC-ის ჩათვლაში, რომლის მონაწილეები ნაკლები სიმძლავრის მანქანებით გამოდიოდნენ (თავად ლოები Citroen Saxo-ის მანქანას მართავდა). JWRC-ის ჩათვლა 2010 წლამდე არსებობდა - ამ დროის განმავლობაში, აღნიშნულ კატეგორიაში გაიმარჯვეს **დანი სორდომ, სებასტიან ოჟიემ** და **მარტინ პროკოპმა** (წელს ისინი კლასიკური რალის მონაწილეები არიან).

■ ■ ■

უახლოეს უქმეებზე, მალაიზიაში გაიმართება მოტოგრანპრიში მსოფლიოს ჩემპიონატის მორიგი ეტაპი. გენერალურ კლასიფიკაციას კვლავინდებურად **ხორხე ლორენსო** ლიდერობს, ხოლო სერიოზულად ჩამორჩენილი **დანი პედროსა** არ ნებდება და ბოლო იმედს ეჭიდება. დანის მხოლოდ სასწაული თუ უშველის: რატომ არ შეიძლება ეს სასწაული სეპანგში მოხდეს?!

კლასიკურ რალიში მსოფლიოს ჩემპიონი უკვე ცნობილია - სებასტიან ლოები. მაგრამ ეს ხელს არ შეუშლის პილოტებსა და გულშემატკივრებს, სიამოვნება მიიღონ იტალიის რალით, რომელიც სარდინიაზე გაიმართება.

**მოტოგრანპრი**

**მალაიზიის გრანპრი**

**ჩატარების ადგილი** - სეპანგი, მალაიზია
**წრის სიგრძე** - 5548 მ
**საუკეთესო წრე** - 2:02,108 (სტოუნერი, 2007)

**საერთო ჩათვლა**

1. ლორენსო (იამაჰა) - 310 ქულა
2. პედროსა (ჰონდა) - 282
3. სტოუნერი (ჰონდა) - 197
4. დოვიციოზო (იამაჰა) - 192
5. ბაუტისტა (ჰონდა) - 144
6. როსი (დუკატი) - 137
7. კრატჩლოუ (იამაჰა) - 135
8. ბრადლი (ჰონდა) - 125

**განრიგი**

19 ოქტომბერი, 06:10 - I პრაქტიკა
19 ოქტომბერი, 10:10 - II პრაქტიკა
20 ოქტომბერი, 06:10 - III პრაქტიკა
20 ოქტომბერი, 09:55 - კვალიფიკაცია
21 ოქტომბერი, 12:00 - რბოლა

**რალი**

**იტალია**

**შტაბი** - სარდინია
**საფარი** - ღორღი
**სპეცმონაკვეთების რაოდენობა** - 16
**დისტანცია** - 306,04 კმ

**საერთო ჩათვლა**

1. ლოები (სიტროენი) - 244 ქულა
2. ჰირვონენი (სიტროენი) - 173
3. ლატვალა (ფორდი) - 131
4. ოსტბერგი (ფორდი) - 125
5. პ. სოლბერგი (სიტროენი) - 119
6. ნოვიკოვი (ფორდი) - 69
7. ნოივილი (სიტროენი) - 52
8. პროკოპი (ფორდი) - 42



სებასტიან ლოები

● კალათბურთი. NBA 2012-13 წელი

# სეზონის წინ: ტორონტო რეპტორზი

**ტორონტო რეპტორზი 2011-12**

**თავდასხმა:** საშუალოდ 98,5 ქულა - 25-ე ლიგაში

**დაცვა:** საშუალოდ 101,5 ქულა - მე-12 ლიგაში

**წინა ხაზი**

კანადური კლუბის გულშემატკივრებს **იონას ვალანჩიუნასის** დიდი იმედი აქვთ, მაგრამ ლიტველთან დაკავშირებით "ტორონტოს" თაყვანისმცემლებმა მოთმინება უნდა გამოიჩინონ. ეს ბიჭი მხოლოდ 20 წლისაა, აუცილებლად სჭირდება NBA-ში გამოცდილების მიღება და საკუთარ თამაშზე მუდმივი მუშაობა როგორც დაცვაში, ასევე შეტევაში.

**შეფასება:** 4

**უკანა ხაზი**

**კაილ ლოური** და **ლენდრი ფილდსი**, რა თქმა უნდა, არ მიიჩნევიან სუპერვარსკვლავებად, მაგრამ შეუძლიათ გუნდს დაეხმარონ პერიმეტრზე დაცვის გამაგრებით. ახალბედა **ტერენს როსმა** შორი მანძილიდან უნდა ისროლოს ზუსტად, რაც ასე აკლდა "ტორონტოს" გასულ წელს.

**შეფასება:** 4

**დაცვა**

გასულ სეზონში **დუეინ კეისიმ** პატარა სასწაული მოახდინა, როცა ლიგის ყველაზე უარესი დაცვა კარგ და დაწყობილ დაცვით გუნდად აქცია. ახლა, მთავარი მიზანი იქნება იონას ვალანჩიუნასისთვის დაცვაში თამაშის სწავლება.

**შეფასება:** 4

**სათადარიგოთა სკამი**

ქაღალდზე "რეპტორზის" სათადარიგოთა სკამი საკმაოდ კარგად გამოიყურება, მაგრამ საბოლოო პროდუქტიულობა როსისა და **ედ დევისის** პროგრესზე იქნება დამოკიდებული, რომელიც გასულ წელს გუნდის მთავარი იმედგაცრუება გახდა.

**შეფასება:** 3

**მწვრთნელი**

შარშანდელ სეზონში დაცვაში წარმატებულმა თამაშმა გადაფარა წარუმატებლობები თავდასხმაში, მაგრამ თუ გუნდს წინსვლა აქვს დაგეგმილი, აუცილებელია იპოვოს ქულების დაგროვების ეფექტური ხერხი.

**შეფასება:** 4

**საბოლოო შეფასება**

დაცვის რეიტინგის მხრივ, "ტორონტო" ყველაზე პროგრესირებადი გუნდი იყო. ახლა, დროა შემადგენლობაში ახალგაზრდა მოთამაშეები დაამატონ. ეს საკმაოდ ნელი პროცესია. ვალანჩიუნასი გასულ წელს აირჩიეს დარფტზე და ის ჯერ ძალიან ახალგაზრდაა. ლოური და ფილდსი ერთად ვერ შექმნიან შედეგს. დევისსა და როსს დრო სჭირდებათ შემდგომი განვითარებისთვის. კიდევ რამდენიმე გაცვლას ვნახავთ იქამდე, სანამ მომავალი ზაფხული არ დადგება და არ დასრულდება **ხოსე კალდერონის** კონტრაქტი, თუ რა თქმა უნდა, ის მანამდე სხვაგან არ გაცვალეს.

წელს გუნდის მთავარი მიზანი არ არის პლეი ოფში მოხვედრა. ნომერ პირველი პრიორიტეტია - მოთამაშეების განვითარება და პროგრესი.

**საერთო შეფასება:** 4




ეროვნული ბიბლიოთეკა

# ხელმოტეხილი ლავი და სხვა ამბები

მოახლოებული სეზონის წინ, სერიოზული დანაკლისი განიცადა „მინესოტა ტიმბერვულვზმა". ამ გუნდის ლიდერმა **კევინ ლავმა** მარჯვენა ხელი მოიტეხა და ამის გამო 6-8 კვირას გამოტოვებს.

კლუბის ხელმძღვანელობამ უკვე დაიწყო ლავის შემცვლელზე ფიქრი და დროებით, მძიმე ფორვარდის პოზიციაზე **კენიონ მარტინის** აყვანას აპირებს, რომელიც, ამჟამად, თავისუფალი აგენტის სტატუსით სარგებლობს. კიდევ ერთი ალტერნატიული ვარიანტია გუნდის ახალწვეულის, რუსი **ანდრეი კირილენკოს** მძიმე ფორვარდის პოზიციაზე გადაყვანა.

■ ■ ■

„დალას მავერიქსი" და „ჰიუსტონ როკეტსი" „ოკლაჰომას" ერთ-ერთი წამყვანი მცველის - **ჯეიმს ჰარდენის** ხელში ჩასაგდებად ბრძოლას იწყებენ. მომდევნო ზაფხულს, ეს კალათბურთელი თავისუფალი აგენტი გახდება და სახელფასო ბიუჯეტის გადატვირთვის გამო, „ოკლაჰომას" მისი შენარჩუნების მინიმალური შანსი ექნება

ESPN-ის ინფორმაციით, ასოციაციის ორ კლუბი - „დალასი" და „ჰიუსტონი" სერიოზულ ინტერესს გამოთქვამენ ჰარდენის მიმართ. იმ შემთხვევაში, თუ მცველი თავისუფალი აგენტების ბაზარზე აღმოჩნდება, ეს კლუბები მზად არიან მას ოთხწლიანი ხელშეკრულება შესთავაზონ, რომლის საერთო ღირებულება 60 მილიონი დოლარი იქნება.

■ ■ ■

„ჩიკაგო ბულზის" ხელმძღვანელობა ჯერჯერობით ვერ ახერხებს ერთ-ერთ წამყვან ფორვარდთან **ტაჯ გიბსონთან** ახალ კონტრაქტზე შეთანხმებას. მოლაპარაკებები საკმაოდ წარუმატებლად მიმდინარეობს, მაგრამ „ბულზი" არ აპირებს იმ სიტუაციის გამეორებას, რომელსაც ცენტრ **ომერ აშიქთან** მიმართებაში ჰქონდა ადგილი. მაშინ, „ჰიუსტონმა" თურქ კალათბურთელს ისეთი კონტრაქტი შესთავაზა, რომლის გამეორების საშუალება „ხარების" შეფობას არ ჰქონდა.

ვარაუდობენ, რომ გიბსონთან ხელშეკრულების გასაფორმებლად, „ჩიკაგო" პრაქტიკულად ყველანაირ ვარიანტზეა თანახმა. მაგალითად, კლუბი მზად არის გამოისყიდოს ასევე ერთ-ერთი წამყვანი ფორვარდის, **კარლოს ბუზერის** კონტრაქტი, რათა განტვირთოს სახელფასო ბიუჯეტი.

27 წლის გიბსონმა გასულ სეზონში 63 მატჩი ჩაატარა და საშუალოდ 7.7 ქულა და 5.3 მოხსნა დააგროვა.

■ ■ ■

ახალი სეზონის წინ, საბუკმეიკერო კანტორებმა უკვე დაიწყეს ფსონების მიღება მომავალ რეგულარულში MVP-ის ტიტულის მფლობელ კალათბურთელზე. ბუკმეიკერები 2012-13 წლების სეზონში საუკეთესო მოთამაშის სტატუსს „მაიამის" ფორვარდ **ლებრონ ჯეიმსს** უწინასწარმეტყველებენ. ამ კალათბურთელს უკვე სამჯერ მიანიჭეს MVP-ის ტიტული - 2009, 2010 და 2012 წლებში.

ლებრონის შესაბამისი კოეფიციენტი 2.8-ს უდრის. მეორეა სიაში **კევინ დურანტი** - 4.75, მესამე **კობი ბრაიანტი** - 13.0. შემდეგ მოდიან: **რასელ უესტბრუკი, დუაიტ ჰოვარდი** და **სტივ ნეში** - 17.0, **კრის პოლი** და **კევინ ლავი** - 21.0. ხოლო კალათბურთის ის მოყვარული, რომელსაც სჯერა, რომ სეზონის MVP **ჯერემი ლინი** გახდება, 101-ჯერ გაზრდის დადებულ თანხას.

■ ■ ■

ბრაზილიელი მცველი **ლეანდრო ბარბოზა** „ბოსტონ სელტიქსის" ხელმძღვანელობას ერთწლიან კონტრაქტზე მოელაპარაკა, იტყობინება Yahoo! Sports-ის მიმომხილველი **ედრიან ვოინაროვსკი**.

2011-12 წლების სეზონში ბარბოზამ 66 მატჩი ჩაატარა „ტორონტოსა" და „ინდიანას" შემადგენლობაში და საშუალოდ 12,2 ქულა დააგროვა.

**ტორონტო-ვაშინგტონი 104:101**

**24:34, 30:15, 19:28, 31:24**

ტ: ფილდსი (15), ლოური (14+6 პასი+3 ჩაჭრა), ჯონსონი (13), კალდერონი (12+8 პასი), დეროზანი (11).

ვ: ბუკერი (12), უებსტერი (11+5 მოხსნა), ვესელი (11), ოკაფორი (11+5 მოხსნა), ბილი (11), ბერონი (10+8 მოხსნა), პარგო (10).

**ფილადელფია-კლივლენდი 113:99**

**28:27, 38:14, 26:27, 21:31**

ფ: ნ. იანგი (19+5 მოხსნა), უენსი (19), რაიტი (17), ჰოლიდეი (13), ტ. იანგი (11+6 მოხსნა).

კ: ირვინგი (23), გიბსონი (18), მაილზი (10), ტომპსონი (10+10 მოხსნა+3 დაფარება), ვარეჟაო (10+6 მოხსნა).

**დალასი-ფინიქსი 94:100**

**31:28, 23:21, 20:32, 20:19**

დ: კამანი (16), კარტერი (15+7 მოხსნა), მაიო (14), ბრენდი (11+5 მოხსნა), კრაუდერი (10+6 მოხსნა+5 ჩაჭრა+3 დაფარება).

ფ: დადლი (16), დრაგიჩი (12+6 პასი), ჯონსონი (11+5 მოხსნა), გორტატი (10+6 მოხსნა+3 დაფარება).

**საკრამენტო-გ. სტეიტი 88:98**

**20:29, 24:29, 27:20, 17:20**

ს: ტომასი (13), ტორნტონი (12), ტომპსონი (11+7 მოხსნა), კაზინსი (8+9 მოხსნა).

გ-ს: კარი (19+5 მოხსნა), ლი (16+14 მოხსნა), ტომპსონი (15), ლენდრი (12+9 მოხსნა).

**პორტლენდი-დენვერი 97:80**

**26:23, 28:16, 17:19, 26:22**

პ: მეტიუზი (19), ოლდრიჯი (14), კლავერი (13), კარლი (11+5 პასი), სმიტი (9+8 პასი).

დ: ფარიდი (17+11 მოხსნა).

**კლიპერსი-იუტა 96:94**

**21:23, 13:25, 34:16, 28:30**

კ: გრიფინი (23+5 მოხსნა+5 პასი+5 ჩაჭრა), კროუფორდი (18), ჯორდანი (11+16 მოხსნა+3 დაფარება), ბლედსოუ (11), პოლი (6+9 პასი).

ი: ფოიე (17), კანტერი (14+9 მოხსნა), მილსეპი (13+8 მოხსნა), ჰეივორდი (11).

**ჰიუსტონი-მემფისი 109:102**

**29:24, 22:25, 34:27, 24:26**

ჰ: მარტინი (22), პატერსონი (17+6 მოხსნა), დელფინო (14), დუგლასი (13), პარსონსი (10+5 პასი+4 ჩაჭრა), აშიქი (9+11 მოხსნა), ლინი (7+12 პასი+5 მოხსნა+4 ჩაჭრა).

მ: კონლი (18+3 ჩაჭრა), გეი (13+7 მოხსნა), სელბი (11), პონდექსტერი (10), ბეილესი (10), რენდოლფი (9+10 მოხსნა).

გვერდი მოამზადა
გია თვალაბეიშვილმა

ფორმულა 1

# შუმის სხვა სერია არ აინტერესებს


მიხაელ შუმახერი

ლეგენდარულმა გერმანელმა პილოტმა **მიხაელ შუმახერმა**, რომელმაც ამასწინ ფორმულა 1-ში კარიერის დასრულების შესახებ გამოაცხადა, გერმანულ პრესაში თავისი მომავალის შესახებ ილაპარაკა.

მსოფლიოს შვიდგზის ჩემპიონი ამბობს, რომ მას უკვე აქვს რამდენიმე კონკრეტული წინადადება პოტენციური დამსაქმებლებისგან. მისი სიტყვებით, ის ნამდვილად არ იმუშავებს ფორმულა 1-ში. გარდა ამისა, მიხაელმა იმასაც გაუსვა ხაზი, რომ ის არც ერთ სარბოლო სერიაში არ აპირებს გამოსვლას. "მერსედესის" პილოტი სეზონის დასრულების შემდეგ გამოაცხადებს სამომავლო გეგმების შესახებ.

■ ■ ■

ამ დღეებში, ინდოეთის პოლიციამ ორდერი გამოწერა ფორმულა 1-ის გუნდის "ფორს ინდიასა" და ავიაკომპანია Kingfisher Airlines-ის მფლობელის **ვიჯეი მალიას** დაპატიმრებაზე. მიზეზი ფინანსური პრობლემებია. მაგრამ გუშინ, ორდერი გაუქმდა, რადგან მალიას ავიაკომპანიამ გადაუხადა დავალიანება ქალაქ ჰაიდარაბადის საერთაშორისო აეროპორტის ხელმძღვანელობას და ფორმულა 1-ის გუნდის მფლობელს შეუძლია მშვიდად დაბრუნდეს მშობლიურ ინდოეთში.

მაგრამ, ამ პრეცედენტმა, შესაძლოა, უსიამოვნო გაგრძელება მიიღოს: ავიაკომპანიის სხვა კრედიტორებმა და პარტნიორებმა, ასევე შეიძლება სასამართლოს მიმართონ, რათა დაიბრუნონ ვალები Kingfisher Airlines-გან.

მიუხედავად იმისა, რომ კონფლიქტი გადაწყვეტილია, ავიაკომპანიის ვერც ერთმა თვითმფრინავმა ვერ შეძლო ჰაიდარაბადის აეროპორტის დატოვება, რადგან ამ პროცესებს აეროპორტის თანამშრომლების გაფიცვა დაემთხვა. მათ შვიდი თვეა ხელფასი არ მიუღიათ.

კრივი

# კლიჩკოს პრეტენდენტს ურჩევენ

მსოფლიოს საკრივო საბჭომ საინტერესო შეხვედრა დანიშნა - 15 დეკემბერს, სუპერმძიმე წონით კატეგორიაში ერთმანეთს შეხვდებიან ამერიკელი **კრის არეოლა** და კანადელი **ბერმეინ სტივერნი**. ამ ბრძოლაში გათამაშდება WBC-ის ვერსიით მსოფლიოს ჩემპიონის ტიტულზე აუცილებელი პრეტენდენტის სტატუსი. ტიტულს ამ ვერსიით უკრაინელი **ვიტალი კლიჩკო** ფლობს. როგორც იტყობინებიან, არეოლასა და სტივერნის ბრძოლა ვენესუელაში გაიმართება.

31 წლის არეოლამ, რომელიც WBC-ის რეიტინგის პირველი ნომერია, კარიერაში 37 ბრძოლა ჩაატარა. მის ანგარიშზეა 35 მოგება (30 - ნოკაუტით) და ორი მარცხი. არეოლა ერთხელ უკვე შეხვდა ვიტალი კლიჩკოს. ეს 2009 წელს მოხდა და მაშინ უკრაინელმა გამარჯვება მოიპოვა.

33 წლის სტივერნი WBC-ის კლასიფიკაციაში მეორე ადგილს იკავებს. კანადელის პროფესიული კარიერა 24 ბრძოლისგან შედგება. აქედან მან 22 შეხვედრა მოიგო (20 - ნოკაუტით), ერთხელ დამარცხდა და ერთი ბრძოლა ფრედ დასრულდა.

ბოლოს, ვიტალი კლიჩკომ თავისი ტიტულის დაცვა 8 სექტემბერს გამართა, როცა მოსკოვში გერმანელი **მანუელ ჩარი** დაამარცხა. ამის შემდეგ, უკრაინელმა განაცხადა, რომ ჯერ არ გადაუწყვეტია, გააგრძელებს თუ არა კარიერას.



კრის არეოლა

ამბები

ბიატლონი

## ბიატლონისტები ტრადიციას იცავენ

ბიატლონისტთა საერთაშორისო კავშირის რეის-დირექტორმა **ფრანც ბერგერმა** განაცხადა, რომ სპორტსმენებს შორის ჩატარდა გამოკითხვა იმის შესახებ, საჭიროა თუ არა ინდივიდუალური რბოლების ჩატარება.

*"ჩვენ გამოვკითხეთ ბიატლონისტები და მათმა 80 პროცენტმა განაცხადა, რომ სურთ ინდივიდუალური რბოლის შენარჩუნება. ამიტომაც, ბიატლონის უძველესი დისციპლინა მომავალშიც დარჩება კალენდარში"*, - ამბობს ბერგერი.

მანვე იმასაც გაუსვა ხაზი, რომ მსოფლიოს თასის ეტაპებზე, მსოფლიოს ჩემპიონატებსა და ოლიმპიადებზე კვლავაც ხუთი სტარტი დარჩება ქალებისა და მამაკაცებისთვის.

მძლეოსნობა

## რვა წლის ნაცვლად ექვსი თვე

უნგრელ ბადროს მტყორცნელს **რობერტ ფაზეკაშს** მალე მიეცემა დიდ სპორტში დაბრუნების საშუალება. შეგახსენებთ, რომ ამ სპორტსმენმა ვერ შეძლო ლონდონის ოლიმპიადაზე გამოსვლა დადებითი დოპინგ-ტესტის გამო.

თავდაპირველად, ფაზეკაშს რვაწლიანი დისკვალიფიკაცია მისცეს, მაგრამ ახლა, ეს ვადა ექვს თვემდე ჩამოუყვანეს. უნგრეთის ანტისადოპინგო სააგენტომ დაადგინა, რომ აკრძალული სტეროიდი - სტანოზოლოლი იმ პრეპარატში შედიოდა, რომელიც მძლეოსანმა მალაზიაში შეიძინა. ფაზეკაშმა პრეპარატის ზუსტი შემადგენლობა არ იცოდა. ამ ცვლილებების გათვალისწინებით, უნგრელს უკვე შემდეგ სეზონში შეეძლება ნებისმიერი ტურნირის სრულფასოვანი მონაწილე იყოს.

კალათბურთი

## ტი-მაკი: ჩემთვის NBA-ს კარი დაიხურა

ეროვნული საკალათბურთო ასოციაციის ვეტერანმა ფორვარდმა **ტრეის მაკგრეიდიმ** მომავალი სეზონის მოლოდინზე ილაპარაკა ჩინურ პრესასთან. როგორც იცით, ეს კალათბურთელი ერთი წლის განმავლობაში ჩინეთის ჩემპიონატში ითამაშებს.

*"მინდა ჩინეთში წარმატებული კარიერა მოვიწყო. ვერ ვხედავ საკუთარ მომავალს ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში, თუმცა არასოდეს თქვა არასოდეს. რაც შეეხება ჩინეთს, მინდა იქ მაქსიმალური სიამოვნება მივიღო კალათბურთისგან.*

*წინ იმდენი აქტიური წელი მაქვს, რამდენიც თავად მსურს. მე ჯანმრთელი ვარ, როგორც იქნა, თავს კარგად ვგრძნობ. ამ მომენტისთვის დიდ კალათბურთში კიდევ ოთხი-ხუთი წელი ვაპირებ დარჩენას"*, - განაცხადა მაკგრეიდიმ ESPN-თან კომენტარში.

## ობრადოვიჩი მილანში ინიშნება?

იტალიური პრესის ინფორმაციით, ცნობილმა სერბმა სპეციალისტმა **ჟელკო ობრადოვიჩმა**, შესაძლოა, სერია A-ში მოთამაშე "მილანის" მთავარი მწვრთნელის პოსტი ჩაიბაროს.

ამჟამად, მილანს ესპანეთის ნაკრების მთავარი მწვრთნელი **სერჯო სკარიოლო** ავარჯიშებს. ამ სპეციალისტს 2013-14 წლების სეზონის ბოლომდე აქვს გაფორმებული კონტრაქტი მილანურ კლუბთან, მაგრამ ბოლო დროს, გუნდმა ზედიზედ ორი მატჩი წააგო "აველინოსთან" და "ბოლონიასთან". სწორედ ამიტომაც ალაპარაკდნენ ობრადოვიჩის კანდიდატურაზე.

ცხელი ხაზი

| ფეხბურთი | |
|---|---|
| **ევრო 2013** | |
| **UNDER 17** | |
| იტალია-ალბანეთი | 1:0 |
| უნგრეთი-ლიხტენშტაინი | 5:0 |
| **ესპანეთის თასი** | |
| **III რაუნდი** | |
| ლას პალმასი-რასინგი | 2:2 დ.დ. 4:2 |
| **პორტუგალიის თასი** | |
| **III რაუნდი** | |
| ფრეამუნდე-ბენფიკა | 0:4 |
| **რუმინეთი** | |
| კლუჟი-ვიიტორული | 0:1 |
| **ბელარუსი** | |
| სლავია-ბატე | 1:2 |

| კალათბურთი | |
|---|---|
| **ევროლიგა** | |
| ლეტუვოს რიტასი-ბარსელონა | 49:67 |
| ბამბერგი-ბეშიქთაში | 71:86 |
| ალბა-შალონი | 74:71 |
| პარტიზანი-ცსკა | 71:76 (ო) |
| პანათინაიკოსი-კანტუ | 78:76 |
| მაკაბი-მონტეპასკი | 70:68 |

| ხელბურთი | |
|---|---|
| **ჩემპიონთა ლიგა** | |
| დინამო (მნ)-პიკ შეგედი | 29:24 |
| ჩეხ. მედვედი-მონპელიე | 35:29 |
| ვეშპრემი-კილი | 31:30 |
| კონსტანტა-სელიე | 22:17 |

| ჰოკეი | |
|---|---|
| **კჰლ** | |
| სკა-სიბირი | 2:0 |
| **ნორვეგია** | |
| რუსენბორგი-ლორენსკოგი | 0:3 |
| სტავანგერი-სტრიერნენი | 5:1 |
| ვოლერენგა-სტორჰამარი | 7:1 |
| ტონსბერგი-ფრისკ ასკერი | 2:5 |
| სპარტა-ლილეჰამერი | 7:3 |
| **ფინეთი** | |
| პელიკანსი-ილვესი | 4:3 |
| ესპოო-კერპატი | 3:4 |
| იუვიასკიულა-ჰამეენლინა | 2:3 |
| **ჩეხეთი** | |
| კარლოვი ვარი-კლადნო | 3:2 |
| **შვედეთი** | |
| ლინჩოპინგი-ფრიოლუნდა | 4:0 |
| ტიმრა-ვექსიო | 1:2 |
| შელეფტეო-როგლე | 6:0 |

| ჩოგბურთი | |
|---|---|
| **ATP. მოსკოვი** | |
| იანოვიჩი-ბერლოკი | 6:3, 6:4 |
| სეპი-სისლინგი | 7:5, 6:2 |
| ბელუჩი-ჩიპოლა | 6:4, 6:1 |
| დოლგოპოლოვი-ვასელენი | 3:6, 7:5, 6:7 |
| კარლოვიჩი-ბოგომოლოვი | 7:6, 6:4 |
| **ATP. სტოკჰოლმი** | |
| ბალდატისი-ფალა | 6:0, 6:0 |
| ფ. ლოპესი-სტახოვსკი | 6:7, 5:7 |
| ბერდიხი-ზოპი | 6:1, 6:4 |
| ცონგა-სოედა | 6:2, 7:6 |
| **ATP. ვენა** | |
| იანგი-ბედენე | 6:7, 7:6, 3:6 |
| ჟემლია-ებდენი | 7:5, 6:4 |
| მატოშევიჩი-ტიმი | 6:3, 7:6 |
| პოსპიშილი-ლორენცი | 4:6, 4:6 |
| ტიპსარევიჩი-გულბისი | 6:3, 6:4 |
| ჰაასი-ლევინე | 6:4, 6:2 |
| **WTA. ლუქსემბურგი** | |
| პანტუხოვა-ფლიპკენსი | 6:4, 4:6, 6:2 |
| ვინჩი-კეოტავონგი | 6:4, 6:1 |
| იანკოვიჩი-პეტკოვიჩი | 5:7, 0:6 |
| პერვაკი-კირსტეა | 7:6, 6:1 |
| ვ. უილიამსი-ბარტელი | 7:6, 6:4 |
| ნიკულესკუ-გორგესი | 6:4, 6:2 |
| **WTA. მოსკოვი** | |
| ივანოვიჩი-სოლოვიოვა | 6:1, 6:4 |
| კირილენკო-შვედოვა | 7:5, 6:4 |
| დოლონცი-ჰალეპი | 6:1, 6:0 |
| სტოსური-კორნე | 7:6, 7:5 |

TV პროგრამა

**19 ოქტომბერი. პარასკევი**

**GMG-ფეხბურთი**

10:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. XXXI ტური. ფლუმინენსე-გრემიო.
12:00 მსოფლიოს ჩემპიონატი 2014. შესარჩევი ტურნირი. სამხრეთ ამერიკა. არგენტინა-ურუგვაი.
14:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ სიტი-არსენალი.
16:00 ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ფეიენოორდი.
18:00 ბრაზილიის ჩემპიონატი. ტურის მიმოხილვა.
18:30 ჩემპიონთა ლიგის ჟურნალი.
19:00 ინგლისის ჩემპიონატი. მანჩესტერ იუნ-ტოტენჰემი.
21:00 საფეხბურთო პროგრამა - გოლი.
22:30 გერმანიის ჩემპიონატი. VIII ტური. ჰოფენჰაიმი-ფიურტი (LIVE).
00:30 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - FOOTBALL MONDIAL.

**GMG-სპორტი 1**

10:00 ფეხბურთი. ინგლისის ჩემპიონატი. ლივერპული-მანჩესტერ იუნ.
12:00 სპორტ-NEWS.
12:15 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-მაიამი.
15:00 ფეხბურთი. ჰოლანდიის ჩემპიონატი. ეინდჰოვენი-ალკმაარი.
17:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. მასტერსი. შანხაი. ჩინეთი.
19:30 სპორტ-NEWS.
20:00 ფეხბურთი. გერმანიის ჩემპიონატი. აინტრახტი-დორტმუნდი.
22:00 ყოველკვირეული ტელეჟურნალი - ტრანსვორლდსპორტი.
22:55 რაგბი. ჰაინეკენის თასი. კასტრი-ნორთჰემპტონი (LIVE).
01:00 კალათბურთი. NBA. 2011-2012 წლების სეზონი. ოკლაჰომა-მაიამი.

**GMG-სპორტი 2**

10:00 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
12:50 სპორტ-NEWS.
13:15 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ედინბურგი-სარასენი.
15:15 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.
17:00 სპორტ-NEWS.
17:30 ფეხბურთი. ჩემპიონთა ლიგა. ჯგუფური ეტაპი. II ტური. არსენალი-ოლიმპიაკოსი.
19:30 მსოფლიო ფეხბურთის ლიდერები.
20:30 რაგბი. ჰაინეკენის თასი. ლენსტერი-ექსეტერი.
22:30 ჩოგბურთი. ATP-ის ტური. ბაზელი. შვეიცარია.

**ამინდის პროგნოზი**

| | | | |
|---|---|---|---|
| თბილისი | 11 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ქუთაისი | 15 | 28 | (მზე) |
| ბათუმი | 15 | 23 | (მცირე წვიმა) |
| ფოთი | 12 | 27 | (მზე) |
| ზუგდიდი | 10 | 28 | (მზე) |
| გორი | 8 | 23 | (მცირე წვიმა) |
| თელავი | 11 | 21 | (მცირე წვიმა) |
| სიღნაღი | 11 | 21 | (მცირე წვიმა) |
| ბაკურიანი | 4 | 18 | (მზე) |
| ბორჯომი | 4 | 22 | (მზე) |
| მესტია | 3 | 21 | (მცირე წვიმა) |

**ვალუტის კურსი**

| | |
|---|---|
| 1 ევრო | 2.1768 |
| 1 ამერიკული დოლარი | 1.6590 |
| 1 ბრიტანული ფუნტი | 2.6818 |
| 100 რუსული რუბლი | 5.3870 |

ჩოგბურთი

# ისევ ბავშვებზე ზრუნავს

სერბმა ჩოგბურთელმა **ნოვაკ ჯოკოვიჩმა** მონაწილეობა მიიღო საქველმოქმედო პროგრამაში - Clothes for Smiles, რომელსაც წარმოადგენენ UNICEF-ის ფონდი და იაპონური სპორტული ტანსაცმლის მწარმოებელი UNIQLO.

შეგახსენებთ, რომ ჯოკოვიჩი UNICEF-ის კეთილი ნების ელჩია, აგრეთვე თანამშრომლობს კომპანია UNIQLO-თან და ტურნირებზე ამ ფირმის ტანსაცმლით გამოდის.

ამ პროგრამის ეგიდით დაგეგმილია დაახლოებით 10 მილიონი დოლარის მოზიდვა ბანგლადეშის, ჩინეთის, ფილიპინების, სერბეთისა და სხვა ქვეყნების ღარიბი ბავშვების ჰუმანიტარული დახმარებისთვის.



ნოვაკი და ბავშვები

*"ამაყი ვარ იმით, რომ მონაწილეობა მივიღე ამ პროგრამაში, რომელიც მთელი მსოფლიოს ბავშვებს მიანიჭებს სიხარულს*, - ამბობს ჯოკოვიჩი ATP-ის ოფიციალურ ვებგვერდზე. - *იმედია, ჩვენს ინიციატივას სხვა ქვეყნებიც დაუჭერენ მხარს"*.

გვერდი მოამზადა
გია **თვალაბეიშვილმა**

# ...ქალები

**სამი კვირის წინათ მეღვინე სპორტსმენებზე მოგითხრეთ, გასულ კვირას – სპორტისა და მუსიკის ურთიერთობაზე, ტრილოგია დღეს ქალებით დავასრულოთ.**

პირველი, რაც მახსენდება, ვლადიმერ სტეფანიას მონათხრობია:

"ამერიკაში კალათბურთელები დიდი პოპულარობით სარგებლობენ. მათთან გაცნობის სურვილი ბევრ გოგონას აქვს, არც ვარსკვლავები არიან წინააღმდეგნი. ისინი ხერხს მიმართავენ: თამაშის მსვლელობისას აკვირდებიან ტრიბუნებს და თუ ვინმე მოეწონებათ, საკუთარი ტელეფონის ნომერს ფურცელზე დაწერენ და პირსახოცის დამტარებელ ბიჭს იმ გოგონასთან გაატანენ, რომელსაც თვალს ადგამენ. ხშირ შემთხვევაში, მეორე დღეს ტელეფონზე ზარი გაისმის...

ერთი ჩემი თანაგუნდელი სკანდალში გაეხვია. "დალასთან" სტუმრად ვთამაშობდით. მან წინა რიგში ქერათმიანი ლამაზმანი დაინახა და თავისი ტელეფონის ნომერი გაუგზავნა. როგორც შემდეგ აღმოჩნდა, ადრესატი დალასელთა ერთ-ერთი ხელმძღვანელის მეუღლე იყო. ამ ამბავს ამერიკაში დიდი გამოხმაურება მოჰყვა..."

მას შემდეგ, რაც სპორტი ბიზნესად იქცა და წლიურმა ხელფასებმა მილიონებს გადააჭარბა, მომრავლდა ცნობილი წყვილები. ვარსკვლავებს მომღერლები, მოდელები, ჟურნალისტები მიჰყვებიან... თუ გნებავთ, ჩამოგითვლით: ყველაზე ცნობილი წყვილი **დევიდ ბექჰემი** და მომღერალი **ვიქტორია ადამსია; მარია შარაპოვას** კალათბურთელ **საშა ვუიაჩიჩთან** აქვს რომანი; **კრიშტიანო რონალდოს** რუსი მოდელი **ირინა შეიკი** აურჩევია, თუმცა ავი ენები ამბობენ, ფეხბურთელს სხვა ლამაზმანთან გაუბამს ფლირტი.

კრიშტიანოს "მოხუცი" მოსახელე, "კიჟა" არათუ მეგობარ გოგონას, ცოლს ცოლზე იცვლის. ბრაზილიელი თავდამსხმელი ჯერ მოდელ **სუზანა ვერნერთან** (ამჟამად მეკარე **ჟულიო სეზარის** მეუღლეა) ცხოვრობდა, შემდეგ ფეხბურთელ **მილენა დომინგესთან**, ამას მოჰყვა იტალიელი **დანიელა ჩიჩარელი**...

...ერთი უნდა უყვარდეს და არა მთელი ფარაო, - ამ მართალ სიტყვებს ქართულ სიმღერაში ვხვდებით. მოდით, რომანებზე მსჯელობას შევეშვათ და ქალ სპორტსმენთა ტოპ-შვიდეული ჩვენივე გემოვნებით შევარჩიოთ. ერწმუნეთ, ბევრი სპორტსმენი აღემატება სილამაზითა თუ ტანადობით საქვეყნოდ ცნობილ მოდელებს.

რედაქციის თანამშრომელთა შორის ჩავატარე მინიგამოკითხვა, რომელშიც პირველ რიგში, გამოვლინდა გემოვნებათა მრავალფეროვნება. მკითხველსაც შეუძლია დაეთანხმოს ან არ დაეთანხმოს, იმსჯელოს და საკუთარი მოსაზრება გამოთქვას.



1 კირა კორპი
ფიგურული ციგურაობა



2 ანა ივანოვიჩი
ჩოგბურთი



3 ანტონია მიშურა
კალათბურთი



4 ვიქტორია რავა
ფრენბურთი



5 მარია შარაპოვა
ჩოგბურთი



6 ანა ბესონოვა
ტანვარჯიში



7 კაროლინა სალგადო
პლაჟის ფრენბურთი

# ფეხბურტი და გერმანია




| | |
|---|---|
| საქართველო | 1 |
| ბელარუსი | 0 |




| | |
|---|---|
| საქართველო | 0 |
| ესპანეთი | 1 |




| | |
|---|---|
| ფინეთი | 1 |
| საქართველო | 1 |




| | |
|---|---|
| ბელარუსი | 2 |
| საქართველო | 0 |

ქვესათაურში "ფეხბურთი" უნდა ეწეროს და არა „ფეხბურტი". აი, რატომ: კლავიატურაზე ინგლისური განლაგების კლავიშებზე ქართულად აკრეფისას ასოგერა თ-ის დასაბეჭდად საჭიროა ლათინურ ტ-სთან ერთად "შიფტზე" დაჭერა. ეს მხედველობიდან გამორჩათ საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ემბლემის შემქმნელებს და ამიტომაც გაჩნდა "ფეხბურტი":




სწორედ ასეთი ემბლემა აღმოვაჩინეთ ბელარუსულ საიტზე, თუმცა გადავამოწმეთ და საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის ვებგვერდზე მსგავსი შეცდომა არ არის. ჯერჯერობით ვერ მივაკვლიეთ მის პირველწყაროს...

■ ■ ■

ჩვენმა ნაკრებმა მსოფლიოს ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირი მზიან ამინდში დაიწყო, მის ზემოთ ცა ნელ-ნელა მოიღრუბლა და 16 ოქტომბერს ბელარუსში ორჯერ დაიქუხა. როგორ იცვლებოდა სანაკრებო განწყობა და როგორ მცირდებოდა მსოფლიოს ჩემპიონატზე მოხვედრის შანსი, ამას კოლაჟში დაინახავთ.

ნაკრებზე საუბარს ცხელი ამბით დავასრულებ – დიდი ალბათობით ჩვენი გუნდი ამხანაგურად ნოემბერში ეგვიპტელებს გაეჯიბრება. ამ ქვეყნის ფეხბურთელებს "ფარაონებს" უწოდებენ. ისე, მუმიებს თუ ჩამოიყვანდნენ, ურიგო არ იქნებოდა, იქნებ იმ მატჩში მაინც გვეთამაშა შემტევი ფეხბურთი.

■ ■ ■

თუ მსოფლიოს ცივილიზაციის ერთ-ერთი კერა ეგვიპტეშია, საფეხბურთო ცივილიზაციის მნიშვნელოვანი საძირკველი გერმანიაა. 16 ოქტომბერს საქართველოს ნაკრების მარცხზე არანაკლებად მოულოდნელი გერმანიის 4:4 იყო. "ისევ გაშტერდაო", - ხომ გახსოვთ ეს ფრაზა ქართული კინოფილმიდან? – ჰოდა, ასე დაემართა გერმანიის ნაკრებს: მე-60 წუთისთვის 4:0-ს იგებდა და შვედებს დარჩენილ დროში 4 გოლის გატანის უფლება მისცა.

ასეთი ჩავარდნის მიზეზებზე თავი მწვრთნელმა **იოახიმ ლიოვმა** იმტვრიოს, აქ კი საკუთარ მოსაზრებას გაგაცნობთ, რაც ფაქტებითაა გამყარებული: ოქტომბრის შუაში გერმანიაში ლუდის ფესტივალი ჩატარდა, სადაც ნაკრების ფეხბურთელები ცოლებითურთ იყვნენ წარმოდგენილნი. დანარჩენს ფოტოკოლაჟი მოგითხრობთ.

**ვაჟა სიმონიშვილი**
















დამფუძნებელი და გამომცემელი შპს გამომცემლობა ლელო
ISSN 2233-3827
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი თენგიზ გაჩეჩილაძე

მთავარი რედაქტორის მოადგილეები: **გია თვალაბეიშვილი, ნიკოლოზ ნეფარიძე, გია ტუხაშვილი;** მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**
ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში;** ფოტო: **ალექსანდრე კოტორაშვილი.** *ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი:* **ვაჟა სიმონიშვილი**

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: **მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).**

***პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2383-384. ელფოსტა: leloltd@gmail.com; lelo@palitra.ge*** ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:20

მისამართი: **იოსებიძის, 49.** ტელეფონები: **242 32 73, 599 55 48 97** (მთ. რედაქტორი); ფაქსი: **+995. 232 36 08 63;** ინდექსი **66435 INDEX.** რეკლამა: **237 78 07**

რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია

საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608